ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

შაბათი-კვირა

12 — 13 მარტი, 2011

№60 (5441)

ფასი: 30 თეთრი

იაპონიის მიწისძვრას ინდონეზიაში ვულკანის ამოფრქვევა მოჰყვა, ცუნამის ტალღამ ჰავაიმდე მიაღწია.

გვ.15




გვ.16

ასტროპროგნოზი

TV პროგრამა



## ისრაელმა დავით ბაქრაძის ვიზიტი ჩაშალა

რითი დასრულდება ებრაელ ბიზნესმენებთან დაკავშირებული სკანდალი

გვ.5



სულზე თუ არ ვიფიქრეთ, მარხვა ღიეტას ემსგავსება

## სამოთხე ადამიანს მარხვამ დააკარგვინა და მარხვამვე უნდა აპოვნინოს

გვ.7



## რატომ ემტერება ხელისუფლება მეუფე იობს?

რა ხდება დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსში

გვ.6



მშიერი ხალხი თუ ქუჩაში გამოვა, ეს რუსეთის ბრალი არ იქნება

## საქართველო სოციალური ბუნტის წინაშეა

გვ.3

## ფეხბურთის თამაშის დროს თავი დავარტყი

სად ჭამა აქლემის ხორცი დეპუტატმა ზურაბ კიკალეიშვილმა

გვ.4



3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.



## ფილმებს ვალებით ვიღებ

გვ.8

როგორ ფილმ[illegible] არ [illegible]ალოებს
რეჟისორი ნი[illegible] [illegible]



## კვირის ქრონიკა

გვ.2

ISSN 1987-9385

## სომხებს ვანო მერაბიშვილის შეშურდათ



სომხური გამოცემა „არავოტი" თავის სარედაქციო სვეტში წერს: „ახლახან სომხეთის პრემიერ-მინისტრმა ტიგრან სარქისიანმა თავის ბლოგში სომხებს მოუწოდა, საქართველოსი არ შეშურდეთ".

— საქმე ის არის, რომ ქრისტიანობის 1700- წლიანი ისტორია ან ავარაირის ბრძოლა ვერ იქნება სიამაყის მუდმივი მიზეზი. ხალხს სურს, ჰქონდეს სიამაყის გაცილებით თანამედროვე წყარო და საბაბი და სწორედ აქ, მეზობლებთან ურთიერთობაში ჩვენ გვიჩნდება შავი შური. ამ შემთხვევაში საქმე ეხება კვლევის შედეგებს, რომლის მიხედვითაც, მსოფლიოში პოლიციაში კორუფციის დაბალი დონის მაჩვენებლით საქართველო პირველ ხუთეულშია, — ნათქვამია სარედაქციო სვეტში.

აღნიშნული ორგანიზაციის დასკვნის თანახმად, საქართველოს მოსახლეობის 78 პროცენტი მიიჩნევს, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში საქართველოში კორუფცია შემცირდა.

— რადიკალურად სხვა სურათია სომხეთში. გამოკითხულთა 50 პროცენტი დარწმუნებულია, რომ კორუფციის დონე სომხეთში იზრდება, — აღნიშნულია გამოცემაში.

ეს პირველი შემთხვევა არაა, როცა სომხებს ჩვენი ვანო მერაბიშვილის შეშურდათ. რამდენიმე თვის წინ მათ ჩვენს პოლიციას ჰიმნიც კი მოჰპარეს.

ამის შესახებ მასალა სომხურ გამოცემაში „აიკაკან ჟამანაკი" გამოქვეყნა. ამის გამო სომეხმა სამართალდამცავებმა ის ჟურნალისტი დააპატიმრეს.

## შაშიაშვილს ემუქრებიან



თეთრი მოძრაობის ლიდერი თემურ შაშიაშვილი ბოლო დროს ძალიან გააქტიურდა. უთქმელი შაშიაშვილი პრინციპში არავის გვახსოვს, მაგრამ ახლა განსაკუთრებით მწვავე განცხადებებს აკეთებს.

მის სამიზნეს ძირითადად ხელისუფლება წარმოადგენს. ბოლო დროის განმავლობაში მან სკანდალური ფაქტები გამოაქვეყნა და როგორც თავად ვარაუდობს, სწორედ ამ ფაქტებს უკავშირდება მისთვის გამოგზავნილი მუქარები.

მუქარა შაშიაშვილს მობილურზე მოკლე ტექსტური შეტყობინებით მოსდის. მუქარის ავტორი სმს-ებს სხვადასხვა ნომრებით აგზავნის. ის ვიღაც თუ ვიღაცეები თეთრების ლიდერს ხან ამობუგვით, ხანაც ციხეში ჩასმით ემუქრებიან.

თეთრი მოძრაობის ლიდერი ამბობს, რომ ამ მუქარების არ ეშინია. ის არც დაცვის აყვანას აპირებს და არც სკანდალური განცხადებებისგან თავის შეკავებას. თეთრების ლიდერი გვპირდება, რომ კიდევ უფრო ბევრ სკანდალურ განცხადებას გააკეთებს.

# ხელისუფლებამ ეკლესიას ღია ბრძოლა გამოუცხადა

თავისუფალი საქართველო და სოლიდარობა უკანონო პატიმრებს ხელისუფლებას ანტიეკლესიური კამპანიის წარმოებაში ადანაშაულებენ და სოლიდარობას უცხადებენ დავითგარეჯელ ბერებს.

8 მარტს ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის ეთერში გადაიცა სიუჟეტი, სადაც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ხელმძღვანელებმა სასტიკად დაგმეს დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსში მიმდინარე აღდგენითი სამუშაოები.

— გაუგებარია სააგენტოს ასეთო პოზიცია: შესაძლებელია გარკვეულ ტექნიკურ ხარვეზებს ნებისმიერი სამუშაოების დროს ჰქონდეს ადგილი, მაგრამ სააგენტოს პოზიცია, რომ ნაცვლად დახმარებისა, ხელს უშლის აღდგენით სამუშაოებს, გარკეულ ეჭვებს ბადებს,— ამბობენ კუკავა და ბესელია.

მათი თქმით, განსაკუთრებით ალმაშფოთებელია სააგენტოს განცხადება, რომ მონასტრის ბერების პასუხისმგებლობის შესახებ საკითხს პროკურატურას გადასცემს. გასული საუკუნის 30-იანი წლების შემდეგ სამღვდელო პირების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი საქართველოში პირველად წამოიჭრა, რაც გვარწმუნებს, რომ ხელისუფლების ანტიეკლესიური კამპანია სულაც არ შეჩერებულა და ახალ ძალებს იკრებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ბერები აღდგენით სამუშაოებს მეუფე იობის კურთხევით აწარმოებდნენ, ხოლო ნიკა ვაჩეიშვილის მხრიდან ეს უკვე მეორე განცხადებაა მეუფე იობის სამწყსოს წინააღმდეგ.

— ვაპროტესტებთ რა ხელისუფლების ამ პროვოკაციას, მოვითხოვთ, კულტურული მემკვიდრეობის სააგენტომ საჯაროდ წარმოადგინოს თავისი განმარტებები აღნიშნულ საკითხზე, იყო თუ არა გამოყოფილი ბიუჯეტიდან სახსრები კომპლექსის რეაბილიტაციისთვის და რა მიზნით იქნა გამოყოფილი ეს თანხები. ამასთან ხელისუფლებამ უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რითი დასრულდა საქართველო-აზერბაიჯანის მოლაპარაკებები სამონასტრო კომპლექსის მიმდებარე სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციაზე, — კითხულობენ ბესელია და კუკავა.

საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვარი ჯერ ბოლომდე დადგენილი არ არის. სადავო მონაკვეთზე მდებარეობს დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ნაწილი.

როგორც ამბობენ, საქართველოს ხელისუფლებამ ამ მონაკვეთის ნაცვლად აზერბაიჯანულ მხარეს სიღნაღის რაიონის სოფელი ერისიმედი შესთავაზა. ბაქო ამ შეთავაზებაზე უარს ამბობს.

აზერბაიჯანელი ისტორიკოსები კი იმას ამტკიცებენ, რომ დავით გარეჯი მათ ეკუთვნით, საინტერესოა, ამაზე რატომ არა აქვს რეაქცია ვაჩეიშვილს?

საინტერესოა ის ფაქტიც, თუ რატომ არ ამოიღო ნიკა ვაჩეიშვილმა მაშინ ხმა, როცა დავით გარეჯის სამინისტრო კომპლექსში შემავალი ფრესკები აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა დააზიანეს.

# სახელისუფლებო მონოპოლისტები თბილისში ჯიხურებს უკანონოდ დგამენ

„რესპუბლიკელების" მტკიცებით, სახელისუფლებო მონოპოლისტების საკუთრებაში არსებული ჯიხურების ქსელები თბილისში უკანონოდ იდგმება.



როგორც პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა, თინათინ ხიდაშელმა პარასკევს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, იმ ფონზე, რომ დედაქალაქში ჯიხურების დადგმა აიკრძალა და უამრავ მცირე მეწარმეს საქმიანობა შეაჩერებინეს, თბილისში ერთმანეთის მიყოლებით, უკანონოდ იხსნება „ნუგეშის", „ეკო ფუდის", ლატარიის კომპანიის, პრესის გავრცელების, „ორი წუთის" და „შირაქის პროდუქტების" ჯიხურები რომელთა მფლობელებიც სხვადასხვა სახელისუფლებო მაღალჩინოსნები არიან.

ხიდაშელის განცხადებით, აღნიშნული ქსელებისთვის არც მერიის მიერ დაწესებული სამი ძირითადი აკრძალვა ვრცელდება, რომელთა მიხედვითაც, ჯიხურების დადგმა ნებადართულია მხოლოდ საცხოვრებელი ფართების შიდაკვარტალურ ტერიტორიებზე, არ შეიძლება ჯიხურების რიგების წარმოქმნა და ჯიხურების დიზაინი უნდა შეეფერებოდეს თბილისის იერსახეს და ცალკეული უბნის არქიტექტორულ გარემოს.

„რესპუბლიკელების" ლიდერის განცხადებით, ის თბილისის საკრებულოში შეიტანს ოფიციალურ წინადადებას, რომ მიმდინარე თვეში დაგეგმილ სხდომაზე საკრებულოში მოიწვიონ ქალაქის არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახურეების უფროსები, ასევე საზედამხედველო ინსპექციის ხელმძღვანელი რათა მათ სხდომაზე განმარტონ ჯიხურების დადგმის ნებართვების გაცემის საფუძვლები, მოქალაქეებისა და მცირე ბიზნესის წარმომადგენელთა მიმართ განსხვავებული მიდგომის მიზეზები და დანარჩენი გარემოებები, რომლებიც „რესპუბლიკური პარტიის" წევრებს აძლევს საშუალებას, ელიტარული კორუფციის წარმომადგენლები ამხილონ.

# სასურსათო ვაუჩერების დარიგება დაიწყო

11 მარტს 09.30 საათიდან მთელი საქართველოს მასშტაბით სასურსათო ვაუჩერების დარიგება დაიწყო. როგორც „მედიანიუსს" შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოში განუცხადეს, 30-ლარიან ვაუჩერს ყველა ოჯახი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მიიღებს. იგი სულ 1 მილიონამდე ოჯახს გადაეცემა. ვაუჩერები დაკეტილი ბინების მიხედვით არ გაიცემა.

დარიგების პროცესში გაუგებრობის არსებობის შემთხვევაში მოქალაქეებს ჯანდაცვის სამინისტროს ცხელ ხაზზე: 51-00-33, ან 91-00-46 დარეკვა შეეძლებათ.

30-ლარიანი ვაუჩერების დარიგების ინიციატივით პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პარლამენტის წინაშე ყოველწლიური ანგარიშის წარდგენისას გამოვიდა. როგორც მთავრობაში განმარტავენ, ეს გადაწყვეტილება ინფლაციასთან ბრძოლის მოკლევადიანი ღონისძიებაა.

ვაუჩერების დარიგების პროცესში უკვე აქტიურად ჩაერთვნენ ხელისუფლების წარმომადგენლები. მათ თავიანთი ვაუჩერები გაჭირვებულ ადამიანებს გადასცეს. ამისკენ მათ საქართველოს პრეზიდენტმა მოუწოდა. პრეზიდენტის სიტყვა კი მათთვის კანონზე კიდევ უფრო მაღლა დგას.

სასურსათო ვაუჩერების დარიგება დაიწყო და აწი ხშირად ვიხილავთ ჩვენს ნაციონალებს ტელეეთერით, რომლებიც საკუთარ ვაუჩერებს გაჭირვებულ ოჯახებს მიუტანენ. ამას რატომღაც კამერების თანდასწრებით აკეთებენ. ეტყობა სხვანაირად ვაუჩერების დარიგება ეძნელებათ.

# ნათელაშვილი ჩოჩელს მიუხტა

საქართველოს ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი ცეზარ ჩოჩელს რომ ვერ იტანს, ეს ახალი ამბავი არ არის. მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორის წინააღმდეგ მან არაერთი განცხადება გააკეთეს. რამდენჯერმე მის სახლთანაც გამართა აქცია-ბრიფინგი.

ქართველი ლეიბორისტები ცეზარ ჩოჩელს ათას რამეში სდებენ ბრალს. მის რამდენიმემილიონიან სასახლეს ხომ დღეში სამჯერ ახსენებენ. ამ კვირაში იფიქრეს, ამდენ ლაპარაკს სჯობია მივიდეთ და ის სასახლე ჩვენი თვალით ვნახოთო.

რაკი ბევრჯერ იყვნენ მისულები ამ სასახლესთან, ხელცარიელებს მისვლა ეუხერხულათ. დიდი გაჭირვებით იშოვეს ცხვარი. დაკლეს, გაატყავეს (ხორცი ალბათ თავად შეჭამეს) და ჩოჩელებთან მარტო ჩონჩხი მიიტანეს.

ჩონჩხი ღობეზე ჩამოკიდეს. შალვა ნათელაშვილმა პირადად განმარტა ამ რიტუალის შინაარსი. მისი თქმით, როგორც ეს ცხვარია გატყავებული, ასევე ატყავებს ჩოჩელი საქართველოს მოსახლეობასო.

ნათელაშვილი და მისი ბიჭები კარგა ხანია ამტკიცებენ, რომ ჩოჩელი ხორცის ბიზნესის უკან დგას. მათივე თქმით, გუბერნატორს ეკუთვნის ნატახტარში არსებული სასაკლაოც. ხორცზე ფასების ზრდასაც მას აბრალებენ. ამ და სხვა მიზეზების გამო ლეიბორისტებმა მრავალგზის შეაჩვენეს ჩოჩელი.

მასპინძლებმა სტუმრების ჟრიამული კარგა ხანს ითმინეს, მერე იფიქრეს, ამდენი ხანი აქ არიან და მოშივდებოდათო. დაუპატიჟებელ სტუმრებს მათ ბოცით ღვინო, მწნილი და პური გამოუტანეს.



პოლიტიკურ ინტრიგებში გაწაფული ლეიბორისტები მიხვდნენ, რომ ეს ალალი პურმარილი არ იყო და მათმა ლიდერმა ჩოჩელების გამოტანილ მოსაკითხს წიხლი ამოარტყა.

თანაც კაი ფეხბურთელივით მიზანში მოარტყა. ნათელაშვილი კადიროვი კი არ იყო, დარტყმა გაემაზა. არადა, რა ქნა ამ კადიროვმა, ორი პენალტის „გამაზვა" იქნებოდა?

რაც შეეხება ჩვენს მშობლიურ ლეიბორისტებს, მათ გუბერნატორის სახლობას დაუბარეს, კიდევ დავბრუნდებითო.

შორენა მარსაგიშვილი

## ჯანდაცვის მინისტრმა ჟურნალისტებს აგინა



ამ კვირაში საქართველოს ჯანმრთელობის დაცვისა და კიდევ ორი რაღაცის მინისტრს ქართველი ჟურნალისტები შემოელანძღა. ინციდენტი გურჯაანში მოხდა, სადაც, როგორც ოფიციოზი იუწყება, ანდრია ურუშაძე მოსახლეობასთან შესახვედრად ჩავიდა.

მინისტრის ვიზიტი, ბუნებრივია, გააშუქეს ნაციონალურმა არხებმა და კიდევ რამდენიმე რეგიონულმა მედიასაშუალებამ. ამ ღონისძიებაზე „საჭირბოროტოდ თავისა" კახეთის საინფორმაციო ცენტრის და მაესტროს ჟურნალისტებიც მივიდნენ.

ერთიც და მეორეც ოპოზიციურ განწყობაში არიან ეჭვმიტანილი და ხელისუფლების წარმომადგენლებს ისინი არ ევასებათ. გამონაკლისი არც ქვეყნის მთავარი მკურნალი ურუშაძე აღმოჩნდა.

როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრი გვაუწყებს, გურჯაანში მოსახლეობას სულაც არ შეხვედრია. მასთან შესახვედრად ხელისუფლებამ სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებული ხალხი მიიყვანეს. ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად განწყობილი ადამიანები კი თურმე ურუშაძეს საზარბაზნე მანძილზეც არ გააკარეს.

აი, მაესტროს და კახეთის საინფორმაციო ცენტრს ვერაფერი მოუხერხეს. მათ მინისტრი კითხვებით შეაწუხეს. იმასაც რა ექნა, ადგა და შეაგინა. მერე კი ნაციონალურ არხებს მშვიდი სახით მისცა კომენტარი.

ამ გინებას დიდი ამბები მოჰყვა. გინებიდან რამდენიმე საათში კომენტარი ურუშაძის უწყებაშიც გააკეთეს. მათი განცხადებით, მინისტრს ჟურნალისტებისთვის არ უგინებია. თურმე ვერც აგინებდა, რადგანაც კარგ ოჯახში არის გაზრდილი. ნაგინები ჟურნალისტები და თვითმხილველები კი სულ სხვა რამეს ამბობენ.

## სუბარი ოპოზიციის გაერთიანების მომხრეა



კაცმა და მგონი ვანო მერაბიშვილმაც კი აღარ იცის, რა ხდება ოპოზიციაში. კვირა ისე არ გაივლის, ვინმე ვინმეს არ გაებუტოს და სადმე არ წავიდეს. ამის მიუხედავად, ოპოზიციური პარტიები ერთხმად აცხადებენ, რომ ხელისუფლება უნდა გაუშვან.

ზოგი ამის გაკეთებას არჩევნების გზით აპირებს, ზოგიც — რევოლუციის. რევოლუციის მომხრეა ქართული პარტიაც. ამ პარტიის წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ ხელისუფლებას წელსვე გაუშვებენ.

ქართული პარტია ამტკიცებს, რომ მათ ამის გაკეთება საკუთარი ძალებითაც შეუძლიათ. თუმცა სოზარ სუბარი ოპოზიციურ პარტიებს მაინც გაერთიანებისკენ მოუწოდებს.

— ერთმანეთის ლანძღვას უნდა შევეშვათ და ერთად დავდგეთ. ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩვენ ყველას საერთო მტერი გვყავს, ეს მიხეილ სააკაშვილი და ნაციონალური მოძრაობაა, — აღნიშნა სოზარ სუბარმა.

სუბარის მოსაზრებებს სხვა ოპოზიციური პარტიებიც იზიარებენ. თუმცა ერთად დადგომას მაინც ვერავინ ახერხებს.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

ნონა ცაბა ე

## ინტერვიუ ექსპერტთან კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძესთან

# საქართველო სოციალური ბუნტის წინაშეა



მშიერი ხალხი თუ ქუჩაში გამოვა, ეს რუსეთის ბრალი არ იქნება

***— ბატონო მამუკა, ბოლო პერიოდში ოპოზიციური პარტიების მხრიდან ხშირად ისმის სიტყვა „რევოლუცია“. თქვენი აზრით, რამდენად სერიოზულია წინასწარ დაანონსებულ რევოლუციაზე საუბარი? რაც შეეხება მათ ოპონენტებს, კეთდება განცხადებები რომ ეს ყველაფერი სააკაშვილის წისქვილზე დაასხამს წყალს. თქვენ, როგორც ექსპერტი, როგორ შეაფასებდით ამ ყველაფერს?***

— ასე მარტივად არ არის საქმე, რომ ერთნი აანონსებენ და მეორენი ამბობენ, რომ ეს ხელისუფლების წისქვილზე წყალს ასხამს. ჩვენ მიჩვეული ვართ იმას, რომ ჩვენი პატარა ქვეყნის ჩარჩოში ვართ ჩაკეტილი და ამ გადასახედიდან ვუყურებთ მოვლენების განვითარებას. ამ დროს აუცილებელია მივაქციოთ ყურადღება იმას, თუ რა ხდება ჩვენ გარშემო. სხვათა შორის, უნდა გითხრათ, რომ დღეს, სამწუხაროდ, მსოფლიოს გლობალიზაციის პროცესები მიმდინარეობს ძალიან მაღალი ტემპით. აქედან გამომდინარე, პროცესები, რომლებიც შეიძლება ჩვენი ქვეყნის გარშემო ხდებოდეს, ჩვენს ქვეყანაზე იქონიებს გავლენას. მაგალითად, ამის ყველაზე ნათელი მაგალითი ის არის, რომ ნავთობის გაძვირება თუნდაც არაბულ სამყაროში, კონკრეტულად ლიბიაში მიმდინარე პროცესების გამო საქართველოს უბრალო მოქალაქის ჯიბეზე ურტყამს. აქედან გამომდინარე, ყველაფერს ამ გადასახედიდან უნდა შევხედოთ. დღეს ერთგვარი პერმანენტული ეკონომიკური კრიზისის ფონზე საზოგადოებრივი აზრის დომინანტი გაჩნდა. საზოგადოებრივ აზრს უფრო მეტი რეზონანსი აქვს, ვიდრე ჰქონდა ადრე. ხელისუფლებებს უკვე ხშირ შემთხვევაში არგუმენტები აღარა აქვთ და დიქტატორული რეჟიმები იძულებულნი არიან, უკან დაიხიონ. ასე მოხდა, მაგალითად, ეგვიპტეში. ეს ყველაზე რეზონანსულია მთელი მთავრობის მასშტაბით. ე.ი. ლიბიაში მიმდინარე პროცესებზე რეაგირებს ისეთი ქვეყანა, როგორიც არის ვენესუელა, რომელიც ცდილობს, რაღაცა სოციალური სურათი შეცვალოს ქვეყანაში. აგერ ჩვენს არც ისე შორეულ მეზობელ ყაზახეთში, სადაც ძალიან კომფორტულად გრძნობდა თავს მმართველი ელიტა, უცებ გადაწყვიტეს არჩევნების ჩატარება და 3 აპრილს ატარებენ რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებს. ნაზარბაევის რეჟიმი ძალიან ძლიერი იყო ყაზახეთში, მაგრამ ის ქვედა, წყალქვეშა პროცესები, რომლებიც მთელ მსოფლიოში ხდება, ყაზახეთშიც მიმდინარეობს. ეტყობა, ამას ხელისუფლება ხედავს და აქედან გამომდინარე ემზადება ამისთვის. ტყუილად ხომ არ იძლევა კუვეიტის ემირი 35 მილიარდს თავისი საზოგადოების სოციალური მდგომარეობის შეცვლაში. ამ ყველაფერს აქვს გავლენა საქართველოზე. სიტყვა „რევოლუცია“ ძლიერი სიტყვაა, მაგრამ ახლო აღმოსავლეთში ეს სიტყვა საკმაოდ გააქტიურდა.

***— ჩვენი ხელისუფლება რამდენად ხედავს ამას?***

— ჩვენთანაც ჰაერში კიდია ეს სიტყვა და ამიტომ ხმარობენ მას ქართველი საზოგადოებისა და ოპოზიციის წარმომადგენლები. სხვათა შორის, თვითონ ხელისუფლებაც იყენებს ამ სიტყვას, ოღონდ, სხვა კონტექსტში, რომ რევოლუცია არ სჭირდება საქართველოს და არც მოხდება. უფრო სწორად, ახლა უფრო ხშირად ამბობენ, რომ რევოლუცია არ სჭირდება საქართველოს. ადრე იყო ასეთი რიტორიკა — აბა ერთი ვინმემ გაბედოს! ახლა იციან, რომ უკვე ბედავენ და აქედან გამომდინარე ამ სიტყვას აღარ ამბობენ, ამბობენ მხოლოდ, რომ რევოლუცია არ სჭირდება საქართველოს, რომ ეს კიდევ უფრო დაანგრევს წელში გაუმართავ ქვეყანას. გუშინწინ საქართველოს ეკონომიკა წელში იყო გამართული. დღეს იქვეა, რომ არ არის წელში გამართული და ამიტომ რევოლუცია სულ დაანგრევს ამ ქვეყანას. ამიტომ ამ ყველაფერს ამ გადასახედიდან უნდა შევხედოთ. ეს ტერმინი ჰაერში გამოკიდებულია და არა ქართველების დამსახურების გამო. სიტუაცია ასეთია. ეს სიტუაცია მთელი მსოფლიოსთვის აქტუალურია და საქართველოც, რასაკვირველია, ამ ქვეყნების მწკრივში შეიძლება მოხვდეს. ამაში განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავ. ხელისუფლება არ იყო მზად იმ კრიზისული სიტუაციისთვის, რომელიც დღეს შეიქმნა ქვეყანაში. ხელისუფლებას არა აქვს შესაბამისი პროექტები იმისთვის, რომ მდგომარეობა გაამყაროს და შეცვალოს საზოგადოების საკეთილდღეოდ. თვითონაც შინაგანად ხელისუფლება არ იყო მზად ამისთვის და სწორედ ამიტომ ეს ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ამაში ნამდვილად არაფერია გასაოცარი. ვილაცა ვილაცას იმიტომ აბრალებს რაღაცას, რომ ეს ყველაფერი ხელისუფლებას სჭირდებაო. ეს ყველაფერი ზღაპარია. სულ რომ არ იყოს საქართველოში არც ხელისუფლება და არც ოპოზიცია, ასეთი ტიპის რყევები საზოგადოებაში მაინც შეიძლება მოხდეს.

***— ისიც გასათვალისწინებელი ხომ არ არის, რომ დიდი დემოკრატიული ქვეყნები ამ პროცესებს მხარს უჭერენ და ხალხის პოზიციას იზიარებენ?***

— სხვათა შორის, ამ დიდი და დემოკრატიული ქვეყნების მდგომარეობაც ასევე არამყარია. დემოკრატიული და ძლიერი ქვეყანაა ბელგია, მაგრამ მთავრობა ვერ აურჩევიათ 200 დღეზე მეტია. ნახეთ, რა მდგომარეობაა საბერძნეთში, პორტუგალიაში, ესპანეთში, იტალიაში. ეს ისეთი პროცესია, რომელსაც ხელისუფლებები საკმაოდ ინტენსიურად აკვირდებიან და ემზადებიან იმისთვის, რომ ეს ყველაფერი შეიძლება მათ ქვეყანაშიც მოხდეს. მომზადების პროცესში ისინი ქმნიან პროგრამას, ცდილობენ, ამ პროგრამის მეშვეობით ზვავი შეაჩერონ.

***— გარკვეულ დათმობებზეც მიდიან?***

— რასაკვირველია, დათმობებზეც მიდიან. საერთოდ, პოლიტიკა კომპრომისების ხელოვნებაა, მაგრამ ეს ჩვენი ხელისუფლებისთვის არ არის გასაგები. ჩვენმა ხელისუფლებამ თავი თვითონ მოიქცია ისეთ ჯადოსნურ წრეში, როდესაც ასეთ კომპრომისებზე წასვლა მისთვის, პრაქტიკულად, მიუღებელია. რეაგირება სიტუაციაზე ჩვენი ხელისუფლებისთვის ძალიან რთულია. იდეოლოგიური ქვითკირი შექმნა საკუთარ რიგებში. ყველაფერი დამოკიდებულია ერთ კაცზე. დანარჩენებს სიტუაციის შეცვლა არ შეუძლიათ და ეს ძალიან ცუდია.

***— თითქოს სოციალური კუთხით დაიწყო რაღაც გარკვეული ნაბიჯების გადადგმა, პენსიას ზრდის, 30-ლარიან ვაუჩერებს არიგებს, თუმცა, ბევრი მიიჩნევს, რომ ეს საზოგადოების მასხრად აგდებაა. თქვენი აზრით, ეს რამდენად შეცვლის სიტუაციას ქვეყანაში?***

— საზოგადოების ნაწილზე მოქმედებს იგი. რაც არ უნდა ვიძახოთ, რომ ეს მასხრად აგდებაა, მოდით, ობიექტურად შევხედოთ სიტუაციას. ადამიანების გარკვეულ პროცენტზე ეს ყველაფერი მაინც მოქმედებს. ამას აქვს თავისი დატვირთვა. პიარი არ ეშლება ჩვენს ხელისუფლებას. როდესაც ეს ვაუჩერი მოდის, ადამიანს უჩნდება განცდა, რომ კონკრეტულად მას აქცევს ვილაცა ყურადღებას. ადამიანი, რომელიც არის ყოველდღიური გაჭირვებით წელში გაწყვეტილი, ყურადღების ეს ელემენტი მისთვის ძალიან დადებითად მოქმედებს და ოპტიმისტურად განაწყობს. აი, ამაზეა გათვლილი ვაუჩერებისა თუ სხვა რაღაცების დარიგება.

***— რაც შეეხება იმ მოსაზრებას, რომ დღეს სააკაშვილს ძალიან აწყობს ქვეყანაში ქაოსი და არეულობა, რათა ეს ყველაფერი რუსულ ძალებთან დააკავშიროს და ოპოზიციას უფრო თამამად გაუსწორდეს?***

— მე არ ვფიქრობ, რომ ასეა. ხელისუფლება მოინდომებს, რასაკვირველია, გადაბრალებას რუსეთისთვის, მაგრამ ის, რომ ადამიანს სახლში პური ვერ მიაქვს, რუსეთის ბრალია? ხომ არ არის პირდაპირ რუსეთის ბრალი, შეიძლება, ირიბად ომის შედეგების ბრალიცაა, მაგრამ დღეს ამას რა მნიშვნელობა აქვს. ადამიანს რომ პური ვერ მიაქვს სახლში, ეს კონკრეტული სახელისუფლებო რგოლის ბრალია, რომელმაც ამ ადამიანისთვის ამ პურის მიტანის პროცესი ვერ უზრუნველყო. საქართველო ბლოკადაში ხომ არ არის, არა? ერევანში შეიძლება ვილაცამ თქვას, ბლოკადაში რომ ვართ, ამიტომ არ გვაქვს პურიო. აქ ამას ვერ ვიტყვით. ამიტომ, შესაბამისად, ამ სიტუაციაში სხვაზე გადაბრალება ვერ გამოვა, ბევრიც რომ მოინდომონ, თუმცა, გარკვეული შედეგი მაინც ექნება. ენას ძვალი არა აქვს და ყველაფერი შეიძლება თქვა, თვითონ რუსეთში შეიქმნა ძალიან სერიოზული პრობლემა. ახლა იქ ელოდებიან ანალოგიურს, ყოველ შემთხვევაში, რუსეთის არაცენტრალურ ქალაქებში, რადგან იქაც ისეთივე მდგომარეობაა და, ზოგ შემთხვევაში — უარესიც.

**ადამიანს რომ პური ვერ მიაქვს სახლში, ეს კონკრეტული სახელისუფლებო რგოლის ბრალია, რომელმაც ამ ადამიანისთვის ამ პურის მიტანის პროცესი ვერ უზრუნველყო. საქართველო ბლოკადაში ხომ არ არის, არა? ერევანში შეიძლება ვილაცამ თქვას, ბლოკადაში რომ ვართ, ამიტომ არ გვაქვს პურიო. აქ ამას ვერ ვიტყვით. ამიტომ, შესაბამისად, ამ სიტუაციაში სხვაზე გადაბრალება ვერ გამოვა**

***— დღეს საუბარია იმის შესახებაც, რომ სააკაშვილს დასავლეთის მხარდაჭერის იმედი აღარ აქვს და ამით საკმაოდ შეშინებულია...***

— სხვადასხვანაირი ინფორმაცია ვრცელდება. ძნელი სათქმელია, რას ამბობენ კულუარებში, უჭერენ თუ არ უჭერენ მხარს. მე მხოლოდ შემიძლია შევაფასო ამერიკის ადმინისტრაციის გამონათქვამები, ისიც არა პირდაპირ საქართველოს ხელისუფლების მიმართ, არამედ საერთოდ ამ პროცესების მიმართ, სადაც იგულისხმება, რომ ხალხის აზრი, საზოგადოების აზრი ამერიკის ადმინისტრაციის ახალი პოლიტიკის დომინანტი გახდა. ეს, მაგალითად, ჩემთვის მესიჯია და არა ის, უჭერს თუ არა მხარს საქართველოს ხელისუფლებას. ევროკავშირშიც საქართველოს ხელისუფლებისადმი მხარდაჭერა შესუსტდა, თუმცა, ჩვენი ევროპელი პარტნიორები, ერთი მხრივ, ქვეყანას მხარს უჭერენ, მეორე მხრივ, საქართველოს ხელისუფლების ქმედება მათ ხელფეხს უბორკავს და საშუალებას არ აძლევს, იყოს აქტიური საქართველოს დახმარების თვალსაზრისით. საბოლოო ჯამში როგორ არის — საქართველო უნიკალური არ არის ამ თვალსაზრისით. ჩვენ ყოველთვის გვინდა, რომ ყველაზე უკეთესები ვიყოთ და ყველაზე მეტი ყურადღება ჩვენ მოგვაქციონ, მაგრამ არ არის ეს ასე. საქართველო პატარაა ქვეყანაა და მას თავისი ადგილი აქვს მსოფლიო რუკაზე. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა ვიყოთ ორიენტირებული იმაზე, რას იფიქრებენ თეთრ სახლში ან ბრიუსელში. ჩვენ უნდა გვქონდეს საკუთარი ღირსება. სამწუხაროდ, დღევანდელი სიტუაცია ისეა აწყობილი, რომ ხალხი დეზორიენტირებულია. სხვათა შორის, არა მარტო ხალხია დეზორიენტირებული, არამედ, სახელისუფლებო და ოპოზიციური ძალებიც. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ქვეყანაში არავინ იცის, რა უნდა გააკეთოს. რევოლუციის მომწყობიც კი არავინ აღარ არის როგორც ხელისუფლებიდან, ისე ოპოზიციიდან. პირადად მე ასეთი შთაბეჭდილება მექმნება.

***— თავად საზოგადოება რამდენად არის მზად და რამდენად არის მუხტი, რომ მართლაც აგორდეს ეს პროცესები, იგრძნობა საზოგადოებაში ამის განწყობა?***

— რასაკვირველია, არსებობს საზოგადოებაში ეს განწყობა. საპროტესტო მუხტი ძალიან სერიოზულია, მაგრამ საზოგადოება გახლეჩილია მრავალ სოციალურ ჯგუფად, რომლებსაც არა აქვთ ერთმანეთის მიმართ ნდობა და სოლიდარობის გრძნობა. საქართველო ყოველთვის იყო განთქმული გულითადობითა და სოლიდარობით თანამოქალაქის მიმართ. ამ სოლიდარობის გრძნობა გაცვდა და, სამწუხაროდ, ამ გრძნობის დაკარგვის გამო საქართველოს საზოგადოება კონსოლიდაციას ვერ ახერხებს. თუმცა ეს ყველაფერი დამოკიდებულია ფსიქოლოგიურ ფაქტორზე და შეიძლება, უცებ პატარა ნაპერწკალმაც კი ისეთი კონსოლიდაცია მოახდინოს, რომ ქვა ქვაზე არ დატოვოს. ეს საერთოდ საზოგადოების თვისებაა, მაგრამ საზოგადოებისა, რომელიც ბრბოდ გადაქცევის გზაზე დგას და ჩვენ, სამწუხაროდ, ამ პროცესს ვაკვირდებით. არაერთხელ მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, რომ ხალხისგან შეიძლება საზოგადოებაც შექმნა და ბრბოც. სამწუხაროდ, ჩვენს ხელისუფლებას არ ეყო პოლიტიკური გამჭრიახობა და ალღო იმისთვის, რომ ხალხისგან საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესი წარემართა. ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ხალხისგან ბრბო შეექმნა.

***— მაინც რა პროცესების განვითარებას ელით უახლოეს პერიოდში?***

— მოვა აპრილი, გაზაფხულდება, სოციალური წინააღმდეგობები უფრო გამძაფრდება და ყველაფერი შეიძლება მოხდეს. თუ ჩვენმა ხელისუფლებამ ქმედითი ღონისძიებები დღეს-ხვალ არ მიიღო და შესაბამისი ბარიერი არ დაახვედრა ცხოვრების პირობების სავარაუდო გაუარესებას, მაშინ ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

***— ხომ არ არის მოსალოდნელი, რომ სააკაშვილმა მოულოდნელად ვადამდელი არჩევნები დანიშნოს თავის გადასარჩენად?***

— შეიძლება, არც ამას გამოვრიცხავ, იმიტომ რომ, ნაზარბაევის მაგალითს თუ გავიხსენებთ, ხელისუფლებისთვის თავის გადარჩენის ერთ-ერთი მეთოდი ან ომია, ან არჩევნები. ომს საქართველო ვერავის დაუწყებს, გამორიცხულია. აქედან გამომდინარე, ველოდებით მეორეს, ანუ არჩევნებს. არ არის გამორიცხული, არჩევნები ჩატარდეს. არჩევნებიც და ომიც რთულ მდგომარეობაში მყოფი ხელისუფლების აქტივობის გამოხატულებაა. ხელისუფლება, რომელიც საკუთარ ხალხთან დამოკიდებულებას ვერ არკვევს, იძულებულია, აირჩიოს ერთი და ან მეორე.

# ფეხბურთის თამაშის დროს თავი დავარტყი

## სად ჭამა აქლემის ხორცი დეპუტატმა ზურაბ კიკალეიშვილმა

ნანა მიშელაშვილი

**დეპუტატი ზურაბ კიკალეიშვილი ამბობს, რომ დედა შენიშვნებსა და რჩევებს დღემდე ა ლევს. თავად უკვე ბაბუაა და არ მალავს, რომ შვილიშვილებს საკმაოდ ათამამებს.**

ზურაბ კიკალეიშვილი განსაკუთრებით თბილად იხსენებს ბავშვობას, რომელიც სამეგრელოში გაატარა. ერთხელ მდინარეში ცურვის დროს ლამის დაიხრჩო, რადგან „მარიაჟობა“ მოინდომა.

სად გასინჯა პირველად აქლემის ხორცი და მოეწონა თუ არა შემწვარი ბაყაყის ხორცი? როგორი ხორცი აქვს ცხენს და იცის თუ არა ღვინის დაყენება?

**„ახალი თაობა“ ზურაბ კიკალეიშვილს ესაუბრა.**

***— საიდან ხართ კიკალეიშვილები?***

— კიკალეიშვილები და კიკალიშვილები, როგორც ჩემთვის არის ცნობილი, ერთი და იგივე გვარია. ბევრ ოჯახს ვიცნობ, სადაც ერთი ძმა კიკალეიშვილია, მეორე — კიკალიშვილი. გვარის ფუძე მოდის ხონის რაიონის სოფელ გორდიდან, რომელიც ცნობილია, როგორც დადიანების საზაფხულო რეზიდენცია. ეს სოფელი მდებარეობს მდინარე ცხენისწყლის ნაპირას და ძალიან ლამაზია.

***— თქვენი გვარის ბევრი წარმომადგენელი ცხოვრობს ამ სოფელში?***

— ამ სოფელში, სამწუხაროდ, ცოტა კიკალეიშვილი ცხოვრობს, მაგრამ — ბევრ ადგილას, მათ შორის: რაჭაში, კახეთში, იმერეთში, სამეგრელოში.

***— საგვარეულო შეკრებები გაქვთ?***

— რამდენჯერმე იყო შეკრება, თუმცა, ხშირად არ იმართება.

***— იმერლებისთვის დამახასიათებელი თვისებები გაქვთ?***

— იმერელ-მეგრელი ვარ, დედა მეგრელი მყავს.

***— მეგრული იცით?***

— ძალიან კარგად. ჩვენ იმერეთში სოფელი არ გვქონდა, სამეგრელოში გვქონდა სოფელი, მარტვილის რაიონის სოფელ ბომბოთში. აბაშის პირას, სოფელ ბომბოთში გავიზარდე, არდადეგებს სულ ამ სოფელში ვატარებდი. ჩემი მშობლები პედაგოგები იყვნენ, მამა მათემატიკის მასწავლებელი იყო, დედა — ქართულის.

***— მშობლები სკოლაში გასწავლიდნენ?***

— არა, არც ერთი არ მასწავლიდა, სხვა სკოლაში შემიყვანეს.

***— როგორი ბავშვი იყავით?***

— ამბობენ, რომ დამჯერი ბავშვი ვიყავი.

***— ორიანი მიგიღიათ სკოლაში?***

— როგორ არა. სიცელქის გამო მიმიღია ორიანი, გაკვეთილი გამიცდენია ან ფეხბურთის თამაშის გამო გაკვეთილი არ მომიმზადებია და ამის გამო დაუწერიათ. საერთოდ, ყველა საგანს კარგად ვსწავლობდი. თბილისში მე-100 სკოლა დავამთავრე. საკმაოდ კარგი სკოლა იყო.

***— „შატალოზე“ სად მიდიოდით?***

— მუშტაიდის ბაღში, დიდუბეში ასეთი კინოთეატრი იყო — „კოსმოსი“, სადაც უცხოური ფილმები გადიოდა. მაშინ ასე განებივრებული არ ვიყავით უცხოური ფილმებით და ამ ფილმების სანახავად „შატალოზე“ მივდიოდით.

***— რომელიმე ფილმი იყო, რომელიც ხუთჯერ-ათჯერ გინახავთ?***

— კი, როგორ არა. მაგალითად, „როკო და მისი ძმები“ ძალიან ბევრჯერ მაქვს ნანახი. გოგონებიც ხშირად მოდიოდნენ ამ ფილმის სანახავად, იმიტომ რომ ალენ დელონი თამაშობდა და მასზე ყველა გოგონა შეყვარებული იყო.

***— გოგონას გამო ჩხუბი თუ მოგსვლიათ?***

— კი.

***— თქვენი თუ მეგობრის შეყვარებულის გამო?***

— მეგობრის შეყვარებულის გამო. ერთხელ მუშტაიდში ვიჩხუბეთ მეგობრის შეყვარებულის გამო. სერიოზული ჩხუბი არ იყო, 4-5 კაცთან დაგვჭირდა ხელის გაქნევა.

***— მერე, გცემეს თუ სცემეთ?***

— ამას პრინციპული მნიშვნელობა არ ჰქონდა, იმიტომ რომ არც ერთი მხარე არ ვიყავით ისეთი დაზიანებული, გულში ბოლმა ჩაგვედო. იმ დროს იარაღის გამოყენება სირცხვილი იყო. გოგონა თუ ბიჭთან ერთად იყო, ამ ბიჭთან ჩხუბი, საცემიც რომ ყოფილიყო, არ შეიძლებოდა. ეს დაუწერელი კანონი იყო. როდესაც ბიჭი გოგონასთან ერთად იყო, შენი მტერიც რომ ყოფილიყო, მის ღირსებას არ უნდა შეხებოდი.

***— ჩხუბისას თავგატეხილი ყოფილხართ?***

— არა. ფეხბურთის თამაშის დროს თავი დამირტყამს, მაგრამ სერიოზული დაზიანება არ მიმიღია. მე ბათუმის ქუჩაზე გავიზარდე. მაშინ თბილისში ამდენი მანქანა არ იყო, სულ ქუჩაში ვთამაშობდით ფეხბურთს. ერთხელ მეზობლის ფანჯარა ჩავამსხვრიეთ. ის მეზობელი დედაჩემთან მოვიდა, რის გამოც დედა ძალიან შეწუხდა. რა თქმა უნდა, მეზობელს ჩამსხვრეული ფანჯარა ჩავუსვით.

***— ბავშვობაში მეზობლისთვის კიდევ რაიმე დაგიშავებიათ?***

— არა, არაფერი, ბოროტი არ ვიყავი. არასდროს არაფერი მომიპარავს.



***— სოფელში მეზობლის ხილი არ მოგიპარავთ?***

— არა. მოსაპარი არაფერი იყო, რაც სხვას ჰქონდა, ჩვენც გვქონდა. ერთხელ, მახსოვს, ბიჭები საზამთროს მოსაპარად წავიდნენ, მე არ წავედი, იმიტომ კი არა, რომ შემეშინდა, დედაჩემსა და მამაჩემს რომ ეტყოდნენ, მასწავლებლის შვილი საზამთროს იპარავსო, ეს არ მინდოდა ეთქვათ. მიწა გამისკდებოდა, მეზობელს რომ დავენახე მის ბაღში საზამთროს მოსაპარად გადასული. სამეგრელოში გატარებული ბავშვობის წლები კარგად მახსოვს. დილით რომ ჩავიდოდი მდინარეზე, საღამომდე სახლში არ ვბრუნდებოდი.

***— ცურვა კარგად იცოდით?***

— მდინარეზე ცურვას ადვილად სწავლობ.

***— ისე კარგად იცოდით ცურვა, რომ დახრჩობის საშიშროება არ იყო?***

— ცურვა კარგად ვიცოდი, მაგრამ ერთი შემთხვევა იყო, როდესაც დახრჩობას გადამარჩინეს. იცით, როგორი ამბავი იყო? ბოლოს ძალიან შევრცხვი.

***— რატომ?***

— 5-6 წლის ვიყავი, როდესაც მდინარეში ვცურავდი, შიგადაშიგ, მაღლიდან თავითაც ვხტებოდი, იქვე ჩემი ასაკის ბიჭი იყო, რომელსაც ეშინოდა. ამ ბიჭს მამამისი არცხვენდა, ჩემზე ეუბნებოდა: შენი ასაკის არის და შეხედე, როგორ კარგად ცურავსო. ამის გამო „მარიაჟობა“ მოვინდომე და ისეთ ადგილას შევედი, სადაც არ უნდა შევსულიყავი, ჩანჩქერივით იყო, გადავხტი, მაგრამ, ველარ ამოვედი. ჩემდა სამარცხვინოდ და იმ ბიჭის გასახარად, გადასარჩენი გავხდი. მოკლედ, დახრჩობას გადამარჩინეს.

***— სიცელქის გამო მშობლები როგორ გსჯიდნენ, კუთხეში გაყენებდნენ, ყურს გიწევდნენ?***

— მშობლებს არასდროს ვუცემივარ, თუმცა, კუთხეში დავუყენებივარ.

***— დასჯის კიდევ რა მეთოდებს იყენებდნენ თქვენი მშობლები?***

— ძირითადად ფეხბურთზე არ მიშვებდნენ. არადა, ფეხბურთზე ვიყავი გაგიჟებული და, თუ არ გამიშვებდნენ, ეს იყო ჩემთვის ყველაზე დიდი დასჯა. ძირითადად სწავლაზე ვიყავი გადართული, დავდიოდი ნორჩ ტექნიკოსთა წრეზე, რომელიც დიდუბეში იყო.

***— ნორჩ ტექნიკოსთა წრეზე რას აკეთებდით?***

— დიდი გამოგონება არ იყო, მაგრამ ფიზიკაში პატარა რაღაც გამოვიგონე, რომელიც შემდეგ მოსკოვში, სახალხო მიღწევათა გამოფენაზე (ვდეენხაზე) გააგზავნეს, სადაც პრიზი დაიმსახურა. შემდეგ მოსკოვიდან მოწვევა გამოგვიგზავნეს, წავედით და 10 დღე ვცხოვრობდით სასტუმროში. მაშინ პირველად ვნახე ფერადი ტელევიზორი. ამ გამოფენაზე იყო გამოტანილი. თუ არ ვცდები, 1964 წელი იყო. მაშინ 14 წლის ვიყავი.

***— ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკიდანაც იყვნენ ჩამოსული ბავშვები?***

— კი. მახსოვს, პრიზები გადმოგვცეს, პატარა რადიომიმღებით დაგვაჯილდოვეს, არადა, მაშინ დიდი რადიომიმღებები იყო. თბილისში რომ ჩამოვიტანე, ყველას უკვირდა, როგორ იჭერდა პატარა რადიომიმღები, რომელსაც ანტენაც კი არ ჰქონდა.

***— ფეხბურთის გარდა, სპორტის სხვა სახეობაზეც დადიოდით?***

— კი, თითქმის ყველაფერზე დავდიოდი. „დინამოს“ სტადიონთან ახლოს ვიყავი. დაწყებული ფეხბურთიდან, დამთავრებული სიმაღლეზე ხტომით, ყველაფერზე დავდიოდი. ბადმინტონზე დავდიოდი და მისი სიყვარულით დღეს ვარ ბადმინტონის ფედერაციის პრეზიდენტი.

***— ბადმინტონს კარგად თამაშობთ თუ საშუალოდ?***

— მოყვარულის დონეზე კარგად ვთამაშობ, სერიოზულ შეჯიბრებებში მონაწილეობა არ მიმიღია. სამწუხაროდ, ეს ოლიმპიური სახეობა არ არის, ფინანსებიც ჭირს, დარბაზებიც.

***— მუსიკალური განათლება გაქვთ?***

— სამწუხაროდ, სპილომ დამაბიჯა ყურზე ფეხი... თუმცა, მუსიკა ძალიან მიყვარს.

***— კარგ და ცუდ მუსიკას არჩევთ?***

— როგორ ვერ ვარჩევ. ხანდახან ჩემი მეუღლე მეუბნება: იგონებ, თითქოს სმენა არა გაქვსო. ხმებს ისე ვარჩევ, რომ თუ პირველი ან მეორე ხმა ცუდად მღერის, ნერვები მეშლება, მაგრამ მე თვითონ ვერაფერს ვაკეთებ. სხვისი მოსმენა შემიძლია, დიდ სიამოვნებას ვიღებ, როცა კარგად მღერიან.

***— სუფრასთან არ მღერით?***

— არასდროს.

***— გულში მაინც არ ღიღინებთ?***

— გულში ყოველთვის ვღიღინებ, „ამირან გულში მღეროდაო“...

***— როგორი თამადა ხართ?***

— სხვათა შორის, ადრე ხშირად მიწევდა თამადობა. სანამ დეპუტატი გავხდებოდი, თბილისის მთავრობის წევრი ვიყავი, „თბილისის კორპუსის“ უფროსი. მანამდე ვიყავი „თბილისის მეტროპოლიტენის“ გენერალური დირექტორი. მერიაში მუშაობის დროს, ეტყობა, წლოვანებიდან გამომდინარე, თამადობა მიწევდა.

***— როგორი თამადა ხართ?***

— ჩემი აზრით, ქართველი თამადა იმდენად საინტერესო მოსაუბრე უნდა იყოს, რომ სუფრის წევრები პირდაღებულნი უსმენდნენ. ბევრნი არიან ასეთი თამადები. მათთან ერთად სუფრასთან როდესაც ხარ, სმაც გავიწყდება და ჭამაც.

***— სუფრიდან ადამიანის გაძევება შეიძლება?***

— არა. არა მგონია, ეს ქართული ტრადიცია იყოს.

***— სამეგრელოში გაიზარდეთ. მეგრული კერძების მომზადება იცით?***

— სამწუხაროდ — არა, სამაგიეროდ, მეუღლეა კარგი დიასახლისი. ისე, უცნაურია, ჩემი მეუღლე ბერძენიშვილია, მე — კიკალეიშვილი. ორივე მიბმული ვართ სამეგრელოზე, ორივე სამეგრელოში გავიზარდეთ. ჩემი მეუღლე მეგრულ კერძებს მშვენივრად ამზადებს.

***— მარტო რომ დარჩეთ სახლში, სადილს ვერ მოიმზადებთ?***

— როგორ არა... ერთი პერიოდი ალჟირის სახალხო რესპუბლიკაში ვმუშაობდი, საბჭოთა კავშირის ეგიდით ვიყავით 5 კაცი წასული, წყალს ვეძებდით, გეოლოგებთან ერთად ვმუშაობდი. იქ დამოუკიდებლად მომიწია ცხოვრება. ასე რომ, მარტო თუ დავრჩი, შიმშილით არ მოვკვდები, ხორცით კარგ საჭმელს გავაკეთებ.

***— მაგალითად, რას?***

— ხორცისგან ბევრი რაღაცის მომზადება შეიძლება, მოთუშავ, მოხრაკავ და შეაზავებ.

***— ალჟირში ძირითადად რას მიირთმევდით?***

— ცხვრის ხორცს, აქლემის ხორციც მიჭამია.

***— როგორი ხორცი აქვს აქლემს?***

— ჩვეულებრივი. ერთხელ მერიიდან გერმანიაში ვიყავი, გაცვლითი პროგრამა იყო. თბილისის დაძმობილებული ქალაქია ზაარბრიუკენი. მასპინძელმა რესტორანში დაგვპატიჟა. საზღვარს გადავედით და საფრანგეთში აღმოვჩნდით. ერთ-ერთ კერძად ბაყაყი მოიტანეს. მასპინძელმა არ გვითხრა, როდესაც შევხედეთ, მხოლოდ ბარკლები იყო და შებრაწული წიწილა გვეგონა. მივირთვით, კი მივხვდით, რომ წიწილა არ იყო, მაგრამ ვიფიქრეთ, გარეული ფრინველიაო. მასპინძელმა მერე გვითხრა, რომ ბაყაყი იყო. მაინცდამაინც აღფრთოვანებული არ დავრჩენილვარ. ჯარში როცა ვიყავი, ცხენის ხორციც გამისინჯავს. ჩემთან ერთად ჯარში უზბეკები იყვნენ. მათ ჩამოუვიდათ ცხენის დამარილებული ხორცი და მაშინ გავსინჯე.

***— ალჟირში ცხვრის ხორცისგან ძირითადად რას ამზადებდნენ?***

— აქაც ამზადებენ ამას. ალბათ, ჩახრაკული უნდა დავარქვათ. ცალკე ხორცია მოთუშული, ცალკე — ხახვი და სხვა ინგრედიენტები. მე ძალიან მიყვარს ცხვრის ყველი, „ჩაქაფულზე“ ვგიჟდები.

***— რაც შეეხება ღვინოს, რომელი ღვინო მოგწონთ?***

— კახური.

***— ზოგიერთი ამბობს, რომ 7 ლიტრი ღვინის დალევა შეუძლია. თქვენ ამ კუთხით როგორ ხართ?***

— ამდენი არასდროს დამილევია. ჩემი მაქსიმუმი 3 ლიტრია. მეტის დალევის სურვილი არასდროს მქონია. ადამიანი ისე არ უნდა დათვრეს, რომ სახე დაკარგოს და მეორე დღეს ბოდიში იხადოს. როდესაც შევატყობ, რომ მთვრალი ვარ, აღარ ვაგრძელებ.

***— ღვინის დაყენება შეგიძლიათ?***

— კი, ღვინოს ვაყენებ. შარშან არ დამიყენებია, თორემ, ყოველ წელს მე და ჩემი ძმა რქაწითელს ვყიდულობთ და ვწურავთ. სათანადო მოწყობილობა გვაქვს, არაყიც გამომიხდია.

***— ე.ი. კარგ და ცუდ ღვიინოს მარტივად არჩევთ?***

— კი. ღვინის დაყენება ვიცი კახურად, ქალაქურად, ბოლომდე რომ არ აცალო დაღვინება, რათა შუშხუნა გამოვიდეს, მოკლედ, მრავალი ტექნოლოგიაა. ახლა ცოტა გული მაწუხებს და ყოველდღე, როგორც წამალს, ისე ვსვამ ერთ-ორ ჭიქა წითელ ღვინოს, ძირითადად საფერავს.

***— რაც შეეხება თქვენს ოჯახს, რამდენი შვილი და შვილიშვილი გყავთ?***

— ორი შვილი მყავს: დავითი და თამარი. დავითი ადვოკატია, თამარი — არქიტექტორი.

***— რამდენი შვილიშვილი გყავთ?***

— დავითს სამი ქალიშვილი ჰყავს: კესო, ნინი და ბარბარე. ვიცი, რომ გაჩერებას არ აპირებენ. ძალიან კარგი რძალი მყავს, რომელიც ამბობს: ღმერთი რამდენ შვილსაც მომცემს, იმდენს გავაჩენო. ამას მეც მივესალმები. თამარს ჰყავს ერთი შვილი — 4 წლის ნიკუშა.

***— შვილიშვილები ბაბუას გეძახიან თუ სახელით მოგმართავენ?***

— ხან სახელით მომმართავენ, ხან ბაბუკას მეძახიან.

***— შვილიშვილებს ათამამებთ?***

— კი.

***— არასდროს დაგიყვირიათ შვილიშვილებისთვის?***

— შვილებისთვის არ დამიყვირია და შვილიშვილებს როგორ დავუყვირებ? არადა, ზოგჯერ ცელქობენ, მაგრამ არასდროს ვუყვირი.

***— არც შენიშვნებს აძლევთ?***

— შენიშვნა შეიძლება მივცე, მაგრამ, არა იმ ფორმით, რომ დავსაჯო.

***— საჩუქრებს ხშირად რომელი შვილიშვილი გთხოვთ?***

— ნიკუშა, გათამამებულია, იმიტომ რომ ჯერჯერობით ერთი ჰყავთ.

***— ძირითადად რას ითხოვს?***

— მანქანებს. 4 წლის ბავშვს ძირითადად „კინდერი“ და მანქანები უნდა. ვერ ვიტყვი, რომ მთელი ჩემი ბიუჯეტი ამაზე მიდის, მაგრამ, გარკვეული ნაწილი ამაზე მიდის.

***— ნიკუშას მანქანების დამტვრევა უყვარს?***

— ძალიან. აინტერესებს, მანქანები შიგნით როგორ არის მოწყობილი. რომ არ დაამტვრიოს, არ შეუძლია. მაქსიმუმ 2 დღე შეიძლება გაუძლოს მანქანამ, მესამე დღეს მანქანა გამოშიგნულია.

***— თქვენ თქვით, რომ შვილიშვილებს შენიშვნებს ხშირად არ აძლევთ, მაგრამ, თქვენ თუ გაძლევთ დედა შენიშვნებს?***

— ხანდახან. დედაჩემი, მედეა კიკალეიშვილი-სურმავა, 87 წლის არის. სათვალეს დღემდე არ ხმარობს. საკმაოდ კარგი ფილოლოგია, ხშირად წერს სტატიებს. მკაცრი დედა არ არის, ძალიან თბილია, მაგრამ შენიშვნებს მაძლევს, მეუბნება, ყველას ყურადღება მიაქციე, დეპუტატობა თავში არ აგივარდესო.

თეა მარხვაი ე

# ისრაელმა დავით ბაქრაძის ვიზიტი ჩაშალა

## რითი დასრულდება ებრაელ ბიზნესმენებთან დაკავშირებული სკანდალი



**საქართველოსა და ისრაელს შორის მალე შეიძლება ვითარება სერიოზულად გამწვავდეს. ამის ნიშნები უკვე აშკარაა. საქართველოს ხელისუფლება კი ისევ ჯიუტად ამტკიცებს, რომ ისრაელთან დაკავშირებით ყველაფერი წესრიგშია. არადა, ცოტა ხნის წინ ისრაელმა საქართველო სახიფათო ქვეყნების სიაში შეიტანა, რამდენიმე კვირის წინ კი თბილისში ცოტა ხნით ისრაელის საელჩოც დაიკეტა.**

ეს ამბები ორი ებრაელი ბიზნესმენის დაკავებას უკავშირდება. ებრაელი ბიზნესმენები საქართველოში გასული წლის ოქტომბერში დააკავეს. ჩვენი ოპოზიციის მტკიცებით, ისინი საქართველოში ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ჩამოიტყუა. ამ ფაქტს დიდი საერთაშორისო რეზონანსი მოჰყვა. საქმეში ისრაელის ხელისუფლებაც ჩაერია. საქართველოს ხელისუფლება უარს აცხადებს დაკავებულების გათავისუფლებაზე.

საქართველოს პრეზიდენტმა ცოტა ხნის წინ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ ბიზნესმენების დაკავების ფაქტი საქართველოსა და ისრაელს შორის არსებულ მეგობრულ ურთიერთობას არ გააფუჭებდა.

როგორც ჩანს, ამისი იმედი ჰქონდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესაც. ის მომავალ კვირაში ისრაელში აპირებდა ოფიციალური ვიზიტით ჩასვლას. პარასკევს გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, ისრაელის ქნესეთის თავმჯდომარე რივენ რივლინმა დავით ბაქრაძეს ამ ქვეყანაში ვიზიტისაგან თავის შეკავება და სტუმრობის გადადება ურჩია.

რივლინის განმარტებით, მისი მოთხოვნა შიდა და გარე პოლიტიკურ გარემოებებს, ასევე, ნაწილობრივ, საქართველოში ებრაელი ბიზნესმენების დაკავებას უკავშირდება.

ებრაელი ბიზნესმენების დაკავებას საერთაშორისო რეზონანსი მოჰყვა. უცხოურ მედიაში ამ საკითხთან დაკავშირებით არაერთი წერილი გამოქვეყნდა. ქართველმა ოპოზიციონერებმა არაერთხელ განაცხადეს, რომ ებრაელი ბიზნესმენები ამ ხელისუფლების ტუსაღები არიან. ჩვენი ოპოზიცია იმასაც ამტკიცებს, რომ ისინი საქართველოში პრემიერმა გილაურმა ჩამოიტყუა.

ხელისუფლება ამ ყველაფერს ოპოზიციის ნაბოდვარს უწოდებს. თუმცა, როგორც ჩანს, ნიკა გილაურის მიერ გაგზავნილი წერილი ბევრს აქვს ნანახი. ამ წერილის შესახებ ავტორიტეტული გამოცემა „ბლუმბერგ ბიზნესვიკიც“ წერს. გამოცემამ საქართველოში დაკავებულ ბიზნესმენებზე ვრცელი წერილი გამოაქვეყნა, რომლის თარგმანსაც საიტი „ფორეიგნპრესი“ გვთავაზობს.

სტატიის ავტორი პოლ ბარეტი მკითხველს აუწყებს, რომ საქართველოს რესპუბლიკას სურს, მთელმა მსოფლიომ გაიგოს, როგორ აღმოიფხვრა აქ კორუფცია. და თუ კორუფცია საქართველოში აღარ არის, ამ შემთხვევაში ბარეტის აინტერესებს, რატომ ზის საქართველოს ციხეში რონი ფუქსი, ბიზნესმენი, რომლისაც თბილისს 100 მილიონი მართებს.

### გილაურის მოსაწვევი

ჩვენი ხელისუფლება გამუდმებით იმას გვიმტკიცებს, რომ გონებიდან საბჭოთა მენტალიტეტი და აზრები უნდა განვდევნოთ. ამ დროს კი ირკვევა, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ოფიციალურ წერილებს საბჭოთა სიმბოლიკით აგზავნის. ასეთი წერილი გაუგზავნა მან ებრაელ ბიზნესმენსაც. ეს შარშან ოქტომბერში იყო. მას შემდეგ საქართველოში საბჭოთა სიმბოლიკის გამოყენება აკრძალეს. იმედია, გილაური ახლა ასე გაფორმებულ წერილებს აღარ აგზავნის.

— გასულ ოქტომბერს ნავთობით მოვაჭრემ და შესაძლო მაგნატმა რონი ფუქსმა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურისგან უჩვეულო მოწვევა მიიღო. გილაური ფუქსს ბათუმში, შავი ზღვის საკურორტო ქალაქში ჩამოსვლას სთხოვდა, რათა დაესრულებინათ კომერციული დავა იმ 100 მილიონი დოლარის გამო, რომელსაც უკვე 15 წელია ფუქსი საქართველოს მთავრობისგან მოითხოვს. ასეთი შეხვედრა ყველა დეტალის განხილვის შესაძლებლობას მოგვცემს და უეჭველად პოზიტიურად აისახება საკითხთან დაკავშირებით მეგობრული გადაწყვეტილების მიღწევის პროცესზე, წერდა პრემიერ-მინისტრი ინგლისურად. დოკუმენტზე ოფიციალური ბეჭედი და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის შტამპი იყო, ხოლო გილაურს ხელი ლამაზად ჰქონდა მოწერილი. ფუქსმა გადაწყვიტა, გამგზავრებულიყო. ისრაელელ ბიზნესმენს თურქეთში ინვესტიციები აქვს და ქვეყნის საპატიო კონსულია. ეს პოზიცია ეკონომიკურ განვითარებასა და არაოფიციალურ დიპლომატიას ითავსებს. ის 15 წლის განმავლობაში ნიუ იორკში ენერგეტიკულ ბიზნესში მუშაობდა და ისრაელის პრეზიდენტ შიმონ პერესს მეგობრად მიიჩნევს. დაეყრდნო რა ბიზნესისა და პოლიტიკის ბნელ გზაჯვარედინებზე ათწლეულების მანძილზე მიღებულ გამოცდილებას, ფუქსმა გილაურის წერილი ისე გაიგო, როგორც ნიშანი იმისა, რომ საქართველომ, ბოლოს და ბოლოს, გადაწყვიტა, ამოეწურა დავა, რომელიც სათავეს ქვეყნის ქაოტურ წარსულში, მისი მოკოვიდან გამოყოფის შემდეგ, 1991 წლიდან იღებს, — წერს პოლ ბარეტი თავის სტატიაში.

მისი თქმით, როდესაც ბათუმში შეხვედრაზე შედიოდა, ისრაელელი ბიზნესმენი ფიქრობდა, რომ მომგებიან პოზიციაში იყო.

— 2010 წლის მარტში საარბიტრაჟო პანელმა ლონდონში დაადგინა, რომ თბილისს ფუქსისა და მისი ბერძენი პარტნიორის 98 მილიონი მართებს იმ ენერგეტიკული პროექტის გამო, რომლის ექსპროპრიაციაც საქართველომ 1990-იანი წლების დასაწყისში მოახდინა. გასაოცარი არაა, რომ საქართველო არ მიისწრაფვოდა ვალის გადახდისაკენ და ცდილობდა, სავალდებულო განაჩენი გაესაჩივრებინა, — ვკითხულობთ სტატიაში.

„ბლუმბერგ ბიზნესვიკი“ გვაუწყებს, რომ თბილისში ჩამოსვლამდე, 2010 წლის სექტემბერში, ფუქსი სტამბოლის ფეშენებელური ოტელის ნომერში საკითხის მოგვარებაზე სადისკუსიოდ საქართველოს წარმომადგენლებს შეხვდა. მოლაპარაკებები დაახლოებით 4 საათს გაგრძელებულა.

— მათ სიტყვიერ შეთანხმებას მიაღწიეს: იმის მაგიერ, რომ იურიდიული ბრძოლა გააგრძელოს, საქართველო შემცირებულ 72 მილიონს გადაიხდის, ოღონდ, ერთი მნიშვნელოვანი პირობით — ფუქსმა თანხმობა განაცხადა, ამ 72 მილიონიდან 7 ქართველი ჩინოვნიკებისთვის არაოფიციალურად გადაეხადა. უწოდეთ ამას გინდა ქრთამი, გინდა ჯილდო და გინდა მალარიჩი. ცხადია, რომ ის ეთიკური სტანდარტი არაა, რომელსაც ჰარვარდის ბიზნეს-სკოლაში ასწავლიან. წინადადებამ ფუქსი არ შეაჩერა და აი ახლა მას შეთანხმების ბოლომდე მისაყვანად პრემიერ-მინისტრის პერსონალური მოწვევაც ჰქონდა ხელთ. მას მხოლოდ ბათუმში ჩასვლა, ქართული ტელევიზიების კამერების წინ ხელის ჩამორთმევა და რამდენიმე ქაღალდზე ხელმოწერა სჭირდებოდა, რათა ყველაფრისთვის ოფიციალური სახე მიეცა, — წერს ავტორი.

ბათუმში მოვლენები სულ სხვა სცენარით განვითარდა. ფუქსი და მისი მეგობარი გისოსებს მიღმა აღმოჩნდნენ.

— როდესაც ფუქსი და მისი ისრაელელი კოლეგა, ზეევ ფრენკელი, 14 ოქტომბერს ბათუმში ჩავიდნენ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გაშლილ მშვენიერ სუფრაზე მათი სადღეგრძელოები შესვეს. ზუსტად მაშინ, როდესაც ხელმოწერის ცერემონია უნდა დაწყებულიყო, მინისტრის მოადგილემ ფუქსს პრივატული საუბრისთვის რესტორნის ზემო სართულზე ასვლა სთხოვა, თითქოს იმისთვის, რომ პრესისთვის გასაკეთებელი განცხადების დეტალები დაეზუსტებინათ. იმ დროს, როდესაც მისი ადვოკატების ყურადღება სასადილო ოთახში მთავრობის სხვა ჩინოვნიკებმა მიიპყრეს, ფუქსსა და ფრენკელს განუცხადეს, რომ ისინი დაპატიმრებულნი არიან. გილაურის წერილი სატყუარა აღმოჩნდა, ნაწილი იმ ოპერაციისა, რომელსაც ქართველები სამი თვეა გეგმავდნენ. ლიქიორით შეხურებული საუბარი სტამბოლში ფარული კამერებით ჩაიწერეს, რომელიც, ერთი შეხედვით, სრულიად უვნებელ მცენარეში ჩაემონტაჟებინათ. ფუქსი და ფრენკელი სხვადასხვა ოთახში გადაიყვანეს, გაჩხრიკეს, ჩამოართვეს პასპორტები და დაკითხეს. დაკითხვა ვიდეოზე ჩაიწერეს. ჩანაწერში ჩანს, თუ როგორ მიშტერებია ფუქსი, ზორბა კაცი, ელეგანტურ ნაცრისფერ კოსტიუმში გამოწყობილ ქართველ პროკურორს, რომელიც მის საფულეს სკურპულოზურად ათვალიერებს და სხვადასხვა ვალუტაში ითვლის ანგარიშებს. პროკურორი ფუქსის ნივთებს მეთოდურად ალაგებს სამხილებისთვის გამიზნულ პლასტიკურ პაკეტში. აქვე ბრალდებულთან არის ორი პირქუში შესახედაობის უსაფრთხოების აგენტიც. ფუქსი წარბს დაკეცილი თეთრი ცხვირსახოცით იწმენდს, მარჯვნივ ტრიალდება და ფანჯარას მოღუშული შესცქერის, — წერს პოლ ბარეტი ებრაელი ბიზნესმენების ნაღვლიან ისტორიაზე.

### საქართველოში ბიზნესის კეთება სარისკოა

პოლ ბარეტი თავის მკითხველს შეახსენებს, თუ რის წყალობით გადაურჩა საქართველო ომის შემდეგ განსაცდელს.

— მას შემდეგ, რაც საქართველოს რუსეთთან 2008 წელს ხანმოკლე, დამღუპველი ომი ჰქონდა, კონფლიქტი, რომელმაც ორი მოწყვეტილი ქართული რეგიონის გამო იფეთქა, საქართველომ უცხოური ბიზნესის მოზიდვისთვის ძალისხმევა გააორმაგა. ეს მარტივი საქმე როდია. სამხრეთ კალიფორნიაზე ამ ოდნავ პატარა ქვეყანაში მოსახლეობა 4.6 მილიონია, იმ 200 000 იძულებით გადაადგილებული პირის ჩათვლით, რომლებიც რუსეთთან კონფლიქტების გამო გაჩნდნენ. ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს მისეული მაჩვენებელი — 44 400 (რაც მას მსოფლიოში 149-ე ადგილზე აყენებს) 2009 წელს 7%-ით შემცირდა. ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველო ეკონომიკურ კრახს ომის შემდგომი საერთაშორისო დახმარების წყალობით გადაურჩა. ეს დახმარება საბოლოოდ 4.6 მილიარდს გაუტოლდება და ამ თანხაში აშშ-ის 1 მილიარდიც შედის. მისი მასშტაბების გათვალისწინებით, ქვეყანა დასავლური სახელმწიფოებისა და ვაშინგტონის ისეთი ყურადღების ობიექტი გახდა, რომელსაც შეიძლება არაპროპორციული ეწოდოს. ამის ახსნა ნაწილობრივ იმით შეიძლება, რომ საქართველო შავ ზღვაზე აკონტროლებს სტრატეგიულად მნიშვნელოვან პორტებს და კავკასიის მთების დიდ ფართობს, რომლებიც სამხრეთით რუსეთს ესაზღვრება. მთავრობა თბილისში ისეთივე დემოკრატიულია, როგორიც ნებისმიერი სხვა ამ რეგიონში და უფრო პროამერიკული, ვიდრე მისი მეზობლები. აეროპორტიდან თბილისისკენ მიმავალ მთავარ გზას პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის სახელი ჰქვია, — წერს „ბლუმბერგ ნიუსვიკი“.

სტატიის ავტორი საქართველოში არსებულ თვალშისაცემ მექრთამეობის ტრადიციაზეც საუბრობს.

— ქართული სოფლების უმრავლესობა ღარიბია, მთიანი თბილისი თავს იწონებს მდიდარი საცხოვრებელი ანკლავებით, ფართო კომერციული ქუჩებით, მომხიბვლელი რესტორნებითა და გალერეებით, თავდაჭერილი მართლმადიდებლური ტაძრებით, რომლებიც ბოლომდე არასდროს დანებებიან კომუნისტურ რეჟიმს. თბილისს ასევე ახასიათებს თვალშისაცემი ნეპოტიზმისა და მექრთამეობის ტრადიცია. გასულ წელს საქართველომ უამრავი ფული ჩადო იმაში, რომ ბი-ბისი-სა და სი-ენ-ენზე თავისი რეფორმატორული ძალისხმევის პოპულარიზება მოეხდინა. კამპანია გაიმართა უოლ სტრიტ ჯოორნალშიც, სადაც საქართველოს კორუფციასთან მებრძოლ ნომერ პირველ ქვეყნად აღწერდნენ. სხვები საქართველოს ბიზნესკლიმატის გამო ასეთი ოპტიმიზმით განმსჭვალულნი არ არიან. 2010 წლის მაისში არაკომერციულმა ორგანიზაციამ თბილისის მთავრობას საგადასახადო ტერორიზმი დასდო ბრალად, იმაში, რომ თავისი საფინანსო პოლიციის მეშვეობით აშინებს ბიზნესმენებს და დამატებითი ჯარიმებისა და შემოსავლების მიღების მიზნით მათ თანამშრომლებს ატუსაღებს კიდეც. „მთავრობა ზედმეტად ჩქარა მიმართავს საპატიმრო სასჯელს იმისთვის, რაც დასავლეთში უმნიშვნელო სამოქალაქო და საგადასახადო საკითხად იქნებოდა განხილული“, — მითხრა დევიდ ლიმ საუბარში, რომელიც „თბილისი მერიოტის“ მდიდრულად მორთულ ვესტიბიულში შედგა. დევიდ ლი საქართველოში ამერიკის სავაჭრო პალატის პრეზიდენტი და საქართველოში ყველაზე დიდი სატელეკომუნიკაციო ოპერატორის, კერძო ამერიკული კომპანიის, „მაგთიკომის“ გენერალური დირექტორია. მან დაასახელა გასული წლის „რამდენიმე საქმე“, როდესაც უცხოური კომპანიების თანამშრომლები წინასწარი გამოძიების გარეშე რამდენიმე თვით დააპატიმრეს, — წერს სტატიის ავტორი.

მისთვის „მაგთიკომის“ გენერალურ დირექტორს უთქვამს, რომ ადგილობრივი ბიზნესორგანიზაციები კიდევ უფრო ცუდ მდგომარეობაში არიან.

რაც შეეხება დაკავებულ ებრაელ ბიზნესმენებს, 14 ოქტომბრის დაპატიმრების შემდეგ ფუქსი და ფრენკელი სატუსაღოში, თბილისის ცენტრში გადაიყვანეს. გირაოზე მათ უარი უთხრეს და ისინი გისოსებს მიღმა უკვე ხუთ თვეზე მეტი ხანია არიან. თითოეულს ერთი თვის განმავლობაში ოჯახთან სამჯერ აქვს 15-წუთიანი სატელეფონო საუბრის უფლება. ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით ისინი დღეებს თბილისის ცივ, ცუდად განათებულ სასამართლოში, ქრთამის მიცემის ბრალდებით მიმდინარე პროცესზე ატარებენ. იმ შემთხვევაში, თუ მათ დამნაშავედ ცნობენ, 8-წლიან პატიმრობას მიუსჯიან.

— ფუქსს ადვოკატების მოზიდვის შთამბეჭდავი ნიჭი აქვს: გარდა ცნობილი ქართული საადვოკატო ფირმებისა, მის გუნდში შედიან ბარაქ ობამას თეთრი სახლის ყოფილი მრჩეველი, გრეგორი ქრეგი, აგრეთვე ჯეფრი რობერტსონი, დედოფლის მრჩეველი ლონდონიდან, რომელიც წარმოადგენდა „ვიკილიქსის“ მფლობელ ჯულიან ასანჟის ინტერესებს, როდესაც ის შვედეთში ექსტრადიციის თავიდან აცილებას ცდილობდა, მაგრამ საქმე მხოლოდ ფუქსსა და ფრენკელში არ არის. 2010 წელს თბილისის სასამართლოებმა ბრალდებულთა 99.96% დამნაშავედ ცნეს, — წერს „ბოლუმბერგი“.

სტატიის ავტორი იმ გზაზეც საუბრობს, რომელიც რონი ფუქსს თავისუფლებას მოუტანს.

— არსებობს ერთადერთი გზა, რომელმაც ფუქსს შეიძლება დაუყოვნებლივ მოუტანოს თავისუფლება: ეს არბიტრაჟის გადაწყვეტილებაზე უარის თქმაა. მისი ადვოკატების განცხადებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ჩინოვნიკმა ისრაელის ელჩს საქართველოში ოქტომბერში, პირად საუბარში უთხრა, რომ თუ ფუქსს თავისუფლების დაბრუნება სურს, მან ერთადერთი რამ უნდა გააკეთოს — უარი უნდა თქვას 100 მილიონზე, — ნათქვამია სტატიაში.

„ ფუქსი უარზეა. „ჩვენ აქ მძევლად ვართ აყვანილნი და საქართველოს მთავრობა გამოსასყიდს 100 მილიონს ითხოვს. ჩვენ არ გადავიხდით“, — განუცხადა მან თბილისის სასამართლოში გასულ თვეს ჟურნალისტებს. იმის გამო, რომ ჟურნალისტებთან ლაპარაკი აკრძალული აქვს, მან მათ წერილი თავისი მთავარი ადგილობრივი ადვოკატის, არჩილ კბილაშვილის მეშვეობით გადასცა. კარგად ინფორმირებულმა დიპლომატმა თბილისში დაადასტურა, რომ ქართველები ფუქსს გათავისუფლებას ჯარიმის გაუქმების სანაცვლოდ სთავაზობენ. ამ ადამიანმა ანონიმურობის დაცვა მოითხოვა, რათა მთავრობა არ განერისხებინა, — წერს პოლ ბარეტი.

როგორიც არ უნდა იყოს ფუქსის სასამართლო პროცესისა და შესაძლო აპელაციის შედეგი, მისი ისტორია იმის ილუსტრაციაა, თუ როგორი არაპროგნოზირებადი და სახიფათოა ბიზნესის წარმოება საქართველოსა და საერთოდ ყოფილი საბჭოთა იმპერიის ყველა დანარჩენ ქვეყანაში. ფუქსი ამტკიცებს, რომ ის ხაფანგში შეიტყუა მთავრობამ, რომელსაც არ უნდოდა სასამართლოს მიერ დადგენილი დიდი თანხის გადახდა.

— ნებისმიერი ადამიანი, რომელიც საქართველოში ბიზნესის წამოწყებას გადაწყვეტს, გაფრთხილებულ უნდა იქნეს. ამას საკუთარი რისკის ფასად აკეთებთ, — ამბობს ფოქსის ადვოკატი.

ჩვენს ხელისუფლებას ადრე ქართულ მედიაში გამოქვეყნებული კრიტიკული წერილები ნერვებს უშლიდა. ქართული კრიტიკის საფასურად ისინი უცხოურ გაზეთებს აფრიალებდნენ.

ჩვენი ხელისუფლება ახლა იმათაც შემოეკრიტიკათ. ხელისუფლებას ამ კრიტიკაზეც აქვს პასუხი. ყველა გაზეთი, სადაც საქართველოს ხელისუფლებაზე ცუდი რამეები წერია, „გაზპრომისგან“ არის დაფინანსებული.

შორენა კოწოწაშვილი

# რატომ ემტერება ხელისუფლება მეუფე იობს?

## რა ხდება დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსში

**„თავისუფალი საქართველოს“ ხელმ ღვანელი კახა კუკავა და „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ ხელმ ღვანელი ეკა ბესელია ხელისუფლების მხრიდან მართლმადიდებლურ ეკლესიაზე შეტევის ახალ ეტაპზე ამახვილებენ ყურადღებას. ბესელია და კუკავა აცხადებენ, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტომ სასტიკად დაგმო დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსში მიმდინარე სამუშაოები და ეს ისე გააკეთა, რომ არ გაითვალისწინა და არ დააფასა ის სიკეთე და მამულიშვილური საქმე, რასაც ამ საზღვრისპირა ტერიტორიაზე მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენლები აკეთებენ.**

უფლებადამცველებს აშფოთებთ ხელისუფლების პოზიცია და პირადად აპირებენ დავით გარეჯის მონასტრის აღდგენის სამუშაოებში მონაწილეობას.





**ეს არის ხელისუფლების ბრძოლა ეკლესიის წინააღმდეგ. ეს ბრძოლა ხან ღია, ხან შეფარვითი ფორმით ცხადდება. მათ ძალიან კარგად იციან, რომ ამ ბერების უკან დგას მეუფე იობი. ეს იყო შეთანხმებული მეუფე იობთან და არა ბერების თვითნებური ქმედება. შემთხვევითი არ არის, რომ პროკურატურის და სისხლის სამართლებრივი რეპრესიული ზომების გამოყენებით მუქარით აკეთებს განცხადებას ვაჩეიშვილი.**

გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე როგორც კახა კუკავამ აღნიშნა, რამდენიმე დღის წინ ტელევიზიით გადაიცა სიუჟეტი, სადაც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ხელმძღვანელებმა სასტიკად დაგმეს დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსში მიმდინარე აღდგენითი სამუშაოები. გაუგებარია სააგენტოს ასეთი პოზიცია: შესაძლებელია გარკვეულ ტექნიკურ ხარვეზებს ნებისმიერი სამუშაოების დროს ჰქონდეს ადგილი, მაგრამ კახა კუკავას თქმით, სააგენტოს პოზიცია, რომ ნაცვლად დახმარებისა, ხელს უშლის აღდგენით სამუშაოებს, გარკვეულ ეჭვს ბადებს.

— განსაკუთრებით აღმაშფოთებელია სააგენტოს განცხადება, რომ მონასტრის ბერების პასუხისმგებლობის შესახებ საკითხს პროკურატურას გადასცემს. გასული საუკუნის 30-იანი წლების შემდეგ სამღვდელო პირების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი საქართველოში პირველად წამოიჭრა, რაც გვარწმუნებს, რომ ხელისუფლების ანტიეკლესიური კამპანია სულაც არ შეჩერებულა და ახალ ძალებს იკრებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ბერები აღდგენით სამუშაოებს მეუფე იობის კურთხევით აწარმოებდნენ, ხოლო ნიკა ვაჩეიშვილის მხრიდან ეს უკვე მეორე განცხადებაა მეუფე იობის სამწყსოს წინააღმდეგ, — აცხადებს კახა კუკავა.

აპროტესტებენ რა უფლებადამცველები ხელისუფლების პოზიციას და კონკრეტულად ნიკა ვაჩეიშვილის მიერ ტელევიზიით ეკლესიის წარმომადგენლის მიმართ გაკეთებულ მუქარის განცხადებას, საზოგადოებას მეტი სიფხიზლისკენ მოუწოდებენ.

— მოვითხოვთ, კულტურული მემკვიდრეობის სააგენტომ საჯაროდ წარმოადგინოს თავისი განმარტებები აღნიშნულ საკითხზე. იყო თუ არა გამოყოფილი ბიუჯეტიდან სახსრები კომპლექსის რეაბილიტაციისთვის და რა მიზნით იქნა გამოყოფილი ეს თანხები. ამასთან, ხელისუფლებამ უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რითი დასრულდა საქართველო-აზერბაიჯანის მოლაპარაკებები დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის მიმდებარედ სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციაზე, — აღნიშნა „თავისუფალი საქართველოს“ ხელმძღვანელმა კახა კუკავამ.

— ჩვენს განსაკუთრებულ აღშფოთებას იწვევს ვაჩეიშვილის განცხადება, რომ სამუშაოების წარმართვისთვის მონასტრის ბერები უნდა გადაეცეს პროკურატურას. ეს სტალინური რეპრესიების დროსაც არ დაფიქსირებულა საქართველოში და კარგად არა ვარ დარწმუნებული, ბატონ ვაჩეიშვილს ესმის თუ არა ამ სიტყვების არსი, — განაცხადა კახა კუკავამ და დაინტერესდა, ოფიციალურად იქნეს დაფიქსირებული ხელისუფლების მხრიდან, კონკრეტულად რა სამუშაოებს აწარმოებდა სახელმწიფო დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსთან დაკავშირებით.

კუკავამ ხელისუფლების გასაგონად ერთი ინიციატივაც გააჟღერა: ის და ეკა ბესელია გეგმავენ სამღვდელო პირებთან ერთად დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის აღდგენით სამუშაოებში მონაწილეობის მიღებას. ეს კი საქართველოს პროკურატურას საფუძველს მისცემს ბესელია და კუკავა, როგორც თანამონაწილეები, სისხლის სამართლის წესით იქნენ პასუხისგებაში მიცემული, რითაც სამღვდელო პირებს ნიკა ვაჩეიშვილი ემუქრება. კუკავა აცხადებს, რომ ეს იქნება მისი და ბესელიას მხრიდან ღია მხარდაჭერა იმ მშენებლობის პროცესისთვის, რომელიც სასულიერო პირების მხრიდან ხორციელდება დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსში.

ეკა ბესელია:

— პირველ რიგში, სოლიდარული ვარ ამ ინიციატივის და მხარს ვუჭერ. რა თქმა უნდა, ეს არის ხელისუფლების მორიგი კამპანია ეკლესიის წინააღმდეგ და სწორედ ამ კონტექსტში განვიხილავთ ნიკა ვაჩეიშვილის თავხედურ, უპასუხისმგებლო და მიუღებელ განცხადებას. ეს არ არის პირველი შემთხვევა. მან ორი წლის წინ, როდესაც ის იყო კულტურის მინისტრის მოადგილე, ერთხელ უკვე გააკეთა მსგავსი ტიპის განცხადება და მოიხმო საშველად პროკურატურა და სისხლის სამართლის წესით დასჯის მუქარით გამოვიდა ისევ მეუფე იობის ეპარქიის ბერების წინააღმდეგ. ეს არის უკვე ნიკა ვაჩეიშვილის მეორე მუქარა, რომელიც, რა თქმა უნდა, არის სახელისუფლებო ანტისაეკლესიო პროპაგანდის ნაწილი და არანაირი კავშირი არ არის აქ არც ძეგლთა დაცვის და არც ეროვნული ფასეულობების დაცვის წუხილთან. შეუძლებელია ნიკა ვაჩეიშვილი, რომელიც არის ხელისუფლების პოზიციის გამხმოვანებელი, მისი განცხადებები იყოს მოხელის განცხადებები, რომლის მთავარი სადარდებელია კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენა და ძეგლთა დაცვა. შეგახსენებთ, რომ სწორედ ამ სააგენტომ ჩაატარა სარეკონსტრუქციო სამუშაოები ყინწვისის მონასტერში. უნდა შემოწმდეს, რა სტანდარტებით მოხდა ამ სამუშაოების ჩატარება. რადგან იმ პრობლემებზე, რომელზეც საუბრობდნენ სიუჟეტში ვაჩეიშვილის მიერ მოხმობილი სპეციალისტები, რომ დაირღვა სტანდარტები, სწორედ იმ სტანდარტებით მიმდინარეობდა ყინწვისის რეკონსტრუქცია. ზოგადად ბევრ ეჭვს ბადებს და ბევრი კითხვის ნიშანი ჩნდება, ხომ არ არის აქ სხვა ინტერესი სააგენტოს შემთხვევაში. კერძოდ, მათთვის გამოყოფილი საკმაოდ სოლიდური თანხები, რომელიც უნდა მოხმარდეს ისტორიული ძეგლების აღდგენას, სამონასტრო კომპლექსების რეაბილიტაციას, როგორ იხარჯება და რამდენად მიზნობრივად. ეს არის ერთი კვლევის საგანი და შესაბამისმა კომპეტენტურმა პირებმა ეს საკითხი უნდა შეისწავლონ. მეორე მხრივ, სად იყო საერთოდ ეს სააგენტო და სად იყო სახელისუფლო ინსტიტუტები, ვისაც ევალება ამ სამონასტრო კომპლექსებზე მეთვალყურეობა, როდესაც ეს კომპლექსი ინგრეოდა და მიწაში ეფლობოდა დავით გარეჯელის მონასტრის საბერეების კომპლექსი, რომელიც თავისი მნიშვნელობით ბევრად აღემატება იქ ყველა ტაძარს და მონასტერს. ეს კომპლექსი ბერებმა არა თვითნებურად, არამედ მეუფე იობის ლოცვა-კურთხევით, შეთანხმებით, საკუთარი ხელებით დაასუფთავეს, გაწმინდეს მიწისაგან, აღუდგინეს ის სახე, რაც შესაძლებელს ხდიდა, ბერებს იქ კელიები მოეწყოთ და წირვა-ლოცვა გაეგრძელებინათ. „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ წარმომადგენელი აცხადებს, რომ როცა ხელისუფლების წარმომადგენლების მხარდაჭერა სჭირდება დავით გარეჯის მონასტერს, სწორედ ახლა ხდება ხელისუფლების წარმომადგენლის ნიკა ვაჩეიშვილის მხრიდან ანტიეკლესიური განცხადების გაკეთება.

— ჩვენ ვისმენთ გამაოგნებელ განცხადებებს, როგორ ემუქრებიან ბერებს, მღვდლებს. ეს არის ალბათ მეუფე იობის წინააღმდეგაც მიმართული კამპანია სისხლის სამართლის წესით დასჯაზე, — აღნიშნა ეკა ბესელიამ და კიდევ ერთხელ მოუწოდა ნიკა ვაჩეიშვილს, გააკონტროლოს საკუთარი განცხადებები. ამასთან ეკა ბესელია ფიქრობს, რომ საქართველოს პროკურატურისთვის უფრო საინტერესო უნდა იყოს თავად ვაჩეიშვილის სააგენტოს საქმიანობის და ფინანსების განკარგვის შესწავლა. ობიექტური დასკვნა უნდა დაიდოს, რამდენად მიზნობრივად არის ეს თანხები განკარგული.

ეკა ბესელია ნიკა ვაჩეიშვილის პასუხიმგებლობაზეც საუბრობს და მიაჩნია, რომ ვაჩეიშვილის განცხადებები იმსახურებს განსაკუთრებული პასუხის გაცემას საზოგადოების მხრიდან, რადგან ეს არ არის შემთხვევითი მოვლენა და ეს არის გამიზნულად გაკეთებული განცხადება.

— ქალბატონო ეკა, როგორ ფიქრობთ, ვაჩეიშვილის განცხადება უფრო ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული განცხადებაა თუ ყოფილი მინისტრი სამღვდელო პირების დანაშაულებრივ ქმედებებს გამოკვეთს?

— მე პირდაპირ შემიძლია ვთქვა, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე, რომ ეს არის ხელისუფლების ბრძოლა ეკლესიის წინააღმდეგ. ეს ბრძოლა ხან ღია, ხან შეფარვითი ფორმით ცხადდება. მათ ძალიან კარგად იციან, რომ ამ ბერების უკან დგას მეუფე იობი. ეს იყო შეთანხმებული მეუფე იობთან და არა ბერების თვითნებური ქმედება. შემთხვევითი არ არის, რომ პროკურატურის და სისხლის სამართლებრივი რეპრესიული ზომების გამოყენებით მუქარით აკეთებს განცხადებას ვაჩეიშვილი. მას ალბათ უნდა ადეიშვილის დახმარებით ჩამოაყალიბოს, რას ეძახის ის სარესტავრაციო წესების დარღვევას დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსში. ჩემთვის გაუგებარია, აქ რაიმე ტიპის სამართლებრივ კვალიფიკაციაზე ლაპარაკი. ვიმეორებ, თუ ლაპარაკია იმაზე, რომ დავით გარეჯის კომპლექსში ბერებმა მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრები გამოიყენეს, როგორც ჩვენ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს წარმომადგენლებმა გვითხრეს, იგივე ტიპის სტანდარტები მათ გამოიყენეს ყინწვისის მონასტერში აღდგენითი სამუშაოების ჩატარების დროს.



პრესკონფერენციის ბოლოს კახა კუკავამ არც ის ფაქტორი გამორიცხა, რომ საქართველოს ხელისუფლებას სურს მსგავსი განცხადებებით ასიამოვნოს აზერბაიჯანის ხელისუფლებას, რადგან ეს ტერიტორია მოლაპარაკების საგანია. კუკავას თქმით, აზერბაიჯანის ხელისუფლებას არ უნდა, რომ იქ იყოს სამონასტრო ცხოვრება და არ მიმდინარეობდეს წირვა-ლოცვა, რადგან ბერებიანი მონასტრის გადაცემა აზერბაიჯანისთვის ბევრად უფრო პრობლემატურია, ვიდრე უმოქმედო რელიგიური დაწესებულებისა.

— და რაც მთავარია, ამაზე უკვე ღიად შეიძლება საუბარი, აქ არის მეუფე იობის წინააღმდეგ განსაკუთრებული აგრესია ხელისუფლების მხრიდან. თეა თუთბერიძეები და მათი სხვა იდეოლოგები, განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩევიან მეუფე იობის მიმართ კარგად ცნობილი მოტივების გამო, — აღნიშნა ბოლოს კახა კუკავამ.

# სამოთხე ადამიანს მარხვამ დააკარგვინა და მარხვამვე უნდა აპოვნინოს

ნათია ხურცილავა

**ინტერვიუ სიონის საკათედრო ტაძრის მღვდელმსახურთან, დეკანოზ მამა გიორგი სანამაშვილთან.**

***— მამა გიორგი, დიდი მარხვის პირველი და ბოლო კვირა განსაკუთრებით მძიმეა. მრევლის ნაწილი უზეთო მარხვასაც კი იცავს. რას ნიშნავს მძიმე კვირა?***

— მარხვის შინაარსი ძალიან დიდია, რადგანაც ადამიანს სამოთხე მარხვამ დააკარგვინა და ისევ მარხვამ უნდა შეიყვანოს ადამიანი სასუფეველში. სწორედ ამიტომ მარხვის დაცვას დიდი მნიშვნელობა აქვს. რაც შეეხება მარხვის პირველი და ბოლო კვირის სიმძიმეს, ეს მაინც პირობითია, რადგან ფაქტიურად მარხვა თავისი შინაარსით თავიდან ბოლომდე მძიმეა. წლის განმავლობაში ოთხი დიდი მარხვაა, მაგრამ დანარჩენი მარხვების მაკურთხებელი მარხვა სააღდგომო მარხვაა. ამ პერიოდში წმინდა ეკლესიის მამები განსაკუთრებულად გამოხატავენ სინანულს. ეკლესიას წმინდა მამათა სწავლანი აქვს შემოკრებილი, მათი სინანულის კანონები. შესაბამისად, მორწმუნე მრევლს სინანულის რაობას ახსენებს, მის მნიშვნელობას და, საერთოდ, როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი ცოდვის ჩადენის შემდეგ, რომ მან თავისი შეცოდება სინანულის გზით გამოისყიდოს. ამ მარხვის პირველი კვირა ახსენეთ. პირველ კვირას იკითხებოდა წმინდა ანდრია კრეტის ეპისკოპოსის სინანულის კანონები, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია. ამ კანონებში შთამბეჭდავად არის წარმოდგენილი ის ღრმა განცდები, რაც თითოეულ ადამიანს, თითოეულ ჩვენგანს აწუხებს ცოდვის გამო. შესაბამისად, სულის მოთხოვნილებაა, რომ ცოდვას დაშორდეს და ღმერთს მიეახლოს. — ვინაი ვიწყო გლოვა საქმეთა ჩემთაო, — ამბობს სულშეძრწუნებული ანდრია კრიტელი, — საიდან დავიწყო გლოვაო. „რომელი დასაბამი ვყო ქრისტე გოდებისა ამის ჩემისაო, არამედ შენ შემიწყალე“. როგორც აღვნიშნეთ, ეს კანონები იკითხება დიდი მარხვის პირველი კვირის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათსა და ხუთშაბათს.

***— თუ შეიძლება, ზოგადად მარხვის მნიშვნელობაზე ვისაუბროთ. რას ნიშნავს გონებით მარხვა?***

— არსებობს საკვებით მარვხა, რაც მეორეხარისხოვანია, მაგრამ, ამავდროულად, იმდენად პირველხარისხოვანია, რომ მისი დაცვა, ვიმეორებ, ძალიან მნიშვნელოვანია. თუმცა, ბევრს ჰგონია, რომ მარხვა მხოლოდ საკვების აკრძალვაა. ასეთი მარხვა, რა თქმა უნდა, დიეტას ემსგავსება, თუ სულზე არ ვიფიქრეთ და სული გვერდით დაგვრჩა. თუ არ ვიფიქრეთ გამოსავლის ძიებაზე, მარხვის დროს თუ სინანული არ იქნა, თუ მარხვის თანმდევი არ გახდა სინანული, რა თქმა უნდა, ვიმეორებ, ასეთი მარხვა დიეტა იქნება და სხვა არაფერი. ძალიან მნიშვნელოვანია საკვების რაციონიც, სულისა და გონების მარხვა. ვაჟა-ფშაველა გამახსენდა, როდესაც მის პუბლიცისტურ წერილებს ვკითხულობდი. მას სადიდმარხვოდ აქვს წერილი გამოქვეყნებული, სადაც წერს, რომ არსებობს საკვების მარხვა, გონების მარხვა და სულის მარხვა. საკვების მარხვას ადამიანი გონების მარხვამდე მიჰყავს, გონების მარხვას — სულის მარხვამდე. ფაქტიურად, სამ ნაწილად ყოფს მარხვას ვაჟა-ფშაველა, რაც რეალურად ასეა.

***— გონების მარხვა ერთგვარი განრიდებაა გართობისგან, მძიმე ფილმების ნახვისგან, წვეულებებისგან?***

— დიახ, მართალს ბრძანებთ. ადამიანისთვის, რომელიც არ იღებს გარკვეულ საკვებს, რადგან ის მარხულობს, მაგრამ უყურებს ისეთ ფილმებს, არ იკლებს გართობას, დადის კინოთეატრებში, წვეულებებზე, არ იკლებს სანახაობას, ფაქტიურად სამფშვინველის მდგომარეობას იკმაყოფილებს, მოწოდებულია გონების მარხვა. ამ ადამიანს წმინდა ეკლესია გონების მარხვისკენ მოუწოდებს, რომ გონებას უნდა მოუწოდო აზროვნებისკენ, ახლა სად ხარ? რა მდგომარეობაში და რა პერიოდში? წლის განმავლობაში რა პერიოდს იხსენებ? ეს ის დროა, როდესაც ვიხსენებთ წუთისოფლის ჯოჯოხეთის ტყვეობისგან გამოხსნას მაცხოვრის მიერ. არანაირი უფლება არა აქვს ადამიანს, ამ დროს დღესასწაულობდეს, როდესაც იუდას მიერ მაცხოვრის გაცემა მოხდა. იუდას მიერ 30 ვერცხლის მიღება მოხდა. 30 ვერცხლად იუდამ საკუთარი მოძღვარი გაყიდა. ადამიანს არა აქვს არანაირი უფლება, რომ ის ამას უგულებელყოფდეს და ერთობოდეს. ვილაცა მეტყვის, იუდამ მაცხოვარი რომ გაყიდა, მე რა შუაში ვარო? რა თქმა უნდა, ასეთი ადამიანი უგუნური იქნება. მაცხოვარი რომ გაყიდა იუდამ 30 ვერცხლად, ეს სწორედ რომ ჩვენი პრობლემაა. მაცხოვრის წუთისოფელში განკაცებაც, მაცხოვრის წუთისოფელში მოღვაწეობაც, მისი ჯვარცმაც, დაფვლაც და ვნებაც ფაქტიურად თითოეული ადამიანისთვის არის, თითოეულ ჩვენგანს ეძლვნება. მაცხოვარმა ადამიანი გამოიხსნა ჯოჯოხეთის ტყვეობისგან და ღვთის სასუფევლამდე აიყვანა.

***— ბევრი ადამიანი ვერ იცავს მძიმე მარხვის პირველ და ბოლო კვირას უზეთო მარხვას, რაც ზოგისთვის მტკივნეულიც არის. რას იტყვით?***

— უზეთო მარხვა მონასტრული ტიპიკონით მონასტრებშია. თუ, რა თქმა უნდა, ამას ერში ვინმე იცავს, ძალიან კარგია. მოძღვრები, ეკლესიის წმინდა მამები იცავენ პირველსა და ბოლო კვირას უზეთო მარხვას. ვინც ვერ იცავს, ეს მოძღვრის ლოცვა-კურთხევით არის, ასევე მოძღვრის ლოცვა-კურთხევით, თუ ადამიანი ფიზიკურ უძლურებაშია, შეუძლია მიიღოს რძის ნაწარმი. ეს ყველაფერი ინდივიდუალურია. ადამიანი, რომელიც ცდილობს, მარხვა შეიმსუბუქოს არა რამე სერიოზული მიზეზით, არამედ იმის გამო, რომ ის ვერ ელევა რამე საკვებს, ეს, რა თქმა უნდა, სირცხვილია. ასევე სირცხვილია სამარხვო ტორტის, სამარხვო კატლეტის ხსენება, ისეთი კერძებისა, რომლებიც ფაქტიურად გემოთმოყვარეობასთან არის დაკავშირებული. მარხვა გემოთმოყვარეობისგან განრიდებაა.

***— მძიმე მარხვის ბოლო კვირა განსაკუთრებულად გამოირჩევა შინაარსობრივი თვალსაზრისით...***

— ბოლო კვირა ძალიან მძიმე დღეებია და მისი მნიშვნელობა განუზომლად დიდია. დიდ ორშაბათს, დიდ სამშაბათს სპეციალური ლოცვები იკითხება ეკლესიაში. ეკლესია განსაკუთრებულად აძლიერებს ლოცვებს. ამ პერიოდში ვიხსენებთ იუდას მიერ მაცხოვრის გაცემას, შემდეგ ფარისევლებისა და სადუკევლების მიერ მაცხოვრის შეპყრობას გეციმანიის ბაღში. ასევე წმინდა ეკლესია იხსენებს გეციმანიის ბაღში მაცხოვრის ლოცვას. დიდი ორშაბათი, დიდი სამშაბათი და დიდი ოთხშაბათი გამორჩეულია იმით, რომ ოთხთავი სრულად იკითხება. დიდ ორშაბათს წმინდა ეკლესია მათეს სახარებასა და მარკოზის სახარების ნახევარს კითხულობს, შემდეგ მარკოზის სახარებას ასრულებს დიდ სამშაბათს და ლუკას სახარებას კითხულოს ბოლომდე. დიდ ოთხშაბათს იკითხება მხოლოდ იოანე ღვთისმეტყველის წმინდა სახარება. დიდ ოთხშაბათსვე იხსენებს წმინდა ეკლესია მაცხოვრის გაცემას იუდას მიერ. დიდ ხუთშაბათს საიდუმლო სერობაა, როდესაც მაცხოვარი წმინდა ზიარებას დააწესებს. როდესაც ღვინით სავსე სასმისს ასწევს, აკურთხებს




მას და გარდააქცევს მის წმინდა სისხლად, შემდეგ პურს გატეხს და იტყვის: მიიღეთ და ჭამეთ, ვინაიდან ეს არის ხორცი ჩემი და ამას ჰყოფდეთ ყოველთვის ჩემს მოსახსენებლად. შემდეგ წარმოსთქვამენ გალობას და გავლენ გეციმანიის ბაღში, სადაც მაცხოვარი ილოცებს. დიდ ხუთშაბათს არის მაცხოვრის შეპყრობა და წითელ პარასკევს — ჯვარცმა. დიდ შაბათს საფლავშია დადებული და კვირას გამთენიისას მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომაა. ბრწყინვალე დღესასწაული მხოლოდ აღდგომის დღესაწაულია და არა სხვა რომელიმე დღესასწაული, როგორც ხშირად გვესმის ხოლმე. თითოეული დღესასწაული, რა თქმა უნდა, დიდია, მაგრამ არა — ბრწყინვალე. მხოლოდ აღდგომის დღესასწაულია ბრწყინვალე თავისი სიკაშკაშითა და სიდიადით.

***— მარხვის დროს, როგორც ვიცით, ბოროტის ბრძოლები გაძლიერებულია. როგორ უნდა დავიცვათ თავი?***

— მარხვის დროს განსაკუთრებულად ორმაგდება ბოროტის ბრძოლები. რადგან ადამიანი სიკეთისკენ მოდის, ეშმაკი თავისკენ ექაჩება. მას, რაც სიწმინდესთან უფრო ახლოს არის, ბუნებრივია, გაცილებით მეტი ბრძოლა აქვს. ამიტომაც ჰქვია ამ წუთისოფელში მოღვაწე ეკლესიას მებრძოლი ეკლესია, ზეციურ ეკლესიას კი — მოდღესასწაულე, მოზეიმე ეკლესია.

***— მარხვის განუყოფელი ნაწილია სინანული, აღსარება და ზიარება...***

— სწორად აღნიშნეთ, აღსარება სინანულის მდგომარეობაა. ადამიანი, რომელიც აცნობიერებს თავის ჩადენილ ცოდვას, ღრმა სინანულშია, განიცდის, გულშეძრწუნებული, სასოწარკვეთაში ჩავარდნილი, მოძღვართან მოდის და მას სთხოვს შემწეობას, რათა მოძღვარმა ილოცოს მისი გადარჩენისთვის. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ადამიანი ტაძარში მოდის და აღსარებას ამბობს. მას აქვს იმედი, რომ მისი სულის გადარჩენისთვის ილოცებს მოძღვარი. მაგრამ, არიან ადამიანები, რომლებიც ამ სიღრმეს ვერ აცნობიერებენ და ზედაპირულად მოდიან ტაძარში, მოძღვართან. დღეს თითქოს კარგ ტონად ითვლება ეს, სინამდვილეში კი წარმოდგენა არა აქვს, რა ხდება. ნებისმიერი სექტანტი რომ გავაჩეროთ, მათ გაცილებით უკეთ იციან წმინდა წერილი, ვიდრე თითოეულმა ქრისტიანმა. ეს ჩვენი სამწუხარო რეალობაა. ყველამ ჩავიხედოთ ჩვენს გულში, ჩვენს გონებას გადავხედოთ. გონების მარხვა მარტო იმას არ ნიშნავს, რომ ადამიანმა რაღაცებისგან აიკრძალოს თავი. ისიც უნდა გააცნობიეროს, თუ რატომ იკრძალავს თავს რაღაცისგან. რატომ არ უნდა გავერთო? რატომ არ უნდა ვჭამო? რატომ უნდა ვილოცო? რატომ უნდა მოვიდე ტაძარში? რატომ უნდა ჩავაბარო აღსარება? რატომ უნდა ვეზიარო? — ეს უნდა გააცნობიეროს ადამიანმა. სხვა შემთხვევაში ტაძარში მოდერნისტული სიარული ადამიანს სასჯელად ექცევა და არანაირად — სულის სალხენად. უფალი გულთამხილავია. ის ჩვენს გულს უყურებს და არა — ჩვენს გამომეტყველებას, ჩვენს გარეგნულ ფორმებს. მთავარია სული, ადამიანის შინაგანი მდგომარეობა. თუ გული შინაგანად ძალიან დამძიმებული გვაქვს, მანკიერებებით, ათასგვარი „საზრუნავით“ სავსე და არც კი ცდილობს მისგან გათავისუფლებას, რა თქმა უნდა, ასეთი ადამიანი ძალიან საშიშია. მით უფრო გაუგებარია, მას ერქვას მორწმუნე და ეკლესიური.

***— მოდერნისტული მდგომარეობა ახსენეთ. დღეს ტაძრებში ადამიანების მომრავლება ერთგვარი მოდაა თუ გაცნობიერებულად დადიან ადამიანები, რადგან ეს მათი სულის მოთხოვნილებაა?***

— მადლობა ღმერთს, უმეტეს შემთხვევაში, ვფიქრობ, ეს გაცნობიერებული მდგომარეობაა, თორემ, ღმერთმა დაიფაროს, გაუცნობიერებლად ვხედავდეთ ამდენ ადამიანს წმინდა ეკლესიაში. ეკლესია სწორედ ის წიაღია, რომელსაც ადამიანი გადარჩენისა და ცხონებისკენ მიჰყავს. არა მგონია, ეკლესიაში სანახაობას აჩვენებდნენ და ის იზიდავდეს ხალხს. ეკლესია ლოცულობს და ამ ლოცვისკენ მოწოდებული ადამიანი, ვფიქრობ, ღირსეულად დადის ეკლესიაში, მაგრამ, ალბათ, მაინც გამოერევა თითო-ოროლა, რომელიც ეკლესიის არსს ვერ აცნობიერებს და მხოლოდ იმაზე ფიქრობს, რომ რადგან მის დაქალს მოძღვარი ჰყავს, მასაც უნდა ჰყავდეს, რომ არ ჩამორჩეს. ზოგს მოსწონს, რომ ვილაცას სტიქარი აცვია და ისიც ითხოვს სტიქრით შემოსვას, მაშინ როდესაც საერთოდ წარმოდგენა არა აქვს, რა არის სტიქარი.

***— ასეთი მოთხოვნილებაც არის?***

— არის, სამწუხაროდ. მართალია, თითო-ოროლა, მაგრამ მაინც შეინიშნება. თუმცა, უმეტეს შემთხვევაში გაცნობიერებულია. შეიძლება პირველად, მეორედ ბევრი რამ ვერ გააცნობიეროს ადამიანმა, მაგრამ ეკლესია იმისთვის არის, რომ ამ ყველაფრის გაცნობიერებაში დაეხმაროს. ეს ყველაფერი იმისთვის არის, რომ ცხოვრების სარბიელზე თანდათან ადამიანს გონებისკენ მოუხმოს და სულიერება აღძრას მასში. თუმცა, ადამიანი მაინც ზედაპირულია. მაგალითად, ამბობს აღსარებას, აქვს სინანული, მაგრამ მეორე წუთში იმავე ცოდვას სჩადის, ადვილად არ პატიობს მოყვასს, რაღაცნაირად გაუხეშებულია, დაკნინებულია, არა აქვს სინანულის ისეთი სრულყოფილი განცდა, რაც უნდა ჰქონდეს, ამბობს, ვერ ვპატიობ და რა ვქნაო. როდესაც ადამიანს პატიება უჭირს, ეს ცუდის საწყისია. ადამიანი სწავლას, მითითებას ვერ იღებს, თუნდაც ეს მისი სულიერი მოძღვრისგან იყოს, იმ წუთში გაუხეშდება, გაქვავდება, გაგულისდება. ბევრი მოძღვარს იმის გამოც განიკითხავს, რომ მან შენიშვნა მისცა. მე ამ შემთხვევაში სრულიად ელემენტარულ რამეზე ვსაუბრობ, მაგალითად, ეკლესიაში სწორად დადგეს და ისე მოისმინოს წირვა-ლოცვა ან ფეხი ფეხზე არ ჰქონდეს გადადებული. ეს არის ელემენტარული ეთიკა. სამწუხაროდ, ამას მოძღვარი კი არა, ოჯახი უნდა ასწავლიდეს. ტაძრის ეზოში სიგარეტის წევით რომ არ უნდა შემოვიდეს, რომ არ უნდა, უკაცრავად და, იფურთხებოდეს, კედელზე არ იყოს უშნოდ ჩამოყრდნობილი, რომ არ დაემსგავსოს რაღაც ნივთს, რომელიც კი არ დგას, არამედ, უბრალოდ, დევს. ამას ვამბობ არა მხოლოდ ეკლესიაში ყოფნის დროს, არამედ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, ზოგადად. ადამიანი ყოველთვის ფხიზლად უნდა იყოს, გონება გახსნილი ჰქონდეს, სიჯანსაღისკენ უნდა იყოს მომართული და არა პირიქით.

***— ის პრობლემები, რაც თქვენ ბრძანეთ, რეალურია, ელემენტარული ეთიკაა, მაგრამ, ამას აკეთებენ ადამიანები, მაგალითად, ვერ აცნობიერებენ რომ სიგარეტით არ უნდა შემოვიდნენ ტაძრის ეზოში. რატომ?***

— ალბათ, მისთვის ეს არავის უთქვამს და არ უსწავლებია, რომ ეს არ შეიძლება. სამი რამ აყალიბებს პიროვნებას: ოჯახი, სკოლა და ეკლესია. დღეს ოჯახის პრობლემა დგას ხშირ შემთხვევაში, რაოდენ უცნაურიც და სამწუხაროც არ უნდა იყოს. ეს პრობლემა ძალიან მწვავედ და რთულად დგას. ხშირად მშობლებს შვილის აღზრდა კი არა, საკუთარი კეთილდღეობა აინტერესებთ, პირადი ინტერესების დაკმაყოფილებით არიან დაკავებულნი. ცოლი სხვაგან ეძებს ბედნიერებას, ქმარი — სხვაგან. შვილი, კარგ შემთხვევაში, ბებიისა და ბაბუის ანაბარაა მიტოვებული, ცუდ შემთხვევაში კი — მეზობლების ან ქუჩის. მეზობელს კი თავისი შვილისთვის ვერ უსწავლებია და სხვას რა უნდა ასწავლოს?! დღეს ყველაზე დიდი პრობლემა მშობლების მოუცლელობაა შვილისთვის. ეს მართლაც რეალური პრობლემაა დღეს. ბავშვი იზრდება ისე, რომ ელემენტარული ეთიკის ნორმები არ იცის, როგორ მოიქცეს არათუ ეკლესიაში, არამედ სკოლაში, ქუჩაში, ტრანსპორტში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. ეს დიდი პრობლემაა. არ იციან ეკლესიისადმი პატივისცემა. თუმცა, ახალი თაობის ბავშვები უფრო მოკრძალებულები არიან ეკლესიის მიმართ, მაგრამ პრობლემა ამ მიმართულებით, ვიმეორებ, რეალურად დგას.

***— მოუცლელობა აქტუალურია თანამედროვე ყოფაში. ტექნოლოგიების ბუმის პირობებში ადამიანი რაღაცნაირად უფრო ტექნიკური გახდა და ის შვილისთვისაც კი ვერ იცლის. რეალურად რამდენად არის საზოგადოებისთვის ეს პრობლემა?***

— არის და თანაც ძალიან დიდი პრობლემაა. ადამიანები თითქოს გაცივდნენ და უფრო გაუხეშდნენ. გული უუხეშდებათ. ეს, მე ვიტყოდი, მისი გაუბედურებული მდგომარეობაა. დიდ სიბნელეში ვართ და ვერც ვხვდებით. არც კი გვაწყობს ამ სიბნელიდან სინათლეში გამოსვლა.

***— რატომ?***

— იმიტომ რომ აკმაყოფილებთ ის ჭაობი, რომელშიც არიან. ამას წინათ ტელევიზიით გავიგე, რომ დედას ჩვილი გაუგუდავს იმის გამო, რომ ის ფეისბუკზე იყო და ბაღს რწყავდა თუ ღორებს უვლიდა. დედა ვირტუალურ სამყაროში თამაშობდა, რეალურ სამყაროში კი შვილი მოკლა იმის გამო, რომ ბავშვი ტიროდა, კვებას ითხოვდა დედისგან. ბალიში დააფარა და გაგუდა. ეს არის საშინელი მდგომარეობა, რეალური მაგალითი იმისა, თუ სადამდე შეიძლება დასცეს ეშმაკმა ადამიანი. ტექნიკის განვითარება სულაც არ არის ცუდი, ძალიან კარგია, მაგრამ, როგორ გამოვიყენებთ და საითკენ წარვმართავთ, ამას აქვს დიდი მნიშვნელობა. დარწმუნებული ვარ, ამ ფაქტით თითოეულ ადამიანს შეეძრა სული, მაგრამ იქნებ ჩვენ თავად იმავეს ვაკეთებთ, შეიძლება, კონკრეტულად შვილს არ ვკლავდეთ, მაგრამ ყურადღებას არ ვაქცევდეთ. ეს გაცილებით დიდი სიკვდილია. ბავშვი იზრდება უყურადღებოდ, უცოდინრობით, უპასუხისმგებლობის განცდით, რაც უფრო დიდ სიკვდილს შობს. მშობელი არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ პირადი ბედნიერებით. მას კარგად უნდა ჰქონდეს შეგნებული ის პასუხისმგებლობა, რომელსაც ჰქვია მშობლის პასუხისმგებლობა შვილის მიმართ.

# ფილმებს ვალებით ვიღებ

## როგორ ფილმებს არ გადაიღებს რეჟისორი ნიკოლოზ ხომასური ე

*ეკა ირემაშვილი*

**ქართველი რეჟისორი ნიკოლოზ ხომასურიძე, რომელიც პროფესიას ლოს ანჯელესის კინოსკოლაში დაეუფლა, კანის კინოფესტივალზე საკუთარი ფილმის „დავიწყებული მეფე" წარსადგენად ემზადება. ფილმი რეჟისორმა 105 წუთიანი უწყვეტი კადრით გადაიღო და ამით მსოფლიო რეკორდი დაამყარა. მის მიერ დაარსებული „ნიკოლოზ ფილმსი" კინოს მოყვარულებს კიდევ არაერთ გრანდიოზულ პროექტს შესთავაზებს.**

ნიკოლოზ ხომასურიძე ქართული კინოს მოყვარულ საზოგადოებას 17 მარტს „მამაჩემის გელფრენდს“ წარუდგენს, რომელიც საქართველოს კინოთეატრებში 17 მარტიდან გავა. ფილმში მონაწილეობენ დავით ქაცარავა, გიორგი მეგრელიშვილი, შორენა ბეგაშვილი, სალომე ფაღავა, ალეკო მახარობლიშვილი, სოფო სებისკვერაძე, იმედა არაბული, ანი იმნაძე. ფილმი შემოქმედებითმა ჯგუფმა ორ კვირაში გადაიღო. გადამღები ჯგუფის ქართველ წევრებთან ერთად გადაღების პროცესში ლოს ანჯელესიდან ჩამოსული ხმის ოპერატორიც მონაწილეობდა. ფილმი კრიმინალური კომედიაა და მასზე მისული მაყურებელი ბევრს იცინებს.

თუ რა გეგმები აქვს სამომავლოდ ნიკოლოზ ხომასურიძეს და გააუმჯობესებს თუ არა თავის რეკორდს, ამის შესახებ რეჟისორი „ახალ თაობას“ ესაუბრა.

**ნიკოლოზ ხომასურიძე:**

— „მამაჩემის გელფრენდი“ „ნიკოლოზ ფილმსის“ პროექტი არ არის. ის გადავიღე როგორც რეჟისორმა, მომეწონა სცენარი, საკმაოდ დინამიური ფილმი გამოვიდა, შემდგომ პროცესებში არ ვიყავი ჩართული, რადგან ცოტა დროში გაიწელა, მერე ავცდით ერთმანეთს, სხვა საქმეები გამომიჩნდა. დამთავრებული ფილმი რომ ვნახე, ძალიან მომეწონა. 14 დღეში გადავიღეთ. ჩვენ გვაქვს სისტემა, ცოდნა, გამოცდილება და კარგი დაგეგმვა, თან რაც უფრო ნაკლებ დროში იღებ, ნაკლები თანხა გეხარჯება. ამ ფილმზე მუშაობით გამოცდილება შევიძინე, ვიმუშავე ქართულ ჯგუფთან, რომელთანაც სხვა პროექტებშიც მაქვს თანამშრომლობის სურვილი. „მამაჩემის გელფრენდი“ თემატურად დინამიურია — კრიმინალური კომედიაა.

*— პრემიერაზე სიამოვნებით დაჯდებით დარბაზში?*

— კი, სიამოვნებით დავჯდები და მაყურებელთან ერთად ვუყურებ.

*— ახალი პროექტები რა გაქვთ? თუ წინასწარ არ გიყვართ თქმა?*

— მე პირიქით ვარ, მიყვარს, როდესაც ვამბობ და ვაგებინებ ყველას, რისი გადაღება და გაკეთება მინდა. ჩვენ გავაკეთეთ „დავიწყებული მეფე“, რომელიც არის 105 წუთი ერთ უწყვეტ კადრად, რაც დღესდღეობით მსოფლიო რეკორდია კინოინდუსტრიაში. ტექნიკურად რთულად შესასრულებელი იყო, მაგრამ გამოგვივიდა.

*— როდის გამოვა ფილმი?*

— ფილმი ოფიციალურად მაისში გამოვა, პირველი ჩვენება კანის კინოფესტვიალზე გვაქვს დაგეგმილი. „დავიწყებული მეფე“ მსოფლიო პროექტია. ძალიან ბევრი საინტერესო ადამიანი ჩამოდის სპეციალურად კანში ჩვენთან შესახვედრად, ინვესტორები, დაინტერესებული პირები, რომ შემდეგ პროექტებზე შევთანხმდეთ. ახლა სუბტიტრებს ვადებთ და ფილმს კანის კინოფესტივალში 14 მარტს გავაგზავნით.

*— სად ვითარდება ფილმის სიუჟეტი?*

— ფილმი იწყება სასტუმრო ტიფლისიდან, შემდეგ არის 11 კილომეტრი გზაზე, სანაპიროზე მანქანებით რბოლა და სრულდება ქართული ფილმის პავილიონში, სადაც აწყობილია 14 სცენა სამ სართულზე საქართველოს და მსოფლიოს სხვადასხვა ისტორიული მომენტებითა და პიროვნებების მონაწილეობით.

*— ასეთი ფილმის გადაღება რატომ მოგინდათ?*

— ძალიან პრესტიჟულია უწყვეტი კადრით ფილმის გადაღება თანამედროვე კინოში. ლოს ანჯელესის კინოსკოლაში პირველ სემესტრში გასწავლიან უწყვეტი კადრით ფილმის გადაღებას. 45 წამიდან იწყებ და 6 წუთამდე ადიხარ, ეს არის მაქსიმუმი. ექვსწუთიან უწყვეტ კადრზე ბევრი ვიწვალეთ. დამაინტერესა, რომელი იყო მსოფლიოში ყველაზე



გრძელი დუბლი. ეს აღმოჩნდა რუსული „კიდობანი“, რომელიც 90 წუთია. სხვა ფილმებიც მოვიძიე და შევისწავლე, აღმოჩნდა, რომ ასეთი ექსპერიმენტები ჰიჩკოკსაც დაუწყია, მაგრამ მას რვა ჭრა ჰქონდა ფილმში, იმიტომ, რომ მაშინ ფირები იყო და არ არსებობდა ციფრული. მერე ვიფიქრე, ამ ხალხმა თუ გააკეთა, ე.ი. შესაძლებელი ყოლფილა-მეთქი. შევისწავლე ეს მიმართულება, რადგან ასეთი მიმართლუების პროექტს რომ აკეთებ, ძალიან მაგრად ვითარდები. გადავწყვიტე, ეს გამოწვევა მიმეღო და უწყვეტი კადრით ფილმი გადამეღო. სცენარიც სპეციალურად ამ ფილმისთვის დაიწერა, გვინდოდა საინტერესო ყოფილიყო თავისი შინაარსით და ისტორიით. ეს ისტორიული ფანტასტიკა და დროში მოგზაურობაა. ეს ფილმი ჩემი სავიზიტო ბარათია კინოინდუსტრიაში. „დავიწყებული მეფისთვის“ დიდი მადლობა მინდა ვუთხრა „ქართულ ფილმს“, მათ ყველანაირად შეგვიწყეს ხელი, რომ ფილმზე უპრობლემოდ გვემუშავა. „ქართულმა ფილმმა“ ფინანსური მონაწილეობა არ მიიღო, მაგრამ პავილიონები, გახმოვანების სტუდია ყველაფერი დაგვითმო. დიდი მადლობა „სოკარს“. ეს არის კომპანია, რომელიც თავდებში დაგვიდგა ბანკთან, რომ სესხი აგვეღო და ფილმი გაგვეკეთებინა.

*— ფილმებს ვალებით იღებთ?*

— ეს ჩვეულებრივი ბიზნესია. ყველა ბიზნესს თანხა სჭირდება. ბიზნესისთვის იღებ სესხს, შემდეგ ბიზნესს მოაქვს მოგება, თან აბრუნებ სესხს და ასე გრძელდება.

*— მთავარ როლზე დათო ქაცარავა რატომ დააკავეთ?*

— დათო უკვე ბევრ მსახიობზე კარგი პროფესიონალია. ის ფიზიკურად კარგ ფორმაშია, მუშაობს თავის თავზე, სწორი ამბიციით არის და სწორ ნაბიჯებს დგამს. მომავალში მასთან თანამშორომლობას არ გამოვრიცხავთ.

*— მსახიობებმა როგორ მიიღეს 105 წუთი უწყვეტად მუშაობის შეთავაზება?*

— ჩემს გარდა არავის სჯეროდა, რომ გამოგვივიდოდა. მსახიობებსაც ძალიან გაუჭირდათ ამის დაჯერება. ყველამ იცოდა, რომ რაღაცას ვაკეთებდით, მაგრამ რომ გამოგვივიდოდა, ამის დაჯერება უჭირდათ. საბოლოოდ კი ჩვენ მივიღეთ ფილმი, რომელიც მსოფლიო რეკორდსმენია. მეორე დღეს დავსხედით და ფილმს ვუყურეთ ყველამ ერთად.

*— უწყვეტი კადრით ფილმს კიდევ გადაიღებთ?*

— არა. მეტჯერ ამის გამკეთებელი აღარ ვარ.

*— რეკორდი არ უნდა გააუმჯობესოთ?*

— სჯობს ეს რეკორდი სხვამ გააუმჯობესოს. მე საკმარისად ვიმუშავე.

*— კანის კინოფესტივალზე ფილმი კონკურსში მიიღებს მონაწილეობას?*

— ეს ჯერ არ ვიცით. ჩვენ თვითონ დავგეგმეთ ამ ფილმის ჩვენება ფესტივალის ფარგლებში. 15 აპრილს გახდება ცნობილი, მიიღებენ თუ არა საკონკურსოდ კანის კინოფესტივალზე ჩვენს ფილმს.

*— ამ ფილმს წარადგენთ საქართველოდან თუ ლოს ანჯელეს სკოლის სახელით?*

— ეს „ნიკოლოზ ფილმსის“ პროდუქციაა და ის ქართულია. ამით გვინდა დავამტკიცოთ, რომ ჩვენც, ქართველებსაც, შეგვიძლია კინოში შევქმნათ ისეთი პროდუქტი, თან ისეთ თემებზე, რომელიც მსოფლიო ბაზარს დააინტერესებს.

*— კიდევ რას გადაიღებთ?*

— ჩვენი შემდეგი პროექტი არის „ჯინსების თაობა“. დათო ტურაშვილისგან შევიძინეთ უფლება, რომ მისი „ჯინსების თაობის“ მიხედვით გადავიღოთ ფილმი. სცენარი გაკეთებულია, მიდის მზადება და 30 მაისს დავიწყებთ გადაღებებს. ამ ფილმში მსოფლიოში ცნობილი ვარსკვლავები მიიღებენ მონაწილეობას. მათთან ერთად იქნებიან ქართველი მსახიობებიც. ფილმი ინგლისურად იქნება.

*— თქვენ ფილმებს ძირითადად მეფეებზე იღებთ. დავიწყებული მეფე, მანამდე იყო დავით აღმაშენებელი. ისტორია ასე ძალიან გიყვართ?*

— მანამდე დავით აღმაშენებელზე გადავიღე ფილმი, რომელიც ჩემი სადიპლომო ნამუშევარი იყო. დავიწყებულ მეფე დემნა ბატონიშვილზეა. ძალიან მიყვარს ისტორია. იმიტომ წავედი სასწავლებლად ლოს ანჯელესში, რომ მინდა ჩემი ცოდნით საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი ფურცლები გავაცოცხლო. მაგარი თემებია საქართველოს ისტორიაში. დიდგორი სადიპლომო ფილმი იყო, მაგრამ 2012-ში იგეგმება უფრო დიდი პროექტი გაკეთდეს დიდგორის თემაზე. ისეთი გრანდიოზული გადაღებები იქნება, როგორც გლადიატორის, მამაცი გულის გადაღებებზე. ეს ძალიან დიდი პროექტია, მანამდე კი უნდა გავიზარდოთ და ვისწავლოთ, რომ ყველაფერი კარგად გამოგვივიდეს. მეტი სანდოობა მოვიპოვოთ, რომ ასეთი მასშტაბური პროექტი გავაკეთოთ.

*— თქვენ ამერიკული კინოსკოლა გაიარეთ. თქვენი გადმოსახედიდან, რა ეტაპზეა ქართული კინო?*

— ჩემი გადმოსახედიდან, რაც საქართველოში ხდება, ამ ეტაპზე უფრო ვიდეოწარმოებაა, ვიდრე კინოწარმოება, მაგრამ კარგია, რომ მიმდინარეობს პროცესები იმისთვის, რომ კინოინდუსტრიამ ნაბიჯ-ნაბიჯ წინ წაიწიოს. მთავარია კინოს სწორი სისტემის ჩამოყალიბება. სტუდენტმა კარგი განათლება უნდა მიიღოს, რომ მას შემდეგ ჯანსაღი ამბიცია გაუჩნდეს, რაღაც თავისი შექმნას. ამის გარეშე კინოინდუსტრია არ განვითარდება. ყველაფერი განათლებაზეა დამოკიდებული. თუ განათლებული კადრი არ გეყოლება, კინოინდუსტრიაც არ იქნება.

*— თქვენ გარდა კიდევ ვინმემ თუ მიმართა ლოს ანჯელესის კინოსკოლას?*

— არა. ჯერჯერობით ერთადერთი ქართველი ვარ. არ არის იქ მოხვედრა ადვილი. ყველანაირ გაჭირვებას გადიხარ, უნდა გაუძლო და სამშვიდობოს გახვიდე. თუ სწავლა არ გინდა, ამ ყველაფერს ვერ გადაიტან. მარტო სწავლაში ფულის გადახდა არ არის მთავარი. მონდომება აუცილებელია. რაც უფრო მეტი ადამიანი იქნება ჩემნაირი, უკეთესია. ერთად გავაკეთებთ ფილმებს. კინობიზნესი არის ის სფერო, რომელიც საქართველოს განავითარებს.

*— დიდგორი ამერიკელ მეგობრებთან ერთად გადაიღეთ. ახლაც თანამშრომლობთ მათთან?*

— მაისიდან უკვე საქართველოში ვარ. ჩვენ სულ ვთანამშრომლობთ, რადგან შეკრული გუნდი ვართ და ვმეგობრობთ. „მამაჩემის გელფრენდზე“ ადგილობრივი კადრები იყო, მხოლოდ ხმის ჩამწერი ადამიანი ჩამოვიყვანე. დავიწყებულ მეფეზე ათი ადამიანი წამოვიყვანე — კამერების, დიზაინის და კოსტიუმების დეპარტამენტი. ჯინსების თაობაზე აქაური კადრებიც იქნებიან, მაგრამ ეს იმ დონის პროექტია, რომ დიდი დონის კადრები გვჭირდება, ამიტომ ჩემი ამერიკელი მეგობრებიც იქნებიან ჩართული. რაც უფრო ინტერნაციონალურია შემოქმედებითი ჯგუფი და მსახიობთა დასი, მით უფრო კარგი პროდუქტი გამოდის, იმიტომ, რომ ყველა ერთმანეთისგან რაღაცს სწავლობს, გამოცდილებას უზიარებს, კონტაქტები მყარდება. მსოფლიო რეალურად ძალიან დაპატარავდა. რაც მეტი ნაცნობი გეყოლება სხვადასხვა ქვეყნიდან, მით უფრო საქმიანი და მდიდარი ხარ. ეს ინდუსტრიაა, არ უნდა გვინდოდეს ქართველებს, რომ მარტო ჩვენ გავაკეთოთ და სხვა არავინ გვაინტერესებდეს.

*— ჯინსების თაობაში ჰოლივუდის ვარსკვლავებს მოიწვევთ?*

— რა თქმა უნდა. ახლა ვაწერთ კონტრაქტებს ხელს, ამიტომ ჯერ ვერ ვიტყვი, ვინ იქნებიან ფილმში. მსოფლიო ვარსკვლავების რიცხვი 11-დან 15-მდე იქნება.

*— არ ჭირს მათი დაყოლიება?*

— გააჩნია მიდგომას და შენ მიერ განხორციელებულ პროექტებს, პერსპექტივას, ხედვას, სცენარს. ძალიან ბევრ რამეზეა დამოკიდებული ცნობილ ადამიანებთან ურთიერთობა. მიხარია, რომ ბევრი საკმაოდ ცნობილი მსახიობი წამოვიდა თანამშრომლობაზე. წესით, კარგი ფილმი უნდა გამოვიდეს.

*— ფინანსურად როგორ ახერხებთ ამ ყველაფერს?*

— ეს ჩვეულებრივი ბიზნესია. თუ გინდა ეს ბიზნესი, მაშინ რაღაც უნდა მოიფიქრო, ხალხი დააინტერესო, ხანდახან შენიც გაიღო. როგორც ბენზინგასამართი სადგურების ბიზნესი არსებობს, ასევეა კინობიზნესი. უბრალოდ, ეს უფრო ზედმეტად ჩანს, რადგან უფრო პრესტიჟული, ელიტარული და მაღალი დონის ბიზნესია. შენ უნდა იმოძრავო, გამოვიყენებ ჟარგონს და ვიტყვი „იჩალიჩო“, ისეთი პროდუქტი შექმნა, რომელიც გაიყიდება, თავის თავსაც ამოიღებს და მოგებასაც მოიტანს.

*— სპონსორების დაყოლიებას ახერხებთ?*

— ეს არ არიან სპონსორები, ეს ინვესტიციაა. ჩვენში სპონსორობა აღარ არის.

*— არ უჭირთ კინოში ფულის ჩადება?*

— შენ არ გაგიჭირდებოდა? როცა კინოში ფულს დებ და ის არ იყიდება, ხომ დაკარგავ ინტერესს? ჩვენ, „ნიკოლოზ ფილმსის“ წარმომადგენლები, ყველაფერს ვაკეთებთ, რომ კინოს ბიზნესი გახდეს მომგებიანი, რათა ხალხიც დაინტერესდეს. ჩვენთვის ეს ექსპორტია. გვინდა, რაც შეიძლება მეტი ფილმი გავიდეს საქართველოდან. ყველას კარგად ახსოვდეს, რომ ტურიზმი და კინო გადაჯაჭვულია ერთმანეთთან. გარკვეული პოლიტიკა უნდა იქმნებოდეს, კინოკანონმდებლობაც გადასახედია, რადგან ძალიან ძვირი ღირს საქართველოში ფილმის გადაღება. მაგრამ რადგან დიდი თანხა კინოში არ ტრიალებს, კანონების მიღება და დროის ხარჯვა ამ ეტაპზე არამომგებიანია, მაგრამ როცა დიდი ფულის ტრიალი დაიწყება, მაშინ უნდა გადაიხედოს თუ სერიოზული ბიზნესი უნდათ. ამით ყველა იხეირებს, ბიზნესიც, სახელმწიფოც და კინომწარმოებლებიც.

*— „ნიკოლოზ ფილმსი“ მხოლოდ ფილმებზე მუშაობს?*

— არა. ახლა დავიწყებთ მუსიკალურ რგოლებზე მუშაობას. სატელევიზიო პროექტზეც ვიმუშავებთ, მაგრამ ეს იქნება საერთაშორისო პროექტები.

*— ადგილობრივ პროექტებზე რატომ არ იმუშავებთ?*

— ჩვენი მიზანია, ისეთი პროექტები დავამზადოთ, რომელსაც მსოფლიო ნახავს. მიმაჩნია, რომ ადგილობრივი პროექტებით საკუთარ თავს ვიზღუდავთ. შეიძლება, როცა ჩვენი კომპანია ცოტა გაიზრდება, სხვა დეპარტამენტმა იმუშაოს ადგილობრივ პროექტებზე.

*— ამერიკაში ისევ წახვალთ?*

— კი, ზაფხულში ვბრუნდები ლოს ანჯელესში. შემდეგ ისევ ჩამოვალ და კიდევ ახალ პროექტებს განვახორციელებთ.

*— როგორ ეგუება ოჯახი თქვენს ასეთ გრაფიკს?*

— ეს ჩემი საქმეა, რომელიც ავირჩიე და ძალიან მიყვარს, ამიტომ უკვე ყველაფერს მიეჩვივნენ. ისე უნდა მოვიქცე, როგორც საქმეს სჭირდება. თან ხომ გითხარით, ეს მსოფლიო ძალიან დაპატარავდა-მეთქი.

*— არის კიდევ ისეთი მეფე, რომელზეც ფილმს გადაიღებთ?*

— საქართველოს ისტორიაში ბევრი კარგი მეფეა. ამ ეტაპზე გვაქვს ორი პროექტი, ერთი არის ქართული ღირსების მეომარი, რომელიც სამაჩაბლოს და აგვისტოს ომს ეხება და მეორე არის კომედია კლიპმეიკერებზე, რომელიც ლოს ანჯელესში ხდება. შემდეგი არის დიდგორი, მერე მამლუქი და შემდეგ ვეფხისტყაოსანი. ჩვენ 2014 წლამდე გრაფიკი უკვე გაწერილი გვაქვს, ამიტომ სხვა მეფეზე არ გვაქვს პროექტი. შეიძლება გადავიღო ფილმები გიორგი მეთერთმეტეზე, ვახტანგ გორგასალზე, ფარსმან ქველი იყო ძალიან მაგარი მეფე და თამარ მეფის სიცოცხლის ბოლო პერიოდი და გარდაცვალების მომენტი. ესენი უფრო შორეული პერსპექტივებია. დაახლოებით ორ წელიწადში დიდი მასშტაბის ფილმი უნდა გავაკეთოთ, ამიტომ მას დიდი მომზადება, დიდი ყურადღება სჭირდება. თუკი საშუალება მექნება, ყველა ქართველ მეფეზე გადავიღებ ფილმს.

*— ვინც ჩამოთვალეთ, პირადი სიმპათიით გყავთ შერჩეული?*

— კი, ეს მეფეები პირადი სიმპათიით შევარჩიე, თუმცა საქართველოს სხვა მეფეებიც არანაკლებ კარგები ჰყავდა. ვინც ჩამოვთვალე, ამ მეფეებზე გადაღებული ფილმები ისეთი თემები იქნება, რომელსაც მსოფლიო უყურებს. გამორჩეულად მყავს ექვთიმე თაყაიშვილი, რომელმაც ადამიანურ ცდუნებებზე გაიმარჯვა. არ მეგულება მეორე მსგავსი პიროვნება ამ მსოფლიოში. მას ანალოგი არ ჰყავს, ის ჩემთვის უდიდესი პიროვნებაა. ექვთიმეზე სცენარის გაკეთება უკვე დავიწყეთ და მასაც აუცილებლად გადავიღებთ.

*— ეს დოკუმენტური ფილმები იქნება?*

— არა, ჩვენ დოკუმენტურ ფილმებს არ ვაკეთებთ. ყველა ფილმი მხატვრული და სრულმეტრაჟიანი იქნება.

*— უახლოესი გადაღებები როდის გაქვთ?*

— 25, 26 და 27 მარტს გვაქვს გადაღებები მოკლე ფილმისა, რომლის რეჟისორიც გიორგი გერსამიაა. საინტერესო სცენარი მოგვაწოდა, ის ჩვენთან მუშაობდა „დავიწყებულ მეფეზე“. ფილმი იქნება მწერალზე, რომელიც ითხოვს, ჩასვან საკანში, რომ შემდეგ დაწეროს ნაწარმოები სიკვდილმისჯილებზე. სამდღიანი გადაღებები გვექნება, მე ვიქნები მისი პროდიუსერი და ასისტენტი. თუკი ასეთი საინტერესო სცენარები შემოვა, ყველანაირად გვერდზე დავუდგებით დამწყებ რეჟისორებს. ჩვენც ახლა ვიწყებთ, მაგრამ შედარებით მეტი გამოცდილება ნამდვილად გვაქვს. გვინდა, ამ სფეროში ბევრი საინტერესო ადამიანი გაერთიანდეს.

*— ქართული ფილმები ძირითადად ან ძალადობაზეა, ან ნარკომანებზე, რაც, რეჟისორთა აზრით, მომგებიანია. თქვენთვის არ არის ასეთი თემები მომგებიანი?*

— არ ვიცი, ვისთვის რა არის მომგებიანი, მაგრამ ამერიკაში ასეთი თემები ნაკლებად აინტერესებთ. ჩვენს ფილმებში არასოდეს იქნება არც სიგარეტი, არც ნარკოტიკი და არც ძალადობა. ჩვენ ჯანმრთელი ცხოვრების წესს „ვაწვებით“, რისთვისაც მინდოდა განათლება და რისთვისაც ვიწვალე, უნდა გამოვიყენო იმის კეთებაში, რაც მსიამოვნებს. რეალურ ფაქტებზე დაყრდნობილი ფილმები უფრო მაინტერესებს და ასეა მსოფლიო კინობაზარი. ჩვენ ქართულ ბაზარზე არ ვმუშაობთ. მსოფლიო ბაზარზე ნარკომანები და ძალადობა არავის აინტერესებს.

# ლეონარდო დი კაპრიოს ფრენის ეშინია

ლეონარდო ვილჰელმ დი კაპრიო ჰოლივუდის ყველაზე ნიჭიერი მსახიობების რიგს განეკუთვნება. მისმა ვარსკვლავმა პირველად ფილმ „რომეო და ჯულიეტას“ შემდეგ გაიბრწყინა, ხოლო ფილმმა „ტიტანიკმა“ საყოველთაო აღიარება მოუტანა.

ლეო 1974 წლის 11 ნოემბერს დაიბადა კალიფორნიის უდიდეს ქალაქ ლოს-ანჟელესში. მისი მშობლები ჰიპები იყვნენ და ერთმანეთს მაშინ დაშორდნენ, როდესაც ბიჭუნა 1 წლის იყო. თუმცა, ბავშვს ყურადღებას ორივე აქცევდა, რათა არც დედობრივი და არც მამობრივი მზრუნველობა მოჰკლებოდა.

ლეონარდო ძირითადად მაინც დედასთან ერთად იზრდებოდა ლოს-ანჟელესის ღარიბ კვარტალში. დი კაპრიო ძალიან დიდ პატივს სცემდა დედას და ახლაც, უკვე ჩამოყალიბებული ადამიანი, მის რჩევებს ისევ ითვალისწინებს.

2 წლისა და 6 თვის ლეონარდო პირველად აღმოჩნდა კამერების წინ, როდესაც მამამისმა პოპულარულ საბავშვო ტელეშოუში მიიყვანა. გადაცემის პროდიუსერები თავიდან აღტაცებულნი იყვნენ აქტიური ბავშვით, რომელმაც თავისებური კოლორიტი შეიტანა შოუში, მაგრამ მალე იძულებულნი გახდნენ, გადაცემიდან დაეთხოვათ, რადგან ლეონარდოს ქცევები არაკონტროლირებადი გახდა და დიდ თავსატეხს უქმნიდა გადამღებ ჯგუფს.

გარკვეული წლების შემდეგ ლეონარდომ უკვე ქალაქ სიდსის დაწყებით სკოლაშივე დაიწყო სამსახიობო კურსებზე სიარული, მაგრამ ეს მისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა და უფრო ღრმა განათლებისთვის ლოს-ანჟელესს მიაშურა. ლეომ ჯონ მარშალის სკოლაში ჩააბარა და მაშინვე მიხვდა, რაოდენ დიდი სურვილი ჰქონდა, ცოცხალი მაყურებლების წინაშე ეთამაშა. ეს ოცნება მალევე აუხდა და სკოლაში დადგმულ პიესაში ითამაშა.

## კარიერის დასაწყისი

1988 წელს დი კაპრიომ უკვე თავისი აგენტი იშოვა, რომელსაც 14 წლის ყმაწვილის ვარცხნილობა და სახელი განსაკუთრებით მოეწონა. ამ თანამშრომლობის შედეგად ლეონარდომ 30-მდე სარეკლამო რგოლში მიიღო მონაწილეობა და პარალელურად სასწავლო-დოკუმენტურ ფილმებშიც იღებდნენ.

იმავე წელს ლეონარდო იმ დროისთვის სუპერპოპულარულ სერიალებშიც გამოჩნდა — „ლესი“, „სანტა ბარბარა“, „როზანა“ და „მშობლები“. დი კაპრიოს პოპულარობა უფრო 1991 წლიდან უფრო გაიზარდა, როდესაც პირველად ითამაშა სრულმეტრაჟიან ფილმში „კიჭა 3“. სწორედ ამის შემდეგ ახალგაზრდა მსახიობებზე სერიოზული მოთხოვნები დაიწყო, 1993 წელს 400 კონკურენტს აჯობა და ფილმში „ამ ბიჭის ცხოვრება“ მთავარ როლზე დაამტკიცეს. ფილმში ლეონარდოს პარტნიორები რობერტ დე ნირო და ელენ ბარკინი არიან.

## „ოსკარის“ პირველი ნომინაცია

1993 წელსვე ლეონარდომ ძალები შვედი რეჟისორის ლას ჰალსტრიომის ფილმში „რა ესიამოვნება ჯილბერტ გრეიპს?“ მოსინჯა, სადაც ასევე უნდა ეთამაშათ ჯონი დეპსა და ჯულიეტ ლუისს. როდესაც ჰალსტრიომს ლეონარდოს ფოტო აჩვენეს, რეჟისორი წინააღმდეგი წავიდა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ მამის სიკვდილის შემდეგ თავის თავში ჩაკეტილი ბიჭის თამაშს დი კაპრიო ვერ შეძლებდა. თუმცა, ლეონარდო სინჯებზე იმდენად ნაყოფიერად მუშაობდა, რომ ჰალსტრიომი იძულებული გახდა, შეხედულება შეეცვალა და ფილმში მიიწვია. რეჟისორი არც შემცდარა — თვით კრიტიკოსებმა ძალიან მაღალი შეფასება მისცეს ლეონარდოს თამაშს და 1994 წელს „ოსკარის“ ნომინაციაზეც კი წარადგინეს, როგორც მეორეხარისხოვანი როლის საუკეთესო შემსრულებელი. ეს მართლაც აღიარება იყო, რადგან ლეონარდო იმ დროისთვის მხოლოდ 19 წლის იყო.

თუმცა, „ოსკარი“ ჩვენს გმირს მაინც არ ერგო და ის ტომი ლი ჯონსს გადაეცა. ამ ფაქტს თავად მსახიობი დიდად არ აუღელვებია, პირიქით, მოხარულიც იყო, რომ პრიზი სხვას ერგო.

— წარმოუდგენლად არ მიყვარს ფართო აუდიტორიის წინაშე გამოჩენა. მადლობელი ვარ ტომი ლი ჯონსის, რომელმაც მთელი მსოფლიოს წინაშე კონფუზს ამარიდა, — განაცხადა დაჯილდოების შემდეგ დი კაპრიომ.

მომდევნო წელი ლეონარდოსთვის უფრო გაწბილების გამოდგა. მსახიობი ერთბაშად 3 ფილმში მიიწვიეს და რეჟისორები დიდ იმედებსაც ამყარებდნენ მასზე, მაგრამ არც ერთ მათგანს აღიარება არ მოუტანია. თუმცა, ეს არა მსახიობისა და მისი პარტნიორების (ჯინ ჰეკმანი და შერონ სტოუნი), არამედ რეჟისორებისა და სცენარისტების ბრალი უფრო იყო.

ამის დასტური გახლდათ ლეონარდოს შემდეგი ფილმები — „კალათბურთელის დღიური“, „მარვინის ოთახი“ და „სრული დაბნელება“, რომელიც ძალიან სკანდალური გამოდგა და ლეონარდომ ჰომოსექსუალისტის როლი დიდებულად ითამაშა.

## „რომეო და ჯულიეტა“

1996 წელს ავსტრალიელმა რეჟისორმა ბაზ ლურმანმა საოცრად თამამი გადაწყვეტილება მიიღო და ულტრათანამედროვე ინტერპრეტაციით გადაწყვიტა, უილიამ შექსპირის კლასიკური ტრაგედია, „რომეო და ჯულიეტა“, გადაეღო.

შუა საუკუნეების რომანის ეკრანიზაცია მართლაც შთამბეჭდავი გამოდგა. ფილმი გაჯერებულია თანამედროვე ესთეტიკით, ძლიერი მუსიკალური რიტმებითა და ძალადობის წინააღმდეგ არის მიმართული. ლეონარდომ ერთი ამოსუნთქვითა და დიდი ემოციურობით ითამაშა რომეოს როლი. რეჟისორის თამამმა ჩანაფიქრმა გაამართლა. აღსანიშნავია, რომ „რომეო და ჯულიეტა“ გახდა ლეონარდოს მამის ყველაზე საყვარელი ფილმი, რომელშიც მის შვილს უთამაშია.

## „ტიტანიკი“

„რომეო და ჯულიეტა“ გახდა დი კაპრიოს უმთავრესი გზა დიდებისკენ. შექსპირის გათანამედროვეობული რომანის ეკრანიზაციის შემდეგ ლეონარდო ჯეიმს კამერონმა ფილმ „ტიტანიკში“ მიიწვია. წინასწარ არავინ იცოდა, რა ბედი ელოდა ფილმს, მაგრამ, როგორც შემდეგში გაირკვა, სწორედ „ტიტანიკი“ გახდა ლეონარდოს კოლოსალური წარმატების საწინდარი. კამერონს თავად არ მიუწვევია ლეონარდო, მისი სახელი მხოლოდ რეკომენდაციით მოხვდა რეჟისორთან. როდესაც კამერონს მსახიობის ფილმები აჩვენეს, ღიად განუცხადეს, რომ მას სწორედ ახალგაზრდა ვარსკვლავი სჭირდება, რომელიც დიდი დრამატული პოტენციალით გამოირჩევა. თუმცა, კამერონი დიდად აღფრთოვანებული არ დარჩენილა ლეონარდოთი და თვლიდა, რომ მას არ გააჩნდა ყველა ის თვისება, რომელიც მის გმირს სჭირდებოდა. როგორც



ადრე მოხდა, რეჟისორს მსახიობზე წარმოდგენა მხოლოდ პირადი შეხვედრის შემდეგ შეეცვალა — პირველი დანახვისთანავე ლეონარდომ იუმორის გრძნობა, უშუალობა და უსაზღვრო პროფესიონალიზმი გამოავლინა.

აღსანიშნავია ისიც, რომ თავად ლეონარდოსაც არ მიუცია მალე თანხმობა „ტიტანიკში“ თამაშზე, რადგან ბოლომდე დარწმუნებული არ იყო თავის თავში.

შედეგი კი ყველათვის ცნობილია — ლეონარდომ ამ ფილმში მიიღო „ოქროს გლობუსის“ პრემია მამაკაცის საუკეთესო როლის შესრულებისთვის, ხოლო თავად ფილმი „ოსკარის“ 14 ნომინაციაზე იყო წარდგენილი და 11 ქანდაკება გადაეცა. კოლოსალური იყო ფილმის შემოსავალიც, რომელმაც მილიარდ დოლარს გადააჭარბა.

თუმცა, ეს ფილმი მთავარი თავად ლეონარდოსთვის გამოდგა — დი კაპრიო ჰოლივუდში ერთ-ერთ ყველაზე მაღალანაზღაურებად მსახიობად იქცა, ხოლო მსოფლიოში უკვე დი კაპრიო-მანია დამკვიდრდა.

## „ტიტანიკის“ შემდეგ

ხშირად ხდება, რომ სწრაფ აღმასვლას ასევე სწრაფი დაღმასვლა მოჰყვება ხოლმე. მართალია, ლეონარდოს დაცემა ასეთი კატასტროფული არ ყოფილა, მაგრამ „ტიტანიკის“ გრანდიოზული წარმატების ფონზე მისი მომდევნო როლები ცოტა უფერულად გამოიყურებოდა და მასთან მიახლოებულიც არ ყოფილა. ჰოლივუდში ისეთი შთაბეჭდილებაც კი იქმნებოდა, რომ რეჟისორები მსახიობს მხოლოდ იმიტომ იწვევდნენ, რათა მისი ვარსკვლავური სახელი გამოეყენებინათ და სულ არ ფიქრობდნენ მის იმიჯზე. დი კაპრიოს ისეთ როლებზე იწვევდნენ, რომლებიც საერთოდ არ მიესადაგებოდა მსახიობს.



ასეთი იყო 1998 წელს გადაღებული ფილმი, „ადამიანი რკინის ნიღაბში“, რომელშიც დი კაპრიომ ერთბაშად ორი როლი ითამაშა — ახალგაზრდა მეფე ლუდოვიკო და მისი ტყუპისცალი ძმა.

ამ ფილმმა ვერანაირ კრიტიკას ვერ გაუძლო და დი კაპრიო წარდგენილი იყო „ოქროს ჟოლოს“ „ჯილდოზე“, როგორც ყველაზე ცუდი ეკრანული დუეტი. ასევე წარუმატებელი გამოდგა მისი თამაში ვუდი ალენის კომედიურ ფილმში „ცნობილი“ და ალექს გარლენდის ბესტსელერში „პლაჟი“.

„ტიტანიკის“ ირგვლივ შექმნილი ეიფორია წლების განმავლობაში თანდათან ქრებოდა. პარალელურად იკარგებოდა დი კაპრიოს სახელი და მისდამი ინტერესი უკვე ისეთი დიდი აღარ იყო.

თავად მსახიობი ძალიან განიცდიდა მისდამი ასეთ დამოკიდებულებას და ძალიან სწყდებოდა გული, რომ, ყველას აზრით, მისი პიკი წარსულს ჩაბარდა და „ტიტანიკზე“ უკეთეს სახეს ველარ შექმნიდა. თითქოს მსახიობს უკვე ხაზიც გადაუსვეს, მაგრამ ლეონარდო ჯიუტად ცდილობდა თავისი ნიჭის დამტკიცებას და ეს მალევე მოახერხა.

2002 წელს ლეონარდომ ერთდროულად ორი დიდებული როლი ითამაშა. პირველი იყო მარტინ სკორსეზეს ისტორიული ფილმი „ნიუ იორკის ბანდები“, რომელიც ერთბაშად „ოსკარის“ 10 ნომინაციაზე იყო წარდგენილი, ხოლო მეორე — სტივენ სპილბერგის ავანტიურისტული კომედია, „დამიჭირე, თუკი შეძლებ“, სადაც



ლეონარდომ დუეტში ტომ ჰენკსთან ერთად ითამაშა. მართალია, დი კაპრიოს ამ ფილმებმა ჯილდოები არ მოუტანა, მაგრამ თავისი იმიჯის დაბრუნება გარკვეულწილად მოახერხა.

## „ავიატორი“

კიდევ 2 წლის შემდეგ, 2004 წელს, სკორსეზემ მსახიობი ისევ მიიწვია სათამაშოდ ბიოგრაფიულ დრამაში „ავიატორი“.

ამ ფილმის გადაღების იდეა გასული საუკუნის შუა წლებიდან მოდიოდა, მაგრამ იცვლებოდა მხოლოდ აზრები და სავარაუდო მსახიობების გვარები. საბოლოოდ სწორედ სკორსეზემ განახორციელა ფილმის გადაღების იდეა და ამაში ძალიან დაეხმარა დი კაპრიო, რომელშიც მთავარი გმირის, ჰოვარდ ჰიუზის ნამდვილი სახე დაინახა.

მეტიც, სკორსეზე პარალელურად აპირებდა ალექსანდრე მაკედონელზე ფილმის გადაღებას, მაგრამ ერთდროულად ორ გრანდიოზულ პროექტს ვერ გასწვდა და არჩევანი „ავიატორზე“ შეაჩერა.

ფილმში, დი კაპრიოს გარდა, კეიტ ბლანშეტი, კეიტ ბეკინსეილი, ალეკ ბოლდუინი და ჯუდ ლოუ თამაშობენ. „ავიატორი“ „ოსკარის“ 11 ნომინაციაზე იყო წარდგენილი და 5 ქანდაკება მიიღო. რამდენიმე ჯილდო მიიღო „ოქროს გლობუსზეც“, მათ შორის, დი კაპრიომ მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის.

## ბოლო ნამუშევრები

მარტინ სკორსეზე დი კაპრიოს ნამდვილი მხსნელი გამოდგა. რეჟისორმა 2006 წელს ფილმში „უკანდახეულები“ დი კაპრიო კიდევ ერთხელ მიიწვია. კრიმინალური დრამა ჰონგკონგური კრიმინალური ტრილერის „ორმაგი როქის“ რიმეიქია. ფილმში, დი კაპრიოს გარდა, შესანიშნავ მსახიობთა ანსამბლია თავმოყრილი — ჯეკ ნიკოლსონი, მეთ დეიმონი, ალეკ ბოლდუინი, მარტინ შინი... გასაკვირიც არ არის, რომ ამ ხუთეულის გამო ფილმი „ოსკარის“ 4 პრემიის მფლობელი გახდა, თუმცა დი კაპრიოს პირადი ჯილდო არ რგებია.

იმავე წელს დი კაპრიომ შესანიშნავად ითამაშა სათავგადასავლო დრამაში „სისხლიანი ალმასი“, ხოლო ერთი წლის შემდეგ ფილმში — „11 საათი“.

ამ დროისთვის დი კაპრიო ერთბაშად რამდენიმე ფილმზე მუშაობს — ტრილერი „დახურული კუნძული“, ისტორიული დრამა „თეოდორ რუზველტის ამაღლება“ (ისევ სკორსეზეს რეჟისორობით) და „აკირა“.

## პირადი ცხოვრება

მხიარულ და ქალბატონებში საკმაოდ პოპულარულ ლეონარდოს თაყვანისმცემლთა დიდი არმია ჰყავდა. ცნობილია მისი რომანები ისეთ ლამაზმანებთან, როგორებიც არიან კეიტ მოსი, ჰელენა კრისტენსენი, ევა ჰერციგოვა, ამბერ ვალეტა, ჟიზელ ბუნდხენი... თუმცა, არც ერთ მათგანთან ხანგრძლივი ურთიერთობა არ ჰქონია. ერთადერთი ქალბატონი, რომელთანაც ლეონარდო დიდი ხნის მანძილზე ურთიერთობდა, ებრაელი მოდელი ბარ რაფაელია, რომელიც 2006 წელს გაიცნო და დღემდე მასთან ერთად არის.

თუ დი კაპრიოს ინტერვიუებს გადავხედავთ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ცხოვრებით კმაყოფილია.

— ცხოვრებით აბსოლუტურად კმაყოფილი ვარ. არავისთვის ცუდი არ გამიკეთებია და არც არავის მოუყენებია შეურაცხყოფა. თუ ირონიულად ვიტყვი, მე პატარა, ბედნიერი ძაღლიშვილი ვარ, — ხშირად იმეორებს ამ ფრაზას დი კაპრიო.

## საინტერესო ფაქტები

ლეოს დედა წარმოშობით გერმანელია და ეს სახელი შვილისთვის ჯერ კიდევ მაშინ შეარჩია, როდესაც გამოფენაზე იმყოფებოდა და ლეონარდო და ვინჩის სურათებს ათვალიერებდა.

გერმანულის გარდა, დი კაპრიოს ძარღვებში ამერიკული, იტალიური და რუსული სისხლია.

ბავშვობაში მსახიობს უცნაური ავადმყოფობა სჭირდა — შიში, რომლის განკურნებას გარკვეული პერიოდი დასჭირდა. დიდი ხნის მანძილზე შიშისგან გათანგული ლეონარდო ხიდზე გადასვლასა და ყველანაირ სიმაღლეს ერიდებოდა.

დი კაპრიო მიწვეული იყო ფილმებში: „ბეტმენი სამუდამოდ“, „ამერიკელი ფსიქოფატი“ და „ადამიანი-ობობა“, თუმცა, თავად აცხადებდა უარს მათში თამაშზე.

1997 წელს ჟურნალ „ფიფლის“ მიერ ლეონარდო დასახელებულ იქნა მსოფლიოს 50 ყველაზე ლამაზ ადამიანთა შორის.

მსახიობის ჰობია ორიგინალური კინოაფიშების შეგროვება, რომლის უკვე საკმაოდ მოზრდილი კოლექცია აქვს.

ბავშვობაში დაძლეული შიში ლეონარდომ მომავალში ისევ განიცადა — რამდენიმე წლის წინ ის პარაშუტით გადმოხტა, რომელიც არ გახსნა. ეს ერთადერთი მიზეზია, რის გამოც ლეონარდოს ფრენა არ უყვარს.

მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა

ბოლონიური „კანადიან სოლარის“ ფორვარდმა, ვიქტორ სანიკიძემ, იტალიის სერია ა-ს ბოლო 5 მატჩში 72 ქულა ჩააგდო და 47-ჯერ მოხსნა ბურთი, ანუ აღნიშნულ შეხვედრებში ის საშუალოდ 14,4 ქულასა და 9,4 მოხსნას აგროვებდა. ქართველმა ფორვარდმა ბოლო ხუთ მატჩში 22-დან 18 ორქულიანი და 14-დან 8 სამიანი ჩააგდო.

ამ ბრწყინვალე შედეგის გამო სერია ა-ს მესვეურებმა ქართველი ფორვარდი იტალიის ჩემპიონატის „ყველა ვარსკვლავის“ მატჩში შეიყვანეს. სანიკიძე იქ თავდაპირველი შერჩევისას ვერ მოხვდა, რადგან მიმდინარე სეზონის უმეტესი ნაწილი ტრავმასთან ბრძოლასა და ფორმის აღდგენაში გაატარა. ახლა კი, როცა ფორმაში შევიდა, სანიკიძის გამჩერებელი სერია ა-ში არავინ ჩანს.

ამიტომაც მან დამსახურებულად მოიპოვა ადგილი ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო ლიგის „ყველა ვარსკვლავის“ მატჩში. აქამდე ის იყო ცნობილი, რომ ვიქტორი „ოლ სტარში“ მხოლოდ ჩატენვების კონკურსში მოსინჯავდა ძალებს, თუმცა, უკვე მისი უშუალოდ მატჩში მონაწილეობაც გაცხადდა.

სანიკიძესთან ინტერვიუ კალათბურთის ფედერაციის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა.

# ვიქტორ სანიკიძე: „ჯგუფიდან გავიდეთ და რუსეთის დამარცხება სავალდებულო არ არის“



***— „ოლ სტარში“ მონაწილეობას გილოცავთ. ელოდით, ლიგის საუკეთესოთა მატჩში რომ მოხვდებოდით?***

— არ ველოდი, რადგან სეზონის დიდი ნაწილი ფაქტობრივად გამიცდა. 1 თვე საერთოდ არ გავსულვარ მოედანზე, 2 თვე კი ფორმის აღდგენას მოვანდომე. ძალიან მესიამოვნა, ისეთი ძლიერი ლიგის „ოლ სტარში“ რომ მოვხვდი, როგორიც არის სერია ა.

***— ეს ახალი ამბავია?***

— კი, ახლახან გადაწყდა. არ ვიცი, რა როგორ, მაგრამ მე ლიგის ხელმძღვანელობიდან დამიკავშირდნენ და მამცნეს, რომ მომავალ კვირას მილანში გასამართ „ოლ სტარში“ ლეგიონერთა ნაკრებში ვითამაშებ. ყველა ვარსკვლავის შოუში მონაწილეობას აქამდეც ვგეგმავდი, ოღონდ ჩატენვების კონკურსში და ახლა ორმაგად გახარებული ვარ, რომ მილანში „ოლ სტარის“ სრულფასოვანი წევრის სტატუსით მივდივარ.

***— როგორ ფიქრობთ, რა შანსები გაქვთ ჩატენვების კონკურსში? სერია ა-ს ვებ-გვერდზე დაიწერა, რომ ცნობილი ჯულიუს ირვინივით სამქულიანი ხაზიდან ჩატენვა შეგიძლიათ.***

— საკუთარ თავზე ვერ ვილაპარაკებ, რომ მაგარი ვარ. ვიცი, რომ ჩატენვების კონკურსში ძალიან სერიოზული მეტოქე მყავს ამერიკელ ჯეიმს უაიტის სახით. ეს კალათბურთელი, რომ იტყვიან, მართლაც დაფრინავს და მისი დამარცხება ძალიან რთული იქნება. ვაღიარებ, რომ მას უკეთესი შანსები აქვს.

***— ახლა, მოდით, თქვენს ბოლოდროინდელ წარმატებებზე ვისაუბროთ. ისე ათამაშდით, რომ ყველა აალაპარაკეთ. „ოლ სტარში“ მიწვევაც ამის ლოგიკური შედეგია. რა ხდება, როგორ ახერხებთ ასე შედეგიან თამაშს?***

— ფორმაში შევედი და ალბათ ამის გამო. რამე განსაკუთრებულს არ ვაკეთებ. ჯანმრთელობა ხელს მიწყობს და მეც ჩემს შესაძლებლობებს ვავლენ.

***— რაც მოედანს დაუბრუნდით, კარგა ხანი გავიდა. აქამდე ასე კარგად ვერ თამაშობდით.***

— ტრავმის მორჩენა არაფერს ნიშნავს, თუკი ფორმაში არ ხარ. მე ისეთი ტრავმა გადავიტანე, რომ ბოლომდე ვერ დავიტვირთავდი თავს. თავიდან ფეხის მყესი გავიწყვიტე და 1 თვე არ მითამაშია, მერე კი, მოედანზე დავბრუნდი თუ არა, იდაყვი დავიზიანე და კვლავ გამიცდა რამდენიმე თამაში. ყოველივე ამან დაღი დაასვა ჩემს სპორტულ ფორმას. როცა ტრავმა მოვირჩინე და მოედანზე დავბრუნდი, რა თქმა უნდა, ბოლომდე ვერ ვიტვირთებოდი. საქმე დატვირთვაშიც არ იყო: შეიძლება, თავს ძალა ბოლომდე დაატანო, მაგრამ ვერაფერს გახდე, თუკი ფორმაში არ ხარ. ტრავმა აღარ მაწუხებდა, მაგრამ მაინც შეზღუდული ვიყავი. გარკვეული პერიოდის შემდეგ ფორმაში შევედი და შედეგიც სახეზეა.

***— ბოლო მატჩში „მონტეგრანაროსთან“ მწვრთნელმა მიმდინარე სეზონში ყველაზე დიდ ხანს, 33 წუთს გათამაშათ. ალბათ იმის გამო, რომ ასე შედეგიანი ხართ.***

— მთლად მაგის გამოც არა. ბოლო ორ მატჩში ჯამში 63 წუთი ვითამაშე და ეს იმის გამოა, რომ ერთ-ერთი ფორვარდი გვაკლდა. „კანადიან სოლარი“ ძალიან დაბალანსებული გუნდია. ყველა პოზიციაზე 2-2 საკმაოდ კონკურენტუნარიანი მოთამაშე ჰყავს და სათამაშო დროც მეტ-ნაკლებად ყველაზე თანაბრად ნაწილდება. ვინმე რომ გვაკლია, ეს უმალ ისახება იმ პოზიციაზე მოთამაშე მეორე კალათბურთელზე.

***— ასეთი წარმატებული თამაშის შემდეგ მწვრთნელი, ლინო ლარდო, რას გეუბნებათ?***

— ლარდო მეტად გაწონასწორებული სპეციალისტია. ის ცდილობს, წარმატებებზე არ ილაპარაკოს. მას არ უყვარს ტრაბახი და, თავისთავად, იმასაც ცდილობს, ზედმეტად არავინ შეაქოს. ის თვლის, რომ კალათბურთელის მოვალეობა მოედანზე მაქსიმალურად დახარჯვაა და, თუკი ამას ვინმე აკეთებს, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა მისთვის.

***— გასულ კვირაში იტალიური ვებ-გვერდები და პრესა თქვენი გვარით იყო აჭრელებული. ბევრი ჟურნალისტი გაწუხებთ?***

— არა, მხოლოდ ორმა ჟურნალისტმა დამირეკა და ინტერვიუ ჩამომართვა. რა თქმა უნდა, ადრინდელზე მეტ ყურადღებას ვგრძნობ, თუმცა, არც ისეა საქმე, რომ ჟურნალისტებისგან ვწუხდებოდე.

***— იტალიაში მოთამაშე ქართველებს მოედნის გარეთ თუ ხვდებით?***

— რა თქმა უნდა. მერაბ ბოქოლიშვილს აქამდე არ ვიცნობდი და ის „აველინოსთან“ მატჩში ვნახე. მანუჩარ მარკოიშვილი ჩემი უახლოესი მეგობარია და ხშირად ვხვდებით ერთმანეთს, თუმცა სერია ბ-ში მოთამაშე საქართველოს ნაკრების წევრ ნიკა მეტრეველს უფრო სისტემატურად ვნახულობ. ამის მიზეზი ისაა, რომ ის ჩემს ქალაქთან ახლოს ცხოვრობს. მანქანით 1 საათის სავალია. რამდენიმე დღის წინაც მეტრეველთან ვიყავი. მისი დედაა ჩამოსული და ვესტუმრე.

***— და ალბათ ქართული კერძებიც მიირთვით.***

— რა თქმა უნდა. თუმცა, ვაღიარებ, რომ იტალიური სამზარეულოც ძალიან კარგია. სანამ აქ ჩამოვიდოდი, სხვა ქვეყნებში თამაშისას სულ მენატრებოდა ხინკალი, ქაბაბი და სხვა ჩვენებური კერძები. იტალიაში კი ქართული სამზარეულო არ მენატრება, რადგან აქაც ძალიან გემრიელია ყველაფერი.

***— იტალიურ კერძებს ალბათ რესტორანში აგემოვნებთ.***

— რესტორნებში ადრე დავდიოდი, ახლა კი — ნაკლებად.

***— მაშ, თავად ამზადებთ კერძებს თუ ცოლი შეირთეთ?***

— თავად ვამზადებ. დიდ მზარეულობაზე თავს ვერ დავდებ, თუმცა რაღაც-რაღაცები გამომდის. ცოლი ჯერ არ მომიყვანია. საქართველოს ნაკრებში 1-2 ბიჭი დამრჩა დასაქორწინებელი და, მათ რომ ბედს ვწევ, მერე ჩემს თავზეც ვიფიქრებ. ჯერჯერობით დაოჯახებაზე არ ვფიქრობ.

***— მეტრეველის ქალაქამდე მანქანით 1 საათის სავალიაო, თქვით. რა მარკის ავტომობილი გყავთ?***

— ჩვენი გუნდის სპონსორი „ჰიუნდაია“ და გუნდის ყველა წევრიც ამ მარკის ავტომობილით დადის. ვერ ვიტყვი, რომ ესაა ჩემი საოცნებო მანქანა, მაგრამ აქ სამოძრაოდ მეტი არც მჭირდება.

***— როგორც ჩანს, იტალიას კარგად შეეგუეთ. ალბათ, გაგიჭირდებათ, თუკი სხვა ქვეყნის გუნდში მოგიწიათ კარიერის გაგრძელება.***

— იტალიაში მართლაც კარგად ვგრძნობ თავს. რაც შეეხება კარიერის გაგრძელებას, გადაჭრით ვერ ვიტყვი, მინდა თუ არა ბოლონიიდან წასვლა. ის კი ვიცი, რომ სხვა იტალიურ გუნდში არ გადავალ. ამის მიზეზი ის ატმოსფეროა, რომელიც ბოლონიაში სუფევს. იტალიის ყველა ქალაქში კალათბურთს ფეხბურთი ჯაბნის. მიუხედავად იმისა, რომ ბოლონიას უმაღლეს საფეხბურთო ლიგაში გუნდი ჰყავს, ამ ქალაქში უპირველესი სპორტი კალათბურთია. დარბაზი სულ სავსეა, ბოლონია კალათბურთით ცხოვრობს. კი, ძალიან კარგი ქალაქია მილანი, მაგრამ იქ ხალხი ფეხბურთითაა მოწამლული — ან „ინტერის“ ქომაგები არიან, ან „მილანის“. კალათბურთი იქ არ აინტერესებთ.

***— იტალიაში — კარგი, მაგრამ სხვა, უცხოური ვარიანტი რომ გამოგიჩნდეთ, კონტრაქტი ბოლონიიდან წასვლის საშუალებას მოგცემთ?***

— ჩემი კონტრაქტი 2-ს პლუს 1-წლიანია. 1 სეზონი უკვე ვითამაშე, რის შემდეგაც, ძალიანაც რომ მდომებოდა, კლუბის შეუთანხმებლად ვერსად წავიდოდი. ამ სეზონის ბოლოს კი შესაძლებელია სხვაგან გადასვლა. კონტრაქტის თანახმად, თუკი მე მოვისურვე წასვლა, „კანადიან სოლარს“ გარკვეული კომპენსაცია უნდა გადავუხადო (მე ან ჩემმა მომავალმა კლუბმა), ხოლო თუ თავად გუნდს არ ვენდომები, ხელმძღვანელობა გადამიხდის კომპენსაციას. ასე რომ, თუკი რამე ვარიანტი გამომიჩნდა, შემეძლება გადასვლა, მაგრამ ამაზე ახლა ნამდვილად არ ვფიქრობ. ჩემი მიზანი ამ სათამაშო ფორმის შენარჩუნება და სეზონის სტაბილურად ჩამთავრებაა. თუ ეს მოვახერხე, სავარაუდოდ, დაინტერესებაც იქნება.

***— 2004 წელს დრაფტზე „სან ანტონიომ“ აგირჩიათ. ვიცი, რომ თქვენი ოცნებაც ნბა-ში თამაშია.***

— ალბათ, იმის გამო ვერ მოვახერხე სანანტონიოელების დაინტერესება, რომ ათასი პრობლემა გამოვიარე. ყველაფერი ამერიკაშივე დაიწყო, სადაც საზაფხულო ლიგაზე სათამაშოდ ვიყავი და მუხლი საოპერაციო გამიხდა. წლიდან წლამდე ხან რა მაწუხებდა, ხან — რა. ახლა ძალიან კარგ ფორმაში ვარ და, თუკი სეზონს ასეთივე წამატებით ჩავამთავრებ, ალბათ, ოკეანის გაღმაც დაინტერესდებიან ჩემით. თუმცა, ვიმეორებ: ამაზე ნამდვილად არ ვფიქრობ. დიდი სიამოვნებით გადავალ ევროლიგის რომელიმე გუნდში, სადაც გაცილებით მეტი მატჩის გამართვა მომიწევს, ვიდრე „კანადიან სოლარში“. ჩემი გუნდი არც ერთ ევროთასზე არ მონაწილეობდა და ეს ძალიან ცუდია. კვირაში მხოლოდ 1 თამაში გვაქვს. ევროტურნირებში მონაწილეობა იმითაა კარგი, რომ ბევრი მატჩის გამართვა გიწევს და, თუკი ერთხელ არ წაგივა თამაში, მეორეში გამოგივა, მესამეში... ახლა კი მხოლოდ ერთ ტურნირში ვმონაწილეობთ და გაქანებაც ნაკლებია.

***— თავად კლუბის ხელმძღვანელთა პოზიცია თუ იცით თქვენთან მიმართებით?***

— პირადად არავისთან მისაუბრია, გაზეთებში კი ხან სტატიებში, ხანაც ინტერვიუებში იწერება, რომ „კანადიან სოლარის“ ხელმძღვანელობა სანიკიძეს ვერ შეელევა, მისი გუნდში დარჩენა 99 პროცენტით გადაწყვეტილიაო. ერთი სიტყვით, ვნახოთ, რა იქნება.

***— იტალიის თემა ამოვწურეთ. ახლა ჩვენს ეროვნულ ნაკრებთან გადავინაცვლოთ. ევროპის ჩემპიონატის კენჭისყრაზე რას იტყვით?***

— როგორც ყველა, მეც კმაყოფილი ვარ. კენჭისყრამდე რომ შევადგინე ჩვენთვის საუკეთესო ჯგუფის ვარიანტი, სინამდვილეშიც იგივე გამოვიდა. სასურველი ჯგუფი შეგვხვდა და, თუკი რამის დამტკიცება გვინდა, ახლა უნდა დავამტკიცოთ. ვერავინ იტყვის, ძლიერი მეტოქეები შეგვხვდაო, თანაც, ძალიან უნიკალური სიტუაცია შეიქმნა. ჯგუფის ყველა წევრი კენჭისყრით კმაყოფილია. მე ველაპარაკე იტალიაში მოთამაშე ბელგიის, ბულგარეთის ნაკრებების წევრებს, რომლებიც ზუსტად ჩემსავით ფიქრობენ. ქვედა 4 გუნდს უხარია, რომ ფავორიტებიდან სლოვენია და რუსეთი შეხვდათ. სავარაუდოდ, თავად ფავორიტებიც არ უნდა იყვნენ უკმაყოფილონი.

***— ჯგუფიდან გასვლა რამდენად რეალურია?***

— შარშან ბულგარეთს ორივე მატჩი მოვუგეთ, ბელგიასთან კი ორივე წავაგეთ. თუმცა ხომ ვიცით, რომ ბელგიის დამარცხება შეგვიძლია. შესაბამისად, ჯგუფიდან გასვლაც რეალურია. ასევე ფიქრობს ჩვენი ნებისმიერი მოწინააღმდეგე და, მხოლოდ იმ შემთხვევაში მივაღწევთ მიზანს, თუკი აგვისტო-სექტემბერში ჯანმრთელად და კარგ ფორმაში ვიქნებით.

***— რუსეთთან დაპირისპირებაზე რას იტყვით?***

— კენჭისყრის ერთადერთი უარყოფითი მხარე ჩვენთვის, ალბათ, რუსეთის მომენტია. მერჩივნა, ეს ნაკრები არ შეგვხვედროდა.

***— რატომ?***

— არა იმიტომ, რომ რუსეთზე სუსტი მეტოქე მინდოდა. მეორე კალათაში მასზე სუსტი გუნდი, მგონი, არც იყო. უბრალოდ, გულშემატკივართა უმრავლესობა უმთავრესად რუსეთთან მატჩს მიიჩნევს. ხალხში ასეთი განწყობაა: ოღონდ რუსეთს მოვუგოთ და თუგინდ ყველასთან წაგვიგიაო. ასეთ დამოკიდებულებას არ ვეთანხმები. ჩვენი მიზანი ჯგუფიდან გასვლაა და ამის მისაღწევად ყველაფერს გავაკეთებთ. რა თქმა უნდა, ძალიან მინდა, ჯგუფიდან ისე გავიდეთ, რომ სხვებთან ერთად რუსეთსაც მოვუგოთ, მაგრამ, თუკი მეორე ეტაპზე რუსების დაუმარცხებლად გავაღწევთ, ამაზე ნამდვილად არ ვიდარდებ.

***— ნაკრებს თქვენს პოზიციაზე ვლადიმერ ბოისას სახით სერიოზული ძალა შეემატა.***

— ვოვას გამოჯანმრთელება ნაკრებს ძალიან წაადგება. მისი გამოცდილება ევროპის ჩემპიონატზე დიდ დახმარებას გაგვიწევს. იმედია, ის ბოლომდე აღიდგენს ფორმას. მე როგორც მძიმე, ისე მსუბუქ ფორვარდად შემიძლია თამაში. ბოლოს ნაკრებში უფრო მსუბუქი ფორვარდი ვიყავი, ოთხ ნომერზე კი ნიკა ცქიტიშვილი, თორნიკე შენგელია იყვნენ. ამათ ბოისაც რომ დაემატება, მართლაც ძლიერი წინა ხაზი გვეყოლება.

***— ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად რამდენი საკონტროლო მატჩის გამართვა იკმარებს?***

— თუ არ ვცდები, შარშან 5 მატჩი გავმართეთ. ალბათ, ახლა უფრო მეტი იქნება საჭირო და, სავარაუდოდ, მოხერხდება კიდეც. შარშან სხვა სიტუაცია იყო: ა დივიზიონის გუნდებმა ადრიანად დაიწყეს მომზადება, როცა ევროპის ჩემპიონატის საგზურის მფლობელი ნაკრებები არც იყვნენ შეკრებილნი. ახლა კი ყველა ნაკრები ერთ კონკრეტულ ტურნირზეა ორიენტირებული. ივლის-აგვისტოში ყველა შეკრებილი იქნება და მათთან მოლაპარაკებაც შესაძლებელია.

# ჯაბა ლიპარტია: „უკრაინასთან შედარებით, საქართველოში ფეხბურთი უფრო ტექნიკურია“

**დასაწყისი მე-16 გვერდზე**

— ყველაფერი კარგადაა. კლუბმა ლუგანსკში ბინა გამომიყო, ხოლო ყოველდღიურ ცხოვრებაში თანაგუნდელები მეხმარებიან. უახლოეს მომავალში ოჯახის ლუგანსკში გადაყვანას ვგეგმავ.

***— „ზარიას“ მაისურით ჩატარებულ პირველ მატჩზე როგორი შთაბეჭდილება დაგრჩათ?***

— მხოლოდ დადებითი შთაბეჭდილება შემექნა. გუნდმა ძალიან კარგად ითამაშა და დამსახურებულად გაიმარჯვა.

***— რა უფრო ძნელი იყო — მოედნის საფარისთვის ალღოს აღება თუ მოწინააღმდეგისთვის?***

— რა დაგიმალოთ, ფეხბურთის სათამაშოდ მინდორი ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო, ფეხზე დგომა ჭირდა. ასეთ მოედანზე კუნთებს ორმაგი დატვირთვა ადგება და იოლი მეტოქეც არ გვყავდა. „ვოლინს“ სატურნირო ცხრილში მე-6 ადგილი ტყუილუბრალოდ არ უკავია, მაგრამ შაბათს დავამტკიცეთ, რომ „ზარია“ უფრო ძლიერია.

***— სტადიონზე მოსული გულშემატკივრების მხარდაჭერა რამდენად მოგეწონათ?***

— მსურს, გულშემატკივრებს მადლობა გადავუხადო იმ მხარდაჭერისთვის, რასაც ისინი 90 წუთის განმავლობაში გვიწევდნენ. ისინი მხოლოდ ქებას იმსახურებენ, რადგან ასეთ ცივ ამინდში მოვიდნენ და გვქომაგობდნენ. ბიჭები მიყვებოდნენ, თუ როგორი ერთგული გულშემატკივრები არიან ლუგანსკში და ამჯერად ყოველივეში თავად დავრწმუნდი.

***— მატჩის შემდეგ გულშემატკივრებმა დიდი ყურადღება დაგითმეს. კარგად ჩანდა, თუ როგორ ცდილობდით, ავტოგრაფი ყველა მსურველისთვის მიგეცათ. როგორც გუნდის ახალწვეულს, ასეთი ყურადღება გსიამოვნებთ?***

— რა თქმა უნდა, ჩვენი „ფანების“ მხრიდან ასეთი ყურადღება სასიამოვნო იყო. ვთვლი, რომ ფეხბურთს, უპირველესად ყოვლისა, გულშემატკივრებისთვის თამაშობენ და ამიტომ ვცდილობ, ავტოგრაფი თითოეულ მათგანს დავუტოვო.

***— რუსულად საკმაოდ კარგად ლაპარაკობთ.***

— ახლა უფრო ცუდად ვლაპარაკობ. ადრე, როდესაც სკოლაში ვსწავლობდი, რუსული უფრო კარგად ვიცოდი. შემდეგ, დიდი ხნის განმავლობაში პრაქტიკა არ მქონდა, რადგან საქართველოში მხოლოდ მშობლიურ ენაზე ვლაპარაკობთ.

***— გუნდის მთავარი მწვრთნელი რომელ პოზიციაზე გათამაშებთ?***

— ამჟამად ანატოლი ჩანცევი საყრდენ ნახევარმცველად მათამაშებს. საქართველოში სხვადასხვა პოზიციაზე ვთამაშობდი — ძირითადად შემტევ ნახევარმცველად. საერთოდ, ვთვლი, რომ სადაც მოთამაშეს გუნდისთვის სარგებლობა მოაქვს და სადაც მწვრთნელი მის გამოყენებას გეგმავს, თავს კომფორტულად სწორედ იქ გრძნობს.

***— „ზარიას“ „შტატიანი“ პენალტისტი არ ჰყავს. თუ ამ როლს თქვენ დაგაკისრებენ, თავს გაართმევთ?***

— შეკრებაზე თერთმეტმეტრიანი ორჯერ დავარტყი, თუმცა, ერთხელ — წარუმატებლად. თუ მატჩამდე მწვრთნელი მეტყვის, რომ პენალტი უნდა შევასრულო, მაშინ საკუთარ თავზე ასეთ პასუხისმგებლობას ავიღებ.

***— გუნდში ვინმეს უკვე დაუმეგობრდით?***

— ყველასთან უპრობლემოდ ვურთიერთობ, რადგან ძალიან მეგობრული კოლექტივი გვყავს, უფრო მეტად — კასიანთან, კოვალიოვთან, ცაკიშთან და ლაზაროვიჩთან.

***— უკვე შეგიძლიათ, რომ უკრაინის ჩემპიონატის დონე საქართველოსას შეადაროთ?***

— მიუხედავად იმისა, რომ პრემიერლიგაში მხოლოდ ერთი შეხვედრა ვითამაშე, უკრაინის ჩემპიონატზე წარმოდგენა უკვე შემექნა. ის უფრო დინამიკურია, დიდი აქცენტი კეთდება ფიზიკურ მომზადებაზე. საქართველოში ფეხბურთი უფრო ტექნიკურია. იქ ასეთი სისწრაფე და ორთაბრძოლები არაა.

***— მომავალ შეხვედრაში, „ილიჩევეცის“ წინააღმდეგ თამაშის მსგავსად, თავდადებით ითამაშებთ?***

— რა თქმა უნდა. გუნდი ძალიან სერიოზულად ემზადება — მეტოქეც სერიოზული გვყავს. „ილიჩევეცმა“ ბოლო შეხვედრა ზაპოროჟიეში ძალიან დამაჯერებლად ჩაატარა და „მეტალურგი“ 4:0 დაამარცხა. საინტერესო თამაში გველის.

# ევროპა ინგლისს მოისაკლისებს



## იტალია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12.03 | ჩეზენა-იუვენტუსი | 3.6 | 3.1 | 2.15 |
| 13.03 | მილანი-ბარი | 1.22 | 6.0 | 12.0 |
| 13.03 | კალიარი-უდინეზე | 2.7 | 3.0 | 2.75 |
| 13.03 | კატანია-სამპდორია | 2.05 | 3.1 | 4.0 |
| 13.03 | კიევო-ფიორენტინა | 2.55 | 3.0 | 2.9 |
| 13.03 | ჯენოა-პალერმო | 1.95 | 3.2 | 4.2 |
| 13.03 | ლეჩე-ბოლონია | 2.3 | 3.1 | 3.25 |
| 13.03 | რომა-ლაციო | 2.25 | 3.1 | 3.3 |
| 13.03 | პარმა-ნაპოლი | 3.0 | 3.0 | 2.5 |

**ჩეზენა — იუვენტუსი**

ჩეზენა: ***ტრავმ***-პაოლო სამარკო (?), იგორ ბუდანი, ფელიპე, ნიკოლას კორომბსოვი, ივან ფატიჩი

იუვენტუსი: ***ტრავმ***-ფელიპე მელო, ალბერტო აკვილანი (?), ფაბიო გროსო, მოჰამედ სისოკო, ფაბიო კვალიარელა, პაოლო დი ჩელიე, ლეანდრო რინაუდო; ***დისკვ***-ანდრეა ბარძალი, ლუკა ტონი

**მილანი — ბარი**

მილანი: ***ტრავმ***-კევინ-პრინს ბოატენგი (?), ანდრეა პირლო, მასიმო ამბროზინი, ფილიპო ინძაგი

ბარი: ***ტრავმ***-ალესანდრო პარისი (?), ნიკოლა ბელმონტე (?), ხოსე კასტილიო (?), ვიტო ბარეტო, სალვატორე მასიელო; ***დისკვ***-ალესანდრო გაცი, ანდრეა რაგი, ვიტალი კუტუზოვი

**კალიარი — უდინეზე**

კალიარი: ***ტრავმ***-ნენე, ფრანჩესკო პისანო; ***დისკვ***-დავიდე ბიონდინი, ლორენცო არაუდო

უდინეზე: ***ტრავმ***-გაბრიელე ანგელა, მაურისიო ილსა, დუშან ბასტა, დამიანო ფერონეტი

**კიევო — ფიორენტინა**

კიევო: ***ტრავმ***-ლუჩიანო (?); დისკვ-გელსონ ფერნანდესი

ფიორენტინა: ***ტრავმ***-გაეტანო დაგოსტინო (?), პერ კროლდრუპი, სებასტიენ ფრეი, სტევან იოვეტიჩი

**ჯენოა — პალერმო**

ჯენოა: ***ტრავმ***-ომარ მილანეტო, დარიო დაინელი, კახა კალაძე (?), მატია დესტრო; ***დისკვ***-ანტონიო ფლორესი

პალერმო: ***ტრავმ***-მაურისიო პინილია, დორინ გოიანი

**ლეჩე — ბოლონია**

ლეჩე: ***ტრავმ***-სიმონე სინი (?), ედვარდ ეფერეფი, სტეფანო ფერანიო, დავიდ დი მიკელე; ***დისკვ***-ანდრეა რისპოლი

ბოლონია: ***ტრავმ***-ბრუნო მონტელოგნო, გაბი მუდინგაი (?), ანდრეა ესპოზიტო, ალბინ ეკდალი

**რომა — ლაციო**

რომა: ***ტრავმ***-მარკო კასეტი (?), ფრანჩესკო ტოტი (?), ჟულიო სერჟიო, მირკო ვუჩინიჩი (?); ***დისკვ***-მატეო ბრიგი, ალეანდრო როსი

ლაციო: ***ტრავმ***-მარკ ბრეშიანო, ანდრე დიასი, კრისტიან ბროკი (?), სტეფანო მაური, მობიდო დიაკიტე, ტომაზო როკი

**პარმა — ნაპოლი**

პარმა: ***ტრავმ***-კარვალიო ამაური (?), ობიორა ნვანკვო, ტონი კალვო, სებასტიან ჯოვინკო (?), მარიანო ანგელო, ფერნანდო მარკესი; ***დისკვ***-გაბრიელ პალეტა

ნაპოლი: ***ტრავმ***-კრისტიან მაჯო (?), არმანდო კამპაგრანო (?), ჯანლუკა გრავა; ***დისკვ***-სალვატორე არონიკა, ანდრეა დოსენა

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 28 | 18 | 7 | 3 | 50:20 | 61 |
| 2.ინტერი | 28 | 17 | 5 | 6 | 54:31 | 56 |
| 3.ნაპოლი | 28 | 16 | 5 | 7 | 41:25 | 53 |
| 4.ლაციო | 28 | 15 | 6 | 7 | 35:23 | 51 |
| 5.უდინეზე | 28 | 15 | 5 | 8 | 50:30 | 50 |
| 6.რომა | 28 | 13 | 7 | 8 | 43:39 | 46 |
| 7.იუვენტუსი | 28 | 11 | 8 | 9 | 41:35 | 41 |
| 8.პალერმო | 28 | 12 | 4 | 12 | 44:45 | 40 |
| 9.კალიარი | 28 | 11 | 6 | 11 | 35:30 | 39 |
| 10.ფიორენტ. | 28 | 9 | 10 | 9 | 32:29 | 37 |
| 11.ბოლონია | 28 | 10 | 9 | 9 | 31:36 | 36 |
| 12.ჯენოა | 28 | 9 | 8 | 11 | 27:32 | 35 |
| 13.კიევო | 28 | 7 | 11 | 10 | 28:30 | 32 |
| 14.სამპდორია | 28 | 7 | 10 | 11 | 25:32 | 31 |
| 15.პარმა | 28 | 6 | 11 | 11 | 27:38 | 29 |
| 16.კატანია | 28 | 7 | 8 | 13 | 25:38 | 29 |
| 17.ჩეზენა | 28 | 7 | 7 | 14 | 23:38 | 28 |
| 18.ლეჩე | 28 | 7 | 7 | 14 | 31:50 | 28 |
| 19.ბრეშა | 28 | 6 | 7 | 15 | 22:35 | 25 |
| 20.ბარი | 28 | 3 | 7 | 18 | 15:42 | 16 |

***ბოლონიას დაკლებული აქვს 3 ქულა***

## ესპანეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12.03 | ალმერია-ატლეტიკო | 3.1 | 3.25 | 2.3 |
| 12.03 | რეალი-ერკულესი | 1.14 | 7.5 | 17.0 |
| 12.03 | სარაგოსა-ვალენსია | 3.0 | 3.25 | 2.37 |
| 13.03 | ესპანიოლი-დეპორტივო | 1.95 | 3.3 | 4.0 |
| 13.03 | ლევანტე-მალიორკა | 2.25 | 3.25 | 3.2 |
| 13.03 | ოსასუნა-რასინგი | 2.1 | 3.1 | 3.8 |
| 13.03 | სოსიედადი-მალაგა | 2.05 | 3.3 | 3.6 |
| 13.03 | ვილიარეალი-ხიხონი | 1.57 | 3.75 | 6.0 |
| 13.03 | სევილია-ბარსელონა | 7.0 | 4.33 | 1.44 |
| 14.03 | ხეტაფე-ბილბაო | 2.4 | 3.25 | 2.9 |

**ალმერია — ატლეტიკო**

ალმერია: ***ტრავმ***-პაბლო პიატი, მანუელ ორტიზი, მიგელ ნიეტო

ატლეტიკო: ***ტრავმ***-მერიდა პერესი, პულიდო; ***დისკვ***-ალვარო სოტო

**რეალი — ერკულესი**

რეალი: ***ტრავმ***-კაკა, ფერნანდო გაგო, ალვარო არბელოა, კრიშტიანუ რონალდუ, ეზეკიელ გარაი, სამი ჰედირა, გონსალო იგუაინი

ერკულესი: ***ტრავმ***-რუფეტე (?), პაცო პენა, როისტონ დრენტე, ნელსონ ვალდესი

**სარაგოსა — ვალენსია**

სარაგოსა: ***ტრავმ***-საიდ ბუტაჰარი, ნობრეგა ბრაულიო, ლეო ფრანკო, ლაფიტა, ვიქტორ ლაგუარდიაა

ვალენსია: ***ტრავმ***-ჰედვიგ მადურო, ჩორი დომინგესი, მიგელი, მიგელ მოია

**ესპანიოლი — დეპორტივო**

ესპანიოლი: ***ტრავმ***-მორენო მარკესი, ხუან ფორლინი, რაულ ბაენა, ივან ალონსო, დანიელ ოსვალდო, ივან დე ლა პენია, ფელიპე მატიონი; ***დისკვ***-ხორდი ამატი

დეპორტივო: ***ტრავმ***-ხუან ვარელონი, მანუელ პაბლო, ხისკო, საული; დისკვ-რუბენ პერესი, დიეგო კოლოტო

**ლევანტე — მალიორკა**

ლევანტე: ***ტრავმ***-სერხიო, როდას რამირესი, მიგელ კოლომერი, გარსია გორკა, მიგელ პერესი, იგნასიო გონსალესი

მალიორკა: ***ტრავმ***-ნადალი, ვიქტორ კასადესუსი

**ოსასუნა — რასინგი**

ოსასუნა: ***ტრავმ***-ჯოსეტხო, ვალტერ პანდიანი, იოერი, რობერტო, რუპერი; ***დისკვ***-ალვარო გეჯუდო, სერჟიო

რასინგი: ***ტრავმ***-ფაბიო კოლტორტი, ოსკარ სერანო, ალექსანდროს ციოლისი

**სოსიედადი — მალაგა**

სოსიედადი: ***ტრავმ***-მიკელ არანბურუ, რაულ ტამუდო, ხოსება ლიორენტე

მალაგა: ***ტრავმ***-პატრიკ მტილიგა, კალა, ელდერ როსარიო, დუდა, სერხიო ასენხო, რუბენი, ჟულიო ბატისტა; ***დისკვ***-მარტინ დემიკელისი

**ვილიარეალი — ხიხონი**

ვილიარეალი: ***ტრავმ***-სისინიო, მარკუს სენა, ანგელ ლოპესი

ხიხონი: ***ტრავმ***-გარსია ტორე; დისკვ-ალბერტო რამოსი

**სევილია — ბარსელონა**

სევილია: ***ტრავმ***-დიდიე ზოკორა, სერხიო სანჩესი, არუნა კონე, ლაუტარო აკოსტა, ლუკა გიგარინი, ტიბერიო გუერენტე, ივიცა დრაგუტინოვიჩი; ***დისკვ***-ჟულიენ ესკუდე

ბარსელონა: ***ტრავმ***-კარლეს პუიოლი, ჟეფრენი

**ხეტაფე — ბილბაო**

ხეტაფე: ***ტრავმ***-მანე, ხუან ალბინი (?), პაბლო პინტოსი, ბორხა, ოსკარ უსტარი, მარიო; ***დისკვ***-მიკუ

ბილბაო: ***ტრავმ***-ხავიერ კასტილიო, ფერნანდო ამორებიეტა, იბაი გომესი, იონას რამალიო

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 27 | 24 | 2 | 1 | 78:13 | 74 |
| 2.რეალი | 27 | 21 | 4 | 2 | 65:20 | 67 |
| 3.ვალენსია | 27 | 16 | 6 | 5 | 42:28 | 54 |
| 4.ვილიარ. | 27 | 15 | 5 | 7 | 46:29 | 50 |
| 5.ბილბაო | 27 | 13 | 2 | 12 | 42:38 | 41 |
| 6.ესპანიოლი | 27 | 13 | 1 | 13 | 35:39 | 40 |
| 7.ატლეტიკო | 27 | 11 | 5 | 11 | 39:35 | 38 |
| 8.სევილია | 27 | 11 | 5 | 11 | 41:42 | 38 |
| 9.სოსიედ. | 27 | 11 | 2 | 14 | 38:44 | 35 |
| 10.მალიორკა | 27 | 10 | 4 | 13 | 28:37 | 34 |
| 11.ხეტაფე | 27 | 9 | 5 | 12 | 36:41 | 33 |
| 12.ლევანტე | 27 | 9 | 4 | 14 | 28:38 | 31 |
| 13.დეპორტ. | 27 | 7 | 10 | 10 | 23:36 | 31 |
| 14.რასინგი | 27 | 7 | 9 | 11 | 25:39 | 30 |
| 15.ოსასუნა | 27 | 7 | 8 | 12 | 27:32 | 29 |
| 16.ხიხონი | 27 | 6 | 10 | 11 | 25:34 | 28 |
| 17.სარაგოსა | 27 | 6 | 9 | 12 | 24:39 | 27 |
| 18.ერკულესი | 27 | 7 | 5 | 15 | 25:41 | 26 |
| 19.ალმერია | 27 | 5 | 10 | 12 | 28:45 | 25 |
| 20.მალაგა | 27 | 6 | 5 | 16 | 34:59 | 23 |

## გერმანია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12.03 | ბაიერნი-ჰამბურგი | 1.53 | 4.0 | 6.0 |
| 12.03 | ჰოფენჰაიმი-დორტმუნდი | 4.5 | 3.5 | 1.8 |
| 12.03 | კაიზერი-ფრაიბურგი | 2.2 | 3.3 | 3.3 |
| 12.03 | შალკე-აინტრახტი | 1.7 | 3.6 | 5.0 |
| 12.03 | ვოლფსბ.-ნიურნბერგი | 2.2 | 3.3 | 3.3 |
| 12.03 | ვერდერი-გლადბახი | 1.7 | 3.6 | 5.0 |
| 13.03 | მაინცი-ლევერკუზენი | 3.3 | 3.3 | 2.2 |
| 13.03 | ზანქტ პაული-შტუტგ. | 3.3 | 3.3 | 2.2 |

**ბაიერნი — ჰამბურგი**

ბაიერნი: ***ტრავმ***-ივიცა ოლიჩი; დისკვ-ბრენო

ჰამბურგი: ***ტრავმ***-იაროსლავ დრბნი, იორის მატიისენი, მაქსიმ ჩუპო-მოტინგი, თუნაი თორუნი, მოჰამედ ბესიჩი

**ჰოფენჰაიმი — დორტმუნდი**

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-ანდრეას იბერტსბერგერი, ტობიას ვეისი, მანუელ გულდე, ჩინედუ ობასი; ***დისკვ***-კოკოუ მლაპა

დორტმუნდი: ***ტრავმ***-მატს ჰუმელსი, იონას ფოჩერი, მარკო სტიეპერმანი, მოჰამედ ზიდანი, შინჯეი კაგავა, პატრიკ ოვომოიელა

**კაიზერი — ფრაიბურგი**

კაიზერი: ***ტრავმ***-ჩადლი ამრი, ლუკასი, მარსელ კორეია, იან შიმუნეკი

ფრაიბურგი: ***ტრავმ***-იან როზენტალი, დანიელ უილიამსი, სიმონ პუპლინი, ტომი ბეჩმანი; ***დისკვ***-ანტონ პუსტილია

**შალკე — აინტრახტი**

შალკე: ***ტრავმ***-კრისტიან პანდერი, კრისტოფერ მორიტცი, ტიმ ჰოოგლანდი, ლევან ყენია; ***დისკვ***-ბენედიქტ ჰუედესი

აინტრახტი: ***ტრავმ***-ბენჯამინ კოლერი, მარსელ რივერო, ოკა, ნიკოლოვი, კრისი, ზლატან ბაირამოვიჩი; ***დისკვ***-მაიკ ფრანცი

**ვოლფსბურგი — ნიურნბერგი**

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-ალექსანდერ მადლუნგი, ტომას კალენბერგი, სერგეი კარიმოვი, თოლგა; ***დისკვ***-არნე ფრიდრიხი

ნიურნბერგი: ***ტრავმ***-მიკ ფრანტცი, იური ჯუდტი, ჟულიენ შრაიბერი, პასკალ ბილერი, ალბერტ ბუნიაკუ

**ვერდერი — გლადბახი**

ვერდერი: ***ტრავმ***-ფელიქს კროოსი, ლენარტ ტუ, საიდ ჰუსეინოვიჩი, დანიელ იენსენი, იურიცა ვრანიესი, კრისტიან ვანდერი, ნალდო

გლადბახი: ***ტრავმ***-იგორ დე კამარგო, კრისტიან დორდა, ბერნარდ იანეჩეკი

**მაინცი — ლევერკუზენი**

მაინცი: ***ტრავმ***-მიროსლავ კარანი, ადამ ზალაი, იან შიმაკი

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-მიხაელ ბალაკი, მანუელ ფრიდრიხი, კევინ კამპი, ტრანკილიო ბარნეტა, ბენედიქტ ფერნანდესი

**ზ.პაული — შტუტგარტი**

ზ.პაული: ***ტრავმ***-კარლოს ძამბრანო, ბასტიან ოკზიპკა, ფაბიო მორენა, კარსტენ როტენბახი; ***დისკვ***-მატიას ლემანი

შტუტგარტი: ***ტრავმ***-პატრიკ ფუნკი, მარკ ზიგლერი, ჩიპრიან მარიკა, არტურ ბოკა, იოან აუდელი; დისკვ-მეტიუ დელპიერი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 25 | 19 | 4 | 2 | 53:14 | 61 |
| 2.ლევერკუზ. | 25 | 14 | 7 | 4 | 53:34 | 49 |
| 3.ჰანოვერი | 25 | 15 | 2 | 8 | 37:32 | 47 |
| 4.მაინცი | 25 | 14 | 1 | 10 | 41:32 | 43 |
| 5.ბაიერნი | 25 | 13 | 6 | 6 | 51:33 | 42 |
| 6.ნიურნბერ. | 25 | 11 | 6 | 8 | 39:32 | 39 |
| 7.ჰამბურგი | 25 | 11 | 4 | 10 | 37:36 | 37 |
| 8.ფრაიბურგი | 25 | 11 | 4 | 10 | 32:34 | 37 |
| 9.ჰოფენჰაიმი | 25 | 8 | 9 | 8 | 41:37 | 33 |
| 10.შალკე | 25 | 8 | 6 | 11 | 29:30 | 30 |
| 11.კიოლნი | 25 | 8 | 5 | 12 | 31:43 | 29 |
| 13.აინტრახტი | 25 | 8 | 4 | 13 | 24:34 | 28 |
| 13.ზ.პაული | 25 | 8 | 4 | 13 | 27:43 | 28 |
| 14.ვერდერი | 25 | 7 | 7 | 11 | 33:51 | 28 |
| 15.ვოლფსბ. | 25 | 6 | 8 | 11 | 29:37 | 26 |
| 16.შტუტგარ. | 25 | 7 | 4 | 14 | 43:47 | 25 |
| 17.კაიზერი | 25 | 6 | 7 | 12 | 33:42 | 25 |
| 18.გლადბახი | 25 | 6 | 4 | 15 | 36:59 | 22 |

## საფრანგეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12.03 | არლე — ლორიენი | 3.8 | 3.3 | 2.0 |
| 12.03 | ლანსი-ტულუზა | 2.5 | 3.0 | 3.0 |
| 12.03 | ნანსი-კაენი | 2.0 | 3.2 | 4.0 |
| 12.03 | ნიცა-ოსერი | 2.5 | 3.0 | 3.0 |
| 12.03 | სოშო-ლიონი | 3.4 | 3.2 | 2.2 |
| 12.03 | სენტ ეტიენი-ბრესტი | 1.85 | 3.3 | 4.5 |
| 13.03 | ბორდო-მონაკო | 1.8 | 3.2 | 5.0 |
| 13.03 | ლილი-ვალანსიენი | 1.44 | 4.2 | 7.5 |
| 13.03 | პსჟ-მონპელიე | 1.75 | 3.4 | 5.0 |

**არლე — ლორიენი**

არლე: ***ტრავმ***-ჟილ ჟერმენი, კაბა დიავარა, სირილ მერვილი, იან კერმოგრანტი

ლორიენი: ***ტრავმ***-ჩეიკ დაკური, ჟილ სუნუ, ლამინე კონე, არნო ლე ლანი, ფაბიენ რობერი(?), ოლივიე მონტერუბიო, რაფიკ ბუდერბალი

**ლანსი — ტულუზა**

ლანსი: ***ტრავმ***-ერიკ ჩელე

ტულუზა: ***ტრავმ***-მარკ ვიდალი, პერ დუმბა, ხავიერ პენტეკოტე, იოან პელე

**ნანსი — კაენი**

ნანსი: ***ტრავმ***-მასადიო ჰაიდარა, ალფრედ ნდიაე, აატიფ ჩაჩეჩოუ, პაულ ეფოლოუ, ჯენარო ბრაჩილიანო

კაენი: ***ტრავმ***-ნიკოლას სეუბე, ანტონი დეროინი, რომაინ ჰამოუმა, ბრანკო ლაზარევიჩი

**ნიცა — ოსერი**

ნიცა: ***ტრავმ***-ემერსი ფაე, აბდოუ ტრაორე, გრეგორი პაისლი (?), დავიდ ჰელებუკი

ოსერი: ***ტრავმ***-რემი რიო, როი კონტო, პასკალ მინიო, იაია სანოგო, ალექსანდერ ლიკატა

**სოშო — ლიონი**

სოშო: ***ტრავმ***-ბრაუნ იდეიე, კევინ ანინი, ჟერემი ბრეჩე, ედუარდ ბუტინი, იასინ მიკარი

ლიონი: ***ტრავმ***-კრისი, ედერსონი

**სტ.ეტიენი — ბრესტი**

სტ.ეტიენი: ***ტრავმ***-სილვიან მარშალი, დიმიტრი პაიე, კრისტოფერ ლანდრინი, ბუბაქარ სანოგო, ლორის ნერი, აბდულაიე კულიბალი

ბრესტი: ***ტრავმ***-მოის აპანგა, ტომას კოტი, ნოლან როი, ივან ბურჟისი

**ბორდო — მონაკო**

ბორდო: ***ტრავმ***-ულრიჰ რამე, იოან გუაფრანი, აბდულაიე კეიტა

მონაკო: ***ტრავმ***-ვინსენტ მურატორი, დანიელ ნიკულაე, კრის მალონგა, მუსა მააზუ, ჯიმი ტრაორე

**ლილი — ვალანსიენი**

ლილი: ***ტრავმ***-არავინ

ვალანსიენი: ***ტრავმ***-გაეტან ბონგი, კრისტოფერ მფუი, ფუდ კადირი

**პსჟ — მონპელიე**

პსჟ: ***ტრავმ***-ორაუ, მევლუტ ერდინგი, ჟერემი კლემენტი (?)

მონპელიე: ***ტრავმ***-ლეგრა, ნენად ძოძიჩი, ბნგალი კოიტა

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლილი | 26 | 13 | 10 | 3 | 45:25 | 49 |
| 2.რენი | 26 | 14 | 7 | 5 | 31:18 | 49 |
| 3.ლიონი | 26 | 12 | 9 | 5 | 44:25 | 45 |
| 4.მარსელი | 26 | 12 | 9 | 5 | 37:23 | 45 |
| 5.პსჟ | 26 | 12 | 8 | 6 | 39:26 | 44 |
| 6.მონპელიე | 26 | 10 | 8 | 8 | 21:24 | 38 |
| 7.ბორდო | 26 | 9 | 10 | 7 | 35:31 | 37 |
| 8.ლორიენი | 26 | 10 | 6 | 10 | 32:31 | 36 |
| 9.სოშო | 26 | 10 | 5 | 11 | 40:31 | 35 |
| 10.სტ.ეტიენი | 26 | 9 | 8 | 9 | 33:33 | 35 |
| 11.ბრესტი | 26 | 9 | 8 | 9 | 27:28 | 35 |
| 12.ტულუზა | 26 | 10 | 3 | 13 | 27:29 | 33 |
| 13.ვალანს. | 26 | 7 | 11 | 8 | 30:27 | 32 |
| 14.კაენი | 26 | 8 | 8 | 10 | 29:36 | 32 |
| 15.ნიცა | 26 | 7 | 9 | 10 | 17:27 | 30 |
| 16.ოსერი | 26 | 5 | 14 | 7 | 30:33 | 29 |
| 17.ნანსი | 26 | 8 | 5 | 12 | 27:41 | 29 |
| 18.მონაკო | 26 | 4 | 14 | 8 | 25:28 | 26 |
| 19.ლანსი | 26 | 5 | 10 | 11 | 26:44 | 25 |
| 20.არლე | 26 | 1 | 8 | 17 | 13:50 | 11 |

# ოთარ მარცვალაძე: როცა ცივა, თამაში არაკომფორტულია

რუსეთის პრემიერლიგის დებიუტანტ ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგის“ ვიცე-კაპიტანმა, ოთარ მარცვალაძემ, სეზონის დაწყებამდე კლუბისა და საკუთარ გეგმებზე ისაუბრა, რომელიც „ვოლგის“ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა.

— ***წინასასეზონო მოსამზადებელი პერიოდი როგორ მიმდინარეობს?***

— გუნდი ძალიან სერიოზულად ემზადება. ცხადია, მომზადების დონე იმისგან განსხვავდება, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდში იყო. თითოეულ მწვრთნელს ხომ თავისი შეხედულება აქვს. გარდა ამისა, ამჟამად გუნდში მყოფ მოთამაშეებს გვესმის, რომ დებიუტი ახალ დონეზე მოგვიწევს. შესაბამისად, აუცილებელი იქნება, უფრო სერიოზულ კონკურენციას გავუძლოთ. მისთვის მზად ახლავე უნდა ვიყოთ. დღესდღეობით კისლოვოდსკში მომზადების დამამთავრებელი ეტაპი მიმდინარეობს. ჩვენ პირველი მატჩისთვის ვემზადებით, გვსურს, ლამაზი ფეხბურთი ვაჩვენოთ და ქომაგები გავახაროთ. პროგნოზების გაკეთება არ მსურს. უბრალოდ, ვიტყვი, რომ „ტომთან“ მატჩს მაქსიმალურად კონცენტრირებულნი უნდა შევხვდეთ.

— ის ფაქტი, რომ სამი შეკრება ჩაატარეთ და არც ერთი მატჩი არ წააგეთ, არ გაშინებთ?

— რატომ უნდა გვაშინებდეს? რა აზრი აქვს? ვთვლი, რომ შავი კატის ძებნა ბნელ ოთახში არ ღირს. ვფიქრობ, შეკრებებზე ყველა თამაში რომ წაგვეგო, ნაკლებად თუ ვინმე ჩათვლიდა ამას კეთილისმომასწავებელ ნიშნად. მოსამზადებელ პერიოდში ჩატარებული თამაშებისთვის დიდი ყურადღების მიქცევა არ ღირს, მაგრამ მათი შეუფასებლობაც არ იქნება.

— ***კლუბი 16-მა ახალწვეულმა შეავსო. ისინი გუნდს როგორ შეეგუვნენ?***

— უპირველესად ყოვლისა, ვიტყვი, რომ ახალწვეულებმა უდავოდ გაგვაძლიერეს. ბევრ მათგანს რუსეთის პრემიერლიგაში თამაშის გამოცდილება აქვს, რაც ძალიან გამოგვადგება. ამასთანავე, აღვნიშნავ, რომ ისინი შეუერთდნენ კოლექტივს, რომელიც კვლავ ერთ მუშტად შეკრული რჩება. კლუბის ერთ-ერთი ბოლო შენაძენი მარკ კროსასია, რომელიც საუცხოო ბიჭია. რა თქმა უნდა, მან ჯერ რუსული არ იცის, მაგრამ ფეხბურთელები, რომლებიც ინგლისურად ლაპარაკობენ, მარკს რუსეთში ადაპტაციის გავლაში ეხმარებიან.

— ***მოსამზადებელმა პერიოდმა თუ გაჩვენათ, თქვენთვის ვისთან უფროა მოსახერხებელი შემტევი ტანდემის შექმნა?***

— ჩემთვის ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, ალბათ, არაკორექტულია. ვარჯიშებზე ყველა ფეხბურთელი შრომობს და მხოლოდ სამწვრთნელო შტაბი განსაზღვრავს გუნდის შემადგენლობას. ჩემთვის პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს, მოედანზე ვისთან ერთად გავალ, მით უმეტეს, რომ ყველა მოთამაშე კარგ სათამაშო ფორმაშია.

— ***ის ფაქტი, რომ ახლა ნიჟნი-ნოვგოროდში ყინვაა, რომელიც, სავარაუდოდ, 14 მარტისთვისაც იქნება, „ვოლგას“ ტომსკის „ტომთან“ სადებიუტო შეხვედრაში პრობლემას არ შეუქმნის?***

— ცხადია, როცა ცივა, თამაში არაკომფორტულია, თუმცა, ამან წინააღმდეგობა არ უნდა შეგვიქმნას. ჩვენ ნებისმიერ ამინდში სათამაშოდ მზად ვართ. ამასთანავე, უდავოდ პლუსია, რომ ბალახისსაფარიან მოედანზე ვითამაშებთ. ჩემთვის ხელოვნურსაფარიანი მოედანი ოპტიმალურ ვარიანტს არ წარმოადგენს.

# ლევან ვეფხვაძეს პარლამენტის სხდომათა დარბაზი დაატოვებინეს



არლამენტში მიმდინარე დებატებისას ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების" წევრს, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეს ლევან ვეფხვაძეს ხმაურისათვის პარლამენტის სხდომათა დარბაზი დაატოვებინეს.

დებატებზე ადმინისტრაციულ ან სამოქალაქო დავებში იუსტიციის სამინისტროს ჩართვის გამარტივების საკითხი განიხილებოდა. საპარლამენტო ოპოზიცია აღნიშნულ ინიციატივას აპროტესტებდა. კანონპროექტზე დებატებისას უმრავლესონის წევრმა, იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილმა საპარლამენტო ოპოზიცია არაკომპეტენტურობაში დაადანაშაულა. ბრალდებაზე პასუხის გაცემა „ქრისტიან დემოკრატმა" ლევან ვეფხვაძემ მოინდომა, თუმცა მას ამის საშულება არ მიეცა და მიკროფონის ჩართვას პარლამენტის თავმჯდომარეს დარბაზიდან სთხოვდა.დავით ბაქრაძემ ორი გაფრთხილების შემდეგ, ლევან ვეფხვაძეს სხდომათა დარბაზის დატოვება მოსთხოვა.

ვეფხვაძემ სხდომათა დარბაზი წინააღმდეგობის გაწევის გარეშე დატოვა. დარბაზიდან გამოსვლის შემდეგ, კი ადმინისტრაციულ ან სამოქალაქო დავებში იუსტიციის სამინისტროს ჩართვის გამარტივდება კიდევ ერთხელ გააპროტესტა და ეს ინიციატივა ხელისუფლების მხირან ბიზნესზე ზეწოლის ბერკეტად შეაფასა.

ლევან ვეფხვაძის შეფასებით, აღნიშნული კანონპროექტის ინიციატივა მთავრობას ეკუთვნის, პარლამენტი კი აღმასრულებელ ხელისუფლებას წინააღმდეგობას ვერ უწევს.პარლამენტის რეგლამენტის დარღვევისათვის ლევან ვეფხვაძეს ერთი დღის ხელფასი დაექვითება.

**მედიანიუსი**

# ალასანია არასამთავრობოებს შეხვდა

„თავისუფალი დემოკრატების" ლიდერი ირაკლი ალასანია საარჩევნო რეფორმასთან დაკავშირებით პარტიის ოფისში არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდა.

ოპოზიციონერმა ლიდერმა სამოქალაქო საზოგადოებას საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე მიმდინარე მოლაპარაკებათა შედეგები გააცნო და მათ პროცესის აქტიური მხარდაჭერისკენ მოუწოდა.

— საარჩევნო რეფორმასთან დაკავშირებით ჩვენ ქვეყანაში მხოლოდ პოლიტიკოსების შეთანხმება არ არის საკმარისი; აუცილებელია, ამ პროცესებში აქტიურად ჩაერთოს სამოქალაქო საზოგადოება, რადგან ყველას ინტერესში შედის ისეთი საარჩევნო გარემოს შექმნა, რომელიც გარანტირებულად მისცემს მოქალაქეებს არჩევანის უფლებას, — განუცხადა ალასანიამ ჟურნალისტებს.

მისივე თქმით, მოლაპარაკებებში, რომელიც ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის რეალურად 9 მარტს დაიწყო, სამოქალაქო საზოგადოებამ თავისი სიტყვა უნდა თქვას.

**ინტერპრესნიუსი**

# განცხადებები


**ნათელმხილველი მანანა**
**იგებს წარსულს, აწმყოს, მომავალს, ადგენს უიღბლობის მიზეზს, ათავისუფლებს ავი თვალისა და ჯადოსაგან, ამზადებს თილისმებს ბარაქაზე, ბედის გახსნაზე, წარმატებაზე, ჯადოსა და თვალისგან დამცველს, შეუძლია დანგრეული ოჯახების აღდგენა და ნევროზის განკურნება.**
**მიღება წინასწარი შეთანხმებით!**
**მის.: მეტრო „ავლაბართან", მახათის შესახვევი N6. ტელ: 897-29-27-50.**

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 34-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38; 858-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით, 25 წლამდე, კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე, გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 34-02-38; 895-293-299; 890-293-299. ექიმი ქ-ნი ინგა.

● ელიავას ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე ს.ს. „ივერიაში" ქირავდება 1000 კვ.მ სასაწყობე ფართი I სართულზე. საწყობი არის რკინიგზის ლიანდაგის პირას, შესაძლებელია, ვაგონების დაცლა პირდაპირ, შედის ტრაილერი. მისამართი: თბილისი, გუდაუთის ქ.№7. ტელ: 34-04-65; 34-02-23.

● ლომთათიძე — პოლიკნიკის დირექტორი მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, კანის დაავადებებს, ფურუნკულს, ტროპიკულ წყლულს, თმის ცვენას, ბუასილს უოპერაციოდ, ეგზემას, ფსორიაზს, მარილების დაგროვებას, პროსტატიტს, A,B,C ჰეპატიტს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ფეხების ოფლიანობას, თვალების გარშემო ცხიმგროვას. მის: აღმაშენებლის №93, ტელ:96-38-27; 893-39-04-87 ირინა. კონსულტაცია უფასოა.

● ელიავას ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე ს.ს. „ივერიაში" ქირავდება სხვადასხვა სიდიდის ფართები. სასაწყობე მეურნეობა კეთილმოწყობილია, ტერიტორიაზე შემოდის რკინიგზის ლიანდაგი. მისამართი: თბილისი, გუდაუთის ქ.№7. ტელ: 34-04-65.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 74-81-41, 871-33-01-61.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.


# თბილისს ეუთოს თავმჯდომარე ქვეყნის საგარეო უწყების ხელმძღვანელი ეწვევა

ეუთოს თავმჯდომარე ქვეყანა — ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრი აუდრონიუს აჟუბალისი 15 მარტს საქართველოს ეწვევა.

ეუთოს ოფიციალურ საიტზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, აჟუბალისი თბილისს სამხრეთ კაკასიური ტურნეს ფარგლებში ეწვევა, რომელსაც ლიტველი დიპლომატი 13 მარტიდან იწყებს.

აჟუბალისი 13 მარტს აზერბაიჯანში ჩავა, სადაც ორ დღეს დარჩება, 15 მარტს თბილისს ეწვევა, ხოლო 17 მარტს სომხეთში გაემგზავრება.

ტურნეს ფარგლებში აჟუბალისი სომხეთის და აზერბაიჯანის პრეზიდენტებს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს, აღნიშნული ქვეყნების პოლიტიკურ ლიდერებს და საზოგადოების წარმომადგენლებს შეხვდება. ლიტველი დიპლომატი სამხრეთ კავკასიურ ქვეყნებში პრესკონფერენციებსაც გამართავს.

ვიზიტის მთავარი მიზანია რეგიონში ეუთოს საქმიანობის განხილვა და ლიტვის, როგორც ორგანიზაციის თავმჯდომარე ქვეყნის, პრიორიტეტების სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის გაცნობა. აჟუბალისი ტურნეს ფარგლებში განიხილავს რეგიონში არსებული გაჭიანურებული ტერიტორიული პრობლემების საკითხსაც.შეგახსენებთ, რომ ლიტვა ეუთოს თავმჯდომარე ქვეყანა 2011 წლის 1-ლი იანვრიდან გახდა, ოფიციალურ ვილნიუსს თავმჯდომარეობა ყაზახეთისგან გადაეცა.

**მედიანიუსი**

# ეკონომიკური ზრდის შესახებ მთავრობის განცხადება ბლეფია



მოძრაობა სამართლიანი საქართველოს ლიდერის, ზურაბ ნოღაიდელის განცხადებით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხები არაერთჯერად ღონისძიებებში, არამედ ინვესტიციებში უნდა იყოს გადასროლილი.

როგორც ზურაბ ნოღაიდელმა პარასკევს პარტიის ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ეკონომიკურ ზრდაზე მთავრობის განცხადება ბლეფია. ფასები იზრდება მთავრობის პოლიტიკის გამო. უმნიშვნელო ეკონომიკური ზრდის გამო რეალურად ქვეყანაში გვაქვს ფასების 30-პროცენტიანი, ხოლო სასურსათო ფასების თითქმის 50 პროცენტიანი ზრდა.

2011 წლის ინფლაციურ პროცესებს სათავე ჯერ კიდევ 2010 წელს დაედო. 2010 წლის პირველ სამ კვარტალში ეკონომიკის რეალური ზრდა იყო უმნიშვნელო, ხოლო ინფლაცია თითქმის 15 პროცენტი.

თუ შევადარებთ 100 ლარამდე პენსიის გაზრდასთან დაკავშირებით ხელისუფლების ინიციატივას 2007 წელთან, პენსიის ღირებულება ინფლაციის გათვალისწინებით, 2011 წელს 100 ლარი, 2007 წლის ფასებთან მიმართებით, 64 ლარს შეადგენს„, — განაცხადა ნოღაიდელმა.

მისი თქმით, შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი შეიძლება იყოს ბიზნესის რეკეტისგან გათავისუფლება და ნებისმიერი მოქალაქისთვის ბიზნესის წარმოების ხელმისაწვდომობა. ასევე სახელმწიფო ბიუჯეტიდან ძირითადი თანხები გადასროლილი უნდა იყოს ჯანდაცვაზე, განათლებისა და მეცნიერებასა და სოფლის მეურნეობაზე. რა თქმა უნდა, ვგულისხმობ არა ერთჯერად ღონისძიებებს, არამედ ზემოაღნიშნულ პრიორიტეტულ სფეროებში გრძელვადიან ინვესტიციებს.

— მისათვის, რომ მოითოკოს ინფლაცია და პენსიის ღირებულება შენარჩუნდეს, უნდა შეიცვალოს 2011 წლის ბიუჯეტის ხარჯების სტრუქტურა და შემცირდეს დეფიციტი 265 მილიონი ლარით, — აცხადებს ნოღაიდელი.

**მედიანიუსი**

# პარლამენტში მინისტრები 22 მარტს მივლენ

პარლამენტში მინისტრების მოსმენისას, ძალოვანი მინისტრების სიტყვით გამოსვლა არ იგეგმება და ისინი მხოლოდ კითხვებს უპასუხებენ.

როგორც „ინტერპრესნიუსისთვის" გახდა ცნობილი, მინისტრები პარლამენტში პირველად 22 მარტს მივლენ. იმავე დღეს გამოვლენ ფინანსთა მინისტრი კახა ბაინდირაშვილი და ანდრია ურუშაძე, მინისტრების გამოსვლას კი, პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური გახსნის.

23 მარტს, დეპუტატები ანგარიშს ჩაიბარებენ ენერგეტიკის მინისტრ ალეკო ხეთაგურისგან, ეკომომიკის მინისტრ ვერა ქობალიასგან და სოფლის მეურნეობის მინისტრ

ბაკურ კვეზერელისგან.

24 მარტს დაგეგმილია კობა სუბელიანის, რამაზ ნიკოლაიშვილის და დიმიტრი შაშკინის მოსმენა. 25 მარტს კი, შემაჯამაბელი სიტყვით, პრემიერი გამოვა.

პარლამენტში მართალია, არ იგეგმება ძალოვანი მინისტრების გამოსვლა, თუმცა ისინი 25 მარტს, აღმასრულებელი ხელისუფლების ლოჟაში იქნებიან და დეპუტატებს შეეძლებათ, კითხვებით მიმართონ.

**ინტერპრესნიუსი**

# ხელისუფლებას უსისხლოდ გავისტუმრებთ!



ხობში მყოფმა „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ საზოგადოებას გაერთიანებისა და არსებული ხელისუფლების უსისხლოდ შეცვლისკენ მოუწოდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს" „სახალხო კრების" პრესსამსახურიდან აცნობეს, დღეს ხობში წინააღმდეგობის კომიტეტი დაფუძნდა, სადაც ნინო ბურჯანაძეც იმყოფება.

პრესსამსახურის ინფორმაციით, ნინო ბურჯანაძემ სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, რომ თუ ხალხი გაერთიანდება, მიხეილ სააკაშვილს თანამდებობის დატოვება მოუწევს.

— ჩვენ არავითარ შემთხვევაში უკან არ დავიხევთ. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ეს ხელისუფლება უსისხლოდ გავისტუმროთ. თუ მთელი საქართველო ერთიანად ფეხზე დადგება, მიხეილ სააკაშვილს არ აქვს რესურსი, რომ მთელ საქართველოს წინ აღუდგეს და აუცილებლად წავა, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

მისივე თქმით, ხელისუფლებას უმკაცრესად მოეთხოვება პასუხი ნებისმიერ არაკონონიერ ქმედებებზე.

— სირცხვილია, დავით აღმაშენებლის და ცოტნე დადიანის სამშობლოში მთავრსადრდალი თვითმფრინავის ხმის გაგონებაზე გარბოდეს; სირცხვილია, სასტუმროს ასაშენებელი ხელშეკრულებისთვის პრეზიდენტი დარბის ამერიკაში. თუ რამე შენდება დღეს საქართველოში, შენდება იმ ვალით, რომელიც ჩვენი შვილების გადასახდელია, — განაცხადა ნინო ბუირჯანაძემ

**ინტერპრესნიუსი**

# ბათუმში 25 წლის მამაკაცი გარდაცვლილი იპოვეს

ბათუმში, თამარის გზატკეცილზე, ზღვის სანაპიროსთან მეეზოვემ დღეს დილით, გარდაცვლილი 25 წლის მამაკაცი იპოვა.როგორც „მედიანიუსს" ბათუმიდან აცნობეს, სამართალდამცავებმა ახალგაზრდის ვინაობა პირადობის მოწმობის საფუძველზე დაადგინეს. გიორგიკიკაძე ბორჯომის მკვიდრია. გარდაცვალების მიზეზის დასადგენად ცხედარი პროზექტურაში გადაასვენეს. საქმეს სამართალდამცავები იძიებენ.

**მედიანიუსი**





**მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის რესტავრაცია.**
**შეიტანეთ თქვენი წვლილი საღვთო საქმეში.**

**დარეკეთ!**

**მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი 700 607**

**ახალი ქსელები 700 608**

**გაერთიანებული ტელეკომი 608 608**



ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად
შეგიძლიათ გამოიყენოთ
<u>სწრაფი გადახდის აპარატები</u>

(იხ. მენიუში: სხვადასხვა – საქველმოქმედო – ხობის მონასტერი).

**ერთად ვიზრუნოთ ტაძარზე.**

## ორშაბათი 14 მარტი

**06.30** დოკ. ფილმი "მსოფლიოს ოდისეები" **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** ვ. სანაიას რეპორტაჟი **13.30** ქართული დოკუმენტალისტიკა **14.00** აქცენტები **15.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **17.00** პლანეტა ბასტი-ბუბუ **18.00** მეხსიერება **19.05** დოკ. ფილმი "გამორჩეული სასტუმროები" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **22.00** აუდიტორია **23.00** თოქ-შოუ "არენა" **00.30** მხ. ფილმი **"გოძილა"** (**12**) (მ. ბროდერიკი) **03.00** მოამბე **03.20** ცხოვრება მშვენიერია

**08.00** დოკ. ფილმი **09.00** მხ. ფ.**"შინ დაბრუნება"** **11.00** ვ. სანაიას რეპორტაჟი **11.30** დოკ. ფილმი **12.30** ქართული დოკუმენტალისტიკა **13.30** ისტორია **14.00** რეგიონის დროით **14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **16.00** დოკ. ფილმი **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ. ფილმი **20.00** მხ. ფ.**"შეყვარებულები"** **22.00** თავისუფალი ტრიბუნა **00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **01.00** მხ. ფილმი **"სირუმე"** (**18**)

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ.**"ცოდვილი"** 1-ლი ს. **10.00** სერ. **"მიმწყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.20** კურიერი **12.30** სერ. **"შენ ჩემი სიცოცხლე ხარ"** **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** იღბლიანი ბორბალი (გან.) **16.00** სერ. **"სიყვარულის საიდუმლო"** **16.50** სერ. **"მორენას ვნება"** **18.30** სერ. **"გაორება"** **18.50** სერ. **"დანიელა"** **19.50** სერ. **"ელენას მოჩვენება"** **22.00** ნიჭიერი **00.00** საფეხბურთო ღამე **01.00** მხ. ფილმი **"რემბო 2"** (**18**) (ს. სტალონე) **03.00** პატრული

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "ბეტმენი" **09.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **12.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე"** **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.40** პულსი **15.20** სერ.**"ორნახევარი კაცი"** **16.30** გადაცემა "ტვ-ტესტი" **17.00** მხ. ფილმი **19.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **20.00** სერ.**"დაუნდობელი სამყარო"** **21.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**07.30 იმედის დილა 10.00 სერ. "სილამაზის მსხვერპლი" 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.40 ქრონიკა 11.30 სერ."სიყვარულის ზღვა" 12.25 ტვ-მარკეტი 12.35 სერ."ლოზას საიდუმლო" 14.40 დღის შოუ 16.00 სერ. "მონტეს ოჯახი" 17.40 სერ."სიყვარულის ზღვა" 18.40 სერ."ლოზას საიდუმლო" 21.00 სერ. "ქალბატონი" 22.00 სტუმრად იუმორინასთან 23.00 მუსიკალური ლიგა 00.00** მხ. **ფ. "ლამაზი ქალი"** (ჯ. **რობერტსი**) (**სუბტ.**) **02.25** მხ. **ფილმი "ბოროტების სავანე 3"** (18) (**სუბტ.**) **03.55** მხ.**ფ."უცხოები"** (18) (**სუბტ.**) **06.30 სერ. "ბოშები"**

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30** სერ. **"დაცვის უფლება"** **10.30** დოკ. ფილმი **11.50, 21.00** სერ. **"იდუმალი სტუმარი"** **12.50, 19.30** სერ. **"უკანასკნელი საჯარიმო"** **14.50** ფერისცვალება **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ.**"ეპოქის ვარსკვლავი"** **23.00** სერ. **"ადვოკატი"** **00.00** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება**

**08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00** პატრიარქის ქადაგება **10.35** კვირიაკე **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 24.00** საგალობელი **12.05, 15.00** საეკლესიო კალენდარი **12.10** მხ. ფილმი **"გიორგობისთვე"** **13.30** კონცერტი – დები გოგოჭურის ფოლკლორული ანსამბლი **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.30** სპექტაკლი **"გუშინდელნი"** **17.25** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **19.15** მხ. ფილმი **"ნინო"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** მხ. ფილმი **"გალობის რაინდები"** **22.20** ერთსულოვანი ოჯახი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ. ფილმი "საპონელა" **00.30** სუფთა დაფა

## სამშაბათი 15 მარტი

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** თოქ-შოუ "არენა" **14.00** ჩვენი ეზო **15.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **17.00** პლანეტა ბასტი-ბუბუ **18.00** მეხსიერება **19.05** დოკ. ფილმი "ეგვიპტე" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **22.00, 04.00** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **23.00** ჩემპიონთა ლიგა **23.40 ჩემპიონთა ლიგა**. მერვედფინალი. **01.40** მოამბე **02.00** მხ. ფილმი **"ჯილიანს დაბადების დღეზე"** (მ. პფაიფერი) (სუბტ.) **05.00** აუდიტორია

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ. ფილმი "7 მომაკვდინებელი ცოდვა" **20.00** მხ.ფ.**"გრძნობა და გონება"** **01.00** მხ. ფილმი **"გოძილა"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **10.00** სერ. **"მიმწყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.20** კურიერი **12.30** სერ. **"შენ ჩემი სიცოცხლე ხარ"** **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** ვანოს შოუ (გან.) **15.30** სერ. **"ჩვენი ოფისი"** **16.00** სერ. **"სიყვარულის საიდუმლო"** **16.50** სერ. **"მორენას ვნება"** **18.30** სერ. **"გაორება"** **18.50** სერ. **"დანიელა"** **19.50** სერ. **"ელენას მოჩვენება"** **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ვის უნდა **20** ათასი **23.00** ჯეუოსლის გათამაშება (პირდ.) **23.40 ჩემპიონთა ლიგა**. მანჩესტერი-მარსელი **01.40** პატრული **02.00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **02.20** მხ. ფილმი **"ლამაზი ჯონი"** (**18**) (მ. რურკი)

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "ბეტმენი" **09.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **12.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე"** **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** იმედის ფსონი (პირდ.) **15.30** სერ.**"ორნახევარი კაცი"** **16.30** გადაცემა "ტვ-ტესტი" **17.00** მხ. ფილმი **19.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **20.00** სერ.**"დაუნდობელი სამყარო"** **21.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**07.30 იმედის დილა 10.00 სერ. "სილამაზის მსხვერპლი" 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 12.25 ტვ-მარკეტი 11.30 სერ."სიყვარულის ზღვა" 12.25 ტვ-მარკეტი 12.35 სერ."ლოზას საიდუმლო" 14.40 დღის შოუ 16.00 სერ. "მონტეს ოჯახი" 17.40 სერ."სიყვარულის ზღვა" 18.45 სერ."ლოზას საიდუმლო" 21.00 სერ. "ქალბატონი" 22.00 ნანუკას შოუ 23.30 "ფეის კონტროლი" 00.30** მხ. **ფ."კომანდო"** (15) (**ა. შვარცენეგერი**) (**სუბტ.**) **02.30** მხ. **ფილმი "მზის ბნელი მხარე"** (ბ. **პიტი**) (**სუბტ.**) **04.10** მხ. **ფილმი "კერკეტი კაკალი"** (12) (**სუბტ.**) **06.30 სერ. "ბოშები"**

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ. **"ადვოკატი"** **10.30** დოკ. ფილმი **11.50, 21.00** სერ. **"იდუმალი სტუმარი"** **12.50, 19.30** სერ. **"უკანასკნელი საჯარიმო"** **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ.**"ეპოქის ვარსკვლავი"** **00.00** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება**

**08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.35** დოკ. ფილმი "საპონელა" **10.50** ერთსულოვანი ოჯახი **11.10** მხ. ფილმი **"გალობის რაინდები"** **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"ნინო"** **13.30** კონცერტი – სესლია ბარტოლი **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.30** მხ. ფილმი **"ზესამე"** **17.00** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.30** მოკლემ. ფილმი **"ბავშვები"** **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი **"განაჩენი"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** სალვთისმეტყველო საუბრები **22.20** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დროის ჩანაწერები **00.25** წარმატების ფორმულა **00.40** შარავანდედი **01.05** დოკ. ფილმი "წერილი ძმას"

## ოთხშაბათი 16 მარტი

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** აუდიტორია **13.30** დამზადებულია საქართველოში **14.00** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **15.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **17.00** პლანეტა ბასტი-ბუბუ **18.00** მეხსიერება **19.05** დოკ. ფილმი "ბრძოლა ევერესტის დასაპყრობად" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **22.00** ქართული დოკუმენტალისტიკა **23.00** ჩემპიონთა ლიგა **23.40 ჩემპიონთა ლიგა**. მერვედფინალი. **01.40** მოამბე **02.00** მხ. ფილმი **"მეკაბელე"** (**12**) (ჯ. ქერი) (სუბტ.) **04.50** მხ. ფილმი **"ყველა წესის დარღვევით"** (**12**)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ. ფილმი "7 მომაკვდინებელი ცოდვა" **20.00** მხ. ფ. **"კრიზისის დრო"** **01.00** მხ. ფილმი **"ჯილიანს დაბადების დღეზე"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **10.00** სერ. **"მიმწყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.20** კურიერი **12.30** სერ. **"შენ ჩემი სიცოცხლე ხარ"** **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** კომედი შოუ **15.30** სერ. **"ჩვენი ოფისი"** **16.00** სერ. **"სიყვარულის საიდუმლო"** **16.50** სერ. **"მორენას ვნება"** **18.30** სერ. **"გაორება"** **18.50** სერ. **"დანიელა"** **19.50** სერ. **"ელენას მოჩვენება"** **22.00** იღბლიანი ბორბალი **23.00** დოკ.ფ."ჯაზის ლეგენდები" **23.40 ჩემპიონთა ლიგა**. რეალი-ლიონი **01.40** პატრული **02.00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **02.20** მხ. ფილმი **"ელექტროშოკი"** (**18**) (მ. მერფი)

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "ბეტმენი" **09.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **12.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე"** **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** სერ.**"ორნახევარი კაცი"** **15.30** გადაცემა "ტვ-ტესტი" **16.20** მხ. ფილმი **19.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **20.00** სერ.**"დაუნდობელი სამყარო"** **21.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**07.30 იმედის დილა 10.00 სერ. "სილამაზის მსხვერპლი" 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.30 სერ."სიყვარულის ზღვა" 12.25 ტვ-მარკეტი 12.35 სერ."ლოზას საიდუმლო" 14.40 დღის შოუ 16.00 სერ. "მონტეს ოჯახი" 17.40 სერ."სიყვარულის ზღვა" 18.45 სერ."ლოზას საიდუმლო" 21.00 სერ. "ქალბატონი" 22.00 ყოფილი ცოლების კლუბი 23.00 თბილისი ლაივი 00.00** მხ. **ფილმი "კეთილი ჯონი"** (**ჩ. ტატუმი**) (**სუბტ.**) **02.10** მხ. **ფილმი "ლომის გული"** (**ჟ. ვან დამი**) (**სუბტ.**) **03.55** მხ.**ფ."ჩემი ძმაკაცის შეყვარებული"** (12) (**სუბტ.**) **06.30 სერ. "ბოშები"**

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ. **"ადვოკატი"** **10.30** დოკ. ფილმი **11.50, 21.00** სერ. **"იდუმალი სტუმარი"** **12.50, 19.30** სერ. **"უკანასკნელი საჯარიმო"** **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ.**"ეპოქის ვარსკვლავი"** **22.00** სცენა **00.00** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება**

**08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.05, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.20** სალვთისმეტყველო საუბრები **11.25** დროის ჩანაწერები **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"განაჩენი"** **13.35** კონცერტი – ანს. "შავნაბადა" **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.30** მხ. ფილმი **"ადამიანთა სევდა"** **16.55** კვირიაკე **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** ჯვარსახოვანი გზა, გად. 1-ლი **19.40** მხ. ფილმი **"თუში მეცხვარე"** 1-ლი ს. **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** გზა, რომლითაც ვიარე **22.20** ქართული ალბომი **22.40** დოკ. ფილმი "არაბესკი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15, 00.35** სუფთა დაფა **00.50** გადაცემა "კარაბადინი"

## ხუთშაბათი 17 მარტი

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** ისტორია **13.30** ჩვენი ფერმა **14.00** ცხოვრება მშვენიერია **15.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **17.00** პლანეტა ბასტი-ბუბუ **18.00** მეხსიერება **19.05** დოკ. ფილმი "ნოსტრადამუსი: 2012 წელი" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **22.00** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **23.00** სერ. **"ფარი"** (**12**) **00.00** ავტოპილოტი **01.00** მხ. ფილმი **"სარკეს ორი მხარე აქვს"** (**12**) **04.35** მხ. ფილმი **"ნაციონალური უსაფრთხოება"**

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ. ფილმი "7 მომაკვდინებელი ცოდვა" **20.00** მხ. ფილმი **"ყველა წესის დარღვევით"** **01.00** მხ. ფ. **"მეკაბელე"** (**12**)

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **10.00** სერ. **"მიმწყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30** კურიერი **12.30** სერ. **"შენ ჩემი სიცოცხლე ხარ"** **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** ნიჭიერი (გან.) **16.00** სერ. **"სიყვარულის საიდუმლო"** **16.50** სერ. **"მორენას ვნება"** **18.30** სერ. **"გაორება"** **18.50** სერ. **"დანიელა"** **19.50** სერ. **"ელენას მოჩვენება"** **22.00** პროფილი **23.30** ტოტო **00.00** მხ.ფ.**"გადარჩენა მგლებთან ერთად"** (**18**) (მ. ბერნი) **02.00** პატრული

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "ბეტმენი" **09.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **12.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე"** **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **15.20** სერ.**"ორნახევარი კაცი"** **16.30** მხ. ფილმი **19.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **20.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **21.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**07.30 იმედის დილა 10.00 სერ. "სილამაზის მსხვერპლი" 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.30 სერ."სიყვარულის ზღვა" 12.25 ტვ-მარკეტი 12.35 სერ."ლოზას საიდუმლო" 14.40 დღის შოუ 16.00 სერ. "მონტეს ოჯახი" 17.40 სერ."სიყვარულის ზღვა" 18.45 სერ."ლოზას საიდუმლო" 21.00 სერ. "ქალბატონი" 22.00 სერ. "შუა ქალაქში" 00.00** მხ.**ფ."სხეულის გამტაცებლები"** (ბ. **უორთი**) (**სუბტ.**) **01.50** მხ. **ფილმი "შეუპოვარი"** (12) (ჰ. **ფორდი**) (**სუბტ.**) **04.00** მხ. **ფილმი "ჩვევად ქცეული ქორწინება"** (ქ. **ბესინჯერი**) (**სუბტ.**) **06.30 სერ. "ბოშები"**

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ. **"ადვოკატი"** **10.30** დოკ. ფილმი **11.50, 21.00** სერ. **"იდუმალი სტუმარი"** **12.50** სერ. **"უკანასკნელი საჯარიმო"** **14.50** სცენა **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ.**"ეპოქის ვარსკვლავი"** **19.30** სერ. **"მაფია"** **00.00** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება**

**08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.35** გადაცემა "კარაბადინი" **11.00** სუფთა დაფა **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"თუში მეცხვარე"** 1-ლი ს. **13.10** კონცერტი – ანს. "მთიები" **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.30** მხ. ფილმი **"შეწყვეტილი სიმღერა"** **17.00** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.30** მოკლ. ფილმი **"წყარო გზის პირას"** **18.05** სალვთისმეტყველო საუბრები **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** ჯვარსახოვანი გზა, გად. მე-**2** **19.40** მხ. ფილმი **"თუში მეცხვარე"** მე-**2**ს. **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** მიწათმოქმედი **21.40** წარმატების ფორმულა **22.20** დოკ. ფილმი "სიმებიანი კვარტეტი "თბილისი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.30** დიდმარხვის მეორე კვირის საწინასწარმეტყველო საკითხავის განმარტება **00.35** სად უჩინარდებიან ჩემპიონები **01.00** პორტრეტი ერთსულოვნების გალერეიდან

## პარასკევი 18 მარტი

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00, 02.45** მოამბე **12.30** ავტოპილოტი **13.30** ვაშინგტონი დღეს **14.00** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **15.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **17.00** პლანეტა ბასტი-ბუბუ **18.00** მეხსიერება **19.05** დოკ. ფილმი "იმპერიის მშენებლობა" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **22.00** ქართული დოკუმენტალისტიკა **23.00** სერ. **"ფარი"** (**12**) **00.00** წითელი ზონა **01.00** მხ. ფილმი **"ძმები ვიტმანები"** (**12**) **03.05** მხ. ფ. **"რამდენიმე კარგი ბიჭი"** (ტ. კრუზი)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ. ფილმი "7 მომაკვდინებელი ცოდვა" **20.00** მხ. ფილმი **"ნაციონალური უსაფრთხოება"** **01.00** მხ. ფილმი **"სარკეს ორი მხარე აქვს"** (**12**)

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **10.00** სერ. **"მიმწყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30** კურიერი **12.30** სერ. **"შენ ჩემი სიცოცხლე ხარ"** **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** პროფილი **16.50** სერ. **"მორენას ვნება"** **18.30** სერ. **"გაორება"** **18.50** სერ. **"დანიელა"** **19.50** სერ. **"ელენას მოჩვენება"** **21.00** კურიერი **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ვანოს შოუ **23.00** კომედი შოუ (გან.) **00.00** მხ. ფ. **"დაუმარცხებელი"** (**18**) (უ. სნაიპსი) **02.00** პატრული

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "ბეტმენი" **09.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **12.00** სერ.**"ორნახევარი კაცი"** **12.30** გადაცემა "ტვ-ტესტი" **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.45** მხ. ფილმი **16.45** მხ. ფილმი **19.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **20.00** სერ.**"დაუნდობელი სამყარო"** **21.00** გადაცემა **"105** წუთი" (პირდ.) **22.50** მხ. ფილმი (სუბტ.) **01.00** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30 იმედის დილა 10.00 სერ. "სილამაზის მსხვერპლი" 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.30 სერ."სიყვარულის ზღვა" 12.25 ტვ-მარკეტი 12.35 სერ."ლოზას საიდუმლო" 14.40 დღის შოუ 16.00 სერ. "მონტეს ოჯახი" 17.40 სერ."სიყვარულის ზღვა" 18.45 სერ."ლოზას საიდუმლო" 21.00 სერ. "ქალბატონი" 22.00 სერ. "გოგონა გარეუბნიდან" 23.00 ღამის შოუ 00.00** მხ. **ფ."რა სურთ ქალებს"** (**მ. გიბსონი**) (**სუბტ.**) **02.15 "ფლეიბოი იმედზე" 03.00** მხ. **ფილმი "ილაის წიგნი"** (15) (**სუბტ.**) **05.15** მხ. **ფილმი "წერილები ჯულიეტასთვის"** (**სუბტ.**) **06.30 სერ. "ბოშები"**

**09.00, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.30, 23.00** სერ. **"ადვოკატი"** **10.30** დოკ. ფილმი **11.50, 21.00** სერ. **"იდუმალი სტუმარი"** **12.50, 19.30** სერ. **"მაფია"** **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ.**"ეპოქის ვარსკვლავი"** **19.00** მუსიკა **00.00** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება**

**08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.15** სიახლენი **10.35** დოკ. ფილმი "სიმებიანი კვარტეტი "თბილისი" **11.15** დიდმარხვის მეორე კვირის საწინასწარმეტყველო საკითხავის განმარტება **11.30** გზა, რომლითაც ვიარე **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"თუში მეცხვარე"** მე-2ს. **13.50** კონცერტი – ნიჟინარი და სახიობა **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.30** მხ. ფილმი **"მაია წყნეთელი"** **17.00** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.30** დოკ. ფილმი "დაგვიანებული ქორალი" **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.25** მხ. ფილმი **"თუში მეცხვარე"** მე-3ს. **21.10** პატრიარქის ქადაგება **21.30** მოგზაურობა სამშობლოში **22.25** ჩვენი ფონდი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დიდი მარხვა **00.35** კვირიაკე

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

## შაბათი 19 მარტი

**07.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **08.00** პლანეტა ბასტი-ბუბუ **10.00** მხ.ფ.**"პრინცესა გედი 3"** **11.30** "ბავშვობანა" **12.00, 16.00, 20.00, 03.30** მოამბე **12.15** მხ.ფ.**"მზრუნველი მამები"** **14.00 კალათბურთი**. საქ. ჩემპიონატი. არმია-სამედიცინო **16.15** ქართული დოკუმენტალისტიკა **17.00** ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი **17.30** დამზადებულია საქართველოში **18.00** ქართ. მხ. ფილმი **"ცხელი ზაფხულის სამი დღე"** **20.00** მოამბე **21.00** ვ. სანაიას რეპორტაჟი **22.00** დოკ.ფ."კაილი მინოუგი" **23.00** სერ. **"ფარი"** (**12**) **00.00** "სი ბემოლი" **01.00** მხ. ფ. **"გულშემატკივარი"** (**15**) (რ. დე ნირო) **03.20** წითელი ზონა **04.20** მხ. ფილმი **"ძმები ვიტმანები"**

**08.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00** ბრიფინგის დროით **10.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** ბრიფინგის დროით **17.00** ბრიფინგის დროით **17.30** ჩვენი სამართალი **18.00** დოკ. ფილმი "7 მომაკვდინებელი ცოდვა" **19.00** რეგიონის დროით **19.30** საუკუნის პორტრეტები **20.00** ბალეტი "ამაო სიფრთხილე" **21.40** ქართ. ფილმი **"ცხელი ზაფხულის სამი დღე"** **23.00** წითელი ზონა **00.00** მხ. ფილმი **"ძმები ვიტმანები"** (**12**)

**08.00** კურიერი **08.30** მულტსერ. "ნარუტო" **09.00** საბ. სერ. "სინდბადი" **10.00** ეთამაშე ვარსკვლავს (გან.) **11.00** ეკი-ვოკი (გან.) **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.30** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **13.00** მხ. ფილმი **"პარიზის საიდუმლოებები"** **15.30** ქართ. ფილმი **"გარიგება** **17.30** ავტომარიაჟი **18.30** სიცილის ზონა **18.50** ანა-ბანა **19.50** სერ. **"ელენას მოჩვენება"** **21.00** პ. ს. კურიერი **22.00** ქართ. სერ. **"მეზობლები"** **23.00** ქართ.სერ. **"დეტექტივები"** **00.00** მხ.ფ.**"გატაცებული მატარებელი"** (**18**) (ჯ. ვოიტი) **02.30** მხ. ფ. **"იაკობის კიბე"**

**08.00** მხ. ფილმი **10.00** ანიმაცია"ტომი და ჯერი" **11.00** საბ. სერ. **"ოდისეა"** **11.30** პულსი **12.00** სერ. **"ვერონიკა მარსი"** **13.00** "იმედის ფსონი" პირდაპირი **14.00** სერ. **"ელიზა დი რივომბროზა"** **15.00** მხ. ფილმი **17.00** მულტფილმი **18.00** მხ. ფილმი **20.00** სერ. **"ტაქსის მძღოლი"** **21.00** მხ. ფილმი **23.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე"** **00.00** მხ. ფილმი (სუბტ.)

**08.00, 09.00 ქრონიკა 08.15 ან. ფილმი "სპანჯბობი" 09.15** მხ. **ფილმი "სასაცილო ამბავი ფერმაში" 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.10 სერ. "მონსტრებთან მებრძოლები" 11.45 სერ. "შუა ქალაქში" 12.35 სერ."ლოზას საიდუმლო" 14.30 ბოიარის ციხესიმაგრე 15.00 თბილისი ლაივი 16.00 სერ. "მონტეს ოჯახი" 17.40 სერ."სიყვარულის ზღვა" 18.45 სერ."ლოზას საიდუმლო" 20.30 სპეც. რეპორტაჟი 21.00 სერ. "ქალბატონი" 22.00 სერ. "შუა ქალაქში" 23.00 სტუმრად იუმორინასთან 00.00 სერ. "მკვლელის პორტრეტი"** (15) **მე-7ს. 01.00 "ფლეიბოი იმედზე" 01.30** მხ. **ფ. "მაგნუმის ძალა"** (18) (**კ. ისტვუდი**) (**სუბტ.**) **03.55** მხ. **ფილმი "სიზმავე"** (18) (**ჯ. მური**) (**სუბტ.**) **04.50** მხ. **ფილმი "ვარსკვლავის დაბადება"** (**ჰ. დაფი**) (**სუბტ.**) **06.30 სერ. "ბოშები"**

**09.00, 17.30, 20.30, 22.30** "დრო" **09.30, 23.00** სერ. **"ადვოკატი"** **10.00** დილის ტალღა **12.00** ფერისცვალება **12.30, 21.00** სერ. **"იდუმალი სტუმარი"** **13.15, 19.30** სერ. **"მაფია"** **14.30** დროის ვექტორი **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. **"ეპოქის ვარსკვლავი"** **00.00** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება** 0820

სახარება **08.30** ჩვენი ფონდი **08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **09.05** განთიადი (კოლაჟი) **10.05, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.35** კვირიაკე **12.15** მხ. ფილმი **"თუში მეცხვარე"** მე-3ს. **13.30** წარმატების ფორმულა **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.30** ოპერა **17.30** დოკ. ფილმი "გარდაცვალება, ახალი სიცოცხლის დასაწყისი" **18.05** საქ. არქივიდან – "ალალე" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** ქართული ალბომი **19.35** მხ. ფილმი **"ვედრება"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** საქართველოს ეკლესიის წმინდა მღვდელმთავარნი **21.30** სამედიცინო გადაცემა "კარაბადინი" **22.20** ტაძრები **22.35** ჩემი ქალაქი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** პორტრეტი "ერთსულოვნების" გალერეიდან **00.25** მხ. ფილმი **"ვალსი პეჩორაზე"**

## კვირა 20 მარტი

**07.30** დოკ. ფილმი "მსოფლიო ოდისეები" **08.00** პლანეტა ბასტი-ბუბუ **10.00** მხ. ფ. **"პიტერ პენი"** **12.00, 16.00, 20.00, 03.10** მოამბე **12.15** მხ.ფ.**"მამაკაცები შავებში"** **14.00** ჩვენი ფერმა **14.30** სი ბემოლი **15.30** ჩვენი სამართალი **16.15** ჩვენი ეზო **17.00** დოკ. ფილმი "მსოფლიოს ოდისეები" **17.30** ვაშინგტონი დღეს **18.00** კონცერტი: მ. სეფაშვილი **20.00** აქცენტები **21.00** ცხოვრება მშვენიერია **22.00** სერ. **"კ-17"** **23.00** სერ. **"ფარი"** (**12**) **00.30** ღამის საუბრები **01.30** მხ. ფილმი **"სილრმე"** (**15**) (ჟ. ბისე) **04.05** აქცენტები

**08.00** დოკ. ფილმი **09.00** ბრიფინგის დროით **10.00** თავისუფალი ტრიბუნა **15.00** სპექტაკლი "რიჩარდ მესამე" **17.00** ისტორია **18.00** დოკ. ფილმი "7 მომაკვდინებელი ცოდვა" **19.00** საუკუნის პორტრეტები **20.00** ვ. სანაიას რეპორტაჟი **21.00** პროცესი **21.30** ქართული დოკუმენტალისტიკა **22.00** მხ. ფილმი **"რამდენიმე კარგი ბიჭი"** **00.05** მხ. ფილმი **"გულშემატკივარი"** (**15**)

**08.00** "კურიერი პ.ს." დაიჯესტი **08.30** მულტსერ. "ნარუტო" **09.00** საბ. სერ. "სინდბადი" **10.00** ანა-ბანა (გან.) **11.00** საბავშვო ამბები **11.30** მულტფილმი "მხიარული ფერმა" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.30** ვაკანსია **13.00** მხ. ფილმი **"მეტი აღარ შეიძლება"** **15.20** სერ. **"სიამაყე"** **17.25** ავტომარიაჟი **18.30** სიცილის ზონა **19.00** ეკი-ვოკი **20.00** ეთამაშე ვარსკვლავს **21.00** კომედი შოუ **22.00** ქართ. სერ. **"მეზობლები"** **23.00** ქართ. სერ. **"დეტექტივები"** **00.00** მხ. ფილმი **"კონტროლის ზღვარი"** (**18**) (ბ. მიური) **02.20** მხ. ფ.**"ანჯელის გული"**

**08.00** მხ. ფილმი **10.00** ანიმაცია "ტომი და ჯერი" **11.00** გადაცემა "ტვ-ტესტი" **11.30** პულსი **12.00** სერ. **"ვერონიკა მარსი"** **13.00** "იმედის ფსონი" პირდაპირი **14.00** სერ. **"ელიზა დი რივომბროზა"** **15.00** მხ. ფილმი **17.00** მულტფილმი **18.00** მხ. ფილმი **20.00** გადაცემა "მზის კინოკლუბი" **00.00** მხ. ფილმი (სუბტ.)

**08.00, 09.00 ქრონიკა 08.15 ან. ფილმი "სპანჯბობი" 09.15 ან. ფილმი "ჯადოსნური მოგზაურობა" 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.15 თამაზ კვაჭანტირაძის სასიტყვეთი 12.00 სერ. "შუა ქალაქში" 12.35 სერ. "იასონი და არგონავტები" 14.30 სპეცრეპორტაჟი 15.00 ქართ.** მხ. **ფილმი "ცისფერი მთები" 17.30 ბოიარის ციხესიმაგრე 17.45 ეტალონი 19.05 სერ. "გოგონა გარეუბნიდან" 20.15 იმედის გმირები 20.30 მუს. გადაცემა 22.00 სერ. "შუა ქალაქში" 23.00 თბილისი ლაივი 00.00 სერ. "მკვლელის პორტრეტი" მე-8ს. 01.00** მხ. **ფ. "ადრენალინი"** (**15**) (ჯ. **სტეტჰემი**) (**სუბტ.**) **02.55** მხ. **ფილმი "პირდაპირი მოქმედება"** (**12**) **04.30** მხ. **ფილმი "ოთხი ოთახი"** (**15**) (**სუბტ.**) **06.30 სერ. "ბოშები"**

**09.00, 14.30, 17.30, 20.30, 22.30** "დრო" **09.30, 23.00** სერ. **"ადვოკატი"** **10.00** დილის ტალღა **12.00, 21.00** სერ. **"იდუმალი სტუმარი"** **13.00** დოკ. ფილმი "ფეხბურთის ისტორია" **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. **"ეპოქის ვარსკვლავი"** **19.30** სერ. **"მაფია"** **00.00** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება**

**08.30** მულტფილმი **08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** საეკლესიო კალენდარი **09.05** განთიადი (კოლაჟი) **10.05, 19.00, 22.00** სიახლენი **10.35** ჩემი ქალაქი **11.00** ქართული ალბომი **11.30** პორტრეტი "ერთსულოვნების" გალერეიდან **12.15** მხ. ფილმი **"ვედრება"** **13.50** დიდი მარხვა **14.30** გადაცემა "კარაბადინი" **15.05** პატრიარქის ქადაგება **15.35** მგზავრები წუთისოფლისა **16.00** სუფთა დაფა **17.15** სალვთისმეტყველო საუბრები **18.00** პატრიარქის ქადაგება **18.25** დროის ჩანაწერები **19.00** გზა, რომლითაც ვიარე **19.30** მხ. ფილმი **"ფიროსმანი"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** კვირიაკე **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** გაცოცხლებული წარსული **00.05** პატრიარქის ქადაგება **00.40** ოპერა

# მაზლის ცოლმა სიცოცხლე გამიმწარა



ლალიმ 20 წელი გულით ატარა საიდუმლო, მაგრამ მისი ბოლომდე დამალვა მაინც ვერ შეძლო. მას არ უნდოდა ერთადერთი შვილისთვის გაემხილა, რომ ის მისი ღვიძლი პირმშო არ არის და აყვანილია. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ნათესავს და ახლობელს სთხოვა ამ თემაზე მის ერთადერთ შვილთან არაფერი წამოსცდენოდათ, გაბოროტებულმა მაზლის ცოლმა მის შვილს ეს ყველაფერი შეგნებულად მოუყვა და თანაც ისე, რომ ერთადერთი ქალიშვილი დედას სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდა.

**ლალი გ:**

— ჩემზე უბედური ამქვეყნად არავინ არის. ისეთი გამწარებული ვარ, ლამის თავი მოვიკლა. ამის გაკეთების არ მეშინია, უბრალოდ ვიცი, რომ თვითმკვლელობა მიუტევებელი ცოდვაა და ღმერთის მეშინია.

ერთადერთი ქალიშვილი მყავს. ჩემი ქეთი ახლა 20 წლისაა. ამ საიდუმლოს გულით ვატარებდი და დიდხანს ვინახავდი, მაგრამ ვისაც ვუმალავდი, მან უკვე ყველაფერი იცის, ამიტომ ჩემთვის ახლა ყველაფერი სულ ერთია. ვისაც როგორ უნდა, ისე გამიგოს, ვისაც უნდა, გამამტყუნოს, ვისაც უნდა — გამამართლოს.

მართალია ქეთი მე არ გამიჩენია, მაგრამ მისთვის არც არაფერი დამიკლია. ღმერთმა იცის, რომ შვილზე მთელი ცხოვრება ვოცნებობდი, სანამ ბავშვის აყვანას გადავწყვეტდით, მე და ჩემი ქმარი ყველა ექიმთან თუ ექიმბაშთან დავრბოდით, დაუსრულებლად ვმკურნალობდით, თუკი სადმე იტყოდნენ, რომ ესა თუ ის ეკლესია უშვილოებს შეეწევაო, ყველგან ფეხშიშველები მივდიოდით და ღმერთს ჩვენთვის შვილის ჩუქებას ვთხოვდით. ყველა ჩვენმა მცდელობამ უშედეგოდ ჩაიარა. 7 წელი ისე გავიდა, არც კი დავორსულებულვარ.

***— ბავშვის აყვანა ამის შემდეგ გადაწყვიტეთ?***

— ჩემთვის ეს ძალიან დიდი ტკივილი იყო. ის უძილო ღამეები და ტირილში გატარებული დღეები არასოდეს დამავიწყდება. შვიდი წელი ცოტა არ არის, ამიტომ ჩავთვალეთ, რომ უშვილო წყვილი ვიყავით და სულ ისე რომ არ წავსულიყავით ამქვეყნიდან, სხვისი ბავშვი მაინც გვეშვილებინა.

***— გოგონა რატომ იშვილეთ?***

— როცა საბოლოოდ გადავწყვიტეთ, რომ ბავშვი უნდა აგვეყვანა, იმ ღამეს სიზმარი ვნახე — თეთრებში ჩაცმული ქალი გამომეცხადა და მითხრა, არ გაბედო და ბავშვი არ აიყვანო, ძალიან მალე დაორსულდები და ბევრი შვილი გეყოლებაო.

***— სიზმარს დაუჯერეთ?***

— საერთოდ სიზმრების არ მჯერა, მაგრამ ამ სიზმარმა ძალიან შემაშინა. ეს ჩემთვის გამოცხადებასავით იყო. დილით სულ ოფლში გაწურულმა გავიღვიძე და ყველაფერი ჩემს ქმარს მოვუყევი. მან არ დამიჯერა და მითხრა, ალბათ ბავშვის აყვანა არ გინდა და ესღა მოიმიზეზეო. ვერაფრით დავარწმუნე, რომ არაფერი მომიგონია და ყველაფერი სიმართლე იყო.

***— მართლა დაორსულდით?***

— ბავშვის აყვანა გადავიფიქრეთ. ჩემს ქმარს შევეხვეწე, ორი-სამი თვე დავიცადოთ, თუ ეს მართლა გაფრთხილება იყო, აუცილებლად რაღაც მოხდება-მეთქი. გაუჭირდა მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა, მაგრამ საბოლოოდ მაინც დამეთანხმა. მესამე თვეში დავორსულდი. სიხარულისგან კინაღამ ჭკუიდან შევიშალე. ისეთი ვიყავი, განძრევისაც კი მეშინოდა. არც საქმეს ვაკეთებდი, არც ბევრს ვმოძრაობდი, არც სამსახურში დავდიოდი. ჩემი ქმარი ამ ამბავმა სიხარულისგან კინაღამ გადარია. ძალიან ბედნიერი იყო, ჩემი ბიჭი იბადებაო, ამბობდა. მაგრამ ჩვენი ბედნიერება ხანმოკლე აღმოჩნდა. ხუთი თვის ორსულს მითხრეს, რომ ბავშვი განუვითარებელი იყო და სასწრაფოდ უნდა მომეშორებინა.

***— მართლა ბიჭს ელოდებოდით?***

— არა, გოგოზე ვიყავი ორსულად. ამ ამბის გაგება ჩვენთვის ძალიან დიდი ტკივილი იყო. სამგან გადავამოწმეთ, მაგრამ ყველგან ერთი და იგივე გვითხრეს — ნაყოფი არ იყო განვითარებული და როგორც კი ჰაერზე გამოვიდოდა, მაშინვე დაიღუპებოდა. გათენდა ის საშინელი დღეც, როცა ხელოვნურად უნდა მემშობიარა. რა გადავიტანე, ამის აღწერას არ დავიწყებ, მაგრამ განუზომელი ტკივილი ახლაც თან მდევს. მუცელი ხელოვნურად ამატკიეს, დამეწყო სამშობიარო ტკივილები და გოგონა გავაჩინე, მაგრამ ცოცხალი არ იყო. ექიმმა ამიხსნა, როგორც კი ჰაერზე გამოვიდა, მაშინვე გარდაიცვალაო. ჩემს დას არ სჯეროდა, რომ ბავშვი განუვითარებელი იყო, ამიტომ გავაჩინე თუ არა, მისი ნახვა მოისურვა, ხელიც კი დაადო, თბილი იყო თუ არა, რომ ბავშვი არავის შეეცვალა. ისეთი გამწარებულები ვიყავით, იმ წუთას ყველაფერზე ვფიქრობდით. როგორც ჩემმა დამ მითხრა, გოგონას ყველაფერი განვითარებული ჰქონდა, მხოლოდ თავი ჰქონდა ბაყაყის. ამის გაგონებამ კიდევ უფრო დამამწუხრა. დეპრესია დამეწყო, სულ ვტიროდი, აღარც ვჭამდი, ჩემი ქმარი მეზიზღებოდა, მისი ხმის გაგონებაზეც ცუდად ვხდებოდი და სულ იმას გავიძახოდი, ვერ ვიტან და უნდა გავეყარო-მეთქი.

როცა ამ პერიოდმა გადამიარა, ისევ დავფიქრდი ბავშვის აყვანაზე. ჩემი ქმარი ჩემს თვალში ნამდვილი გმირია, რასაც მან გაუძლო, ბარემ ბევრი მამაკაცი ვერ გაუძლებდა. ის მოთმინებით იტანდა ჩემს გამოხტომებს და ერთხელაც არ უსაყვედურია.

***— ქეთი რამხელა იყო, რომ აიყვანეთ?***

— ქეთი ერთი კვირის იყო. მისი დედა არასრულწლოვანი იყო და მშობლებმა მოსთხოვეს, თუ გინდა ოჯახში დაბრუნდე, ბავშვზე უარი უნდა თქვაო. გოგონა დათანხმდა. ალბათ ბავშვის მამაც არ იყო მზად ამ საპასუხისმგებლო მომენტისთვის და პატარა ქეთი სამშობიაროში დატოვეს.

გოგონას აყვანა იმიტომ გადავწყვიტეთ, რომ სულ ის ჩემი გარდაცვლილი შვილი მახსოვდა, მინდოდა მის მაგივრად ოჯახში სხვა, ჯანმრთელი და უვნებელი გოგონა შემოგვეყვანა, ამიტომ არჩევანი ქეთიზე შევაჩერეთ. მისი ჩვენს ოჯახში შემოსვლა ნამდვილი ზეიმი იყო. ყველანი განსაკუთრებულად ვემზადებოდით. ჩემი ქმარი უზომოდ ბედნიერი იყო.

***— ქეთიმ სიმართლე როდის შეიტყო?***

— ქეთის არასოდეს გასჩენია ეჭვი, რომ აყვანილი იყო. გარშემო ყველანი ხელის გულზე ვატარებდით. ორი კვირის წინ ჩემმა მაზლის ცოლმა ჩემზე შური იძია — ის ყველაზე საშინლად მოიქცა და ჩემს შვილს სიმართლე უთხრა.

***— ასე რატომ მოიქცა?***

— ჩემს ქმარს მათი ვალი აქვს, დროზე რომ ვერ გადავუხადეთ, ჩემი მაზლის ცოლი დაგვემუქრა, თუ ფულს არ მოიტანთ, ქეთის სიმართლეს ვეტყვითო. არ დავიჯერე, მეგონა ხუმრობდა, მაგრამ თურმე მართლა შეძლებია ამხელა ბოროტების გაკეთება. მან ქეთის ყველაფერი უთხრა და ბავშვი სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაგვკიდა. ჩვენ მას მშობლებად არ მივაჩნივართ და დაგვცინის კიდეც.

***— გოგონამ ვერ გაგიგოთ?***

— ვერა. ქეთის ამის გაგება ძალიან გაუჭირდა. მას არაფრის მოსმენა არ სურს და ყველაფერში ჩვენ გვადანაშაულებს. როცა ეს ამბავი გაიგო, სახლიდან წავიდა. ბევრი ვეძებეთ და მის ერთ-ერთ მეგობართან მივაგენით. არც კი დაგველაპარაკებია, შემოგვითვალა, თქვენი შვილი მაინც არ ვარ და ტყუილად ნუღარ მეძებთო. ამ სიტყვებმა ჩემი ქმარი საბოლოოდ გაანადგურა. სმა დაიწყო და სიმთვრალეში სულ ქეთის მისტირის.

***— ქეთი თქვენთან აღარ ცხოვრობს?***

— არა. ქეთი ჩვენგან წავიდა. თავის მეგობართან გადავიდა საცხოვრებლად და აღარც კი გვნახულობს. მხოლოდ იშვიათად თავისი ნივთების წასაღებად თუ შემოივლის და მაშინაც თუ რამე ვუთხარით, ეგრევე ჩხუბს იწყებს. ძალიან მინდა დავუჯდე და ყველაფერი ავუხსნა, მაგრამ არაფრის გაგონება არ უნდა. სულ მამტყუნებს, როგორი მწარეც არ უნდა ყოფილიყო, სიმართლე შენგან უნდა გამეგო, გაპატიებდი თუ არა, ეს უკვე ჩემი საქმეაო.

***— რატომ არ უთხარით ქეთის სიმართლე?***

— არ ვიცი, ვერ გავბედე. შემეშინდა ჩვენგან არ წასულიყო. ადრე თუ გვიან, სიმართლე მაინც გაირკვა და ახლა ქეთის ჩვენ აღარ ვუყვარვართ. ხშირად ვფიქრობ, იქნებ ჯობდა სიმართლე მართლაც ჩემგან გაეგო და იქნებ ახლა ასეთი გაბოროტებული არ ყოფილიყო?

***— მისი დედა არ გინახავთ?***

— მის დედას არასოდეს შევხვედრივარ. როგორც გავიგე, გათხოვდა და ახლა ბედნიერი ოჯახი აქვს. იმისიც მეშინია, დედამისის კვალს არ მიაგნოს და მასთან არ წავიდეს საცხოვრებლად. ახლა ჩემს სიცოცხლეს აზრი აღარ აქვს. ქეთის მეტი არავინ გამაჩნია. ასე თუ გამიმწარდებოდა ცხოვრება, ნამდვილად არ მეგონა. ჩემი უბედურებით ჩემი მაზლისცოლი ძალიან ბედნიერია, ის გამარჯვებული სახით დადის და ამაყობს, რომ ცხოვრება გამიმწარა.

**თიკო ნინიაშვილი**

## სასარგებლო რჩევები

## cfvrehyfkj,eyt,f

### fyokb

ანწლი მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. მისი შეგროვება ძირითადად ზაფხულში ხდება. სამკურნალოდ გამოიყენება ანწლის ყველა ნაწილი. ხალხურ მედიცინაში იგი აქტიურად გამოიყენება მალარიის, კანის სხვადასხვა დაავადებების, რევმატიზმის სამკურნალოდ. ანწლის ნაყენი სასარგებლოა ყელის ტკივილის დროს. გამხმარი ნაყოფი კი მალარიის დაავადებას კურნავს.

ანწლის ნაყოფისგან მზადდება როგორც მურაბა, ასევე კომპოტი, ხილფაფა. გამხმარი ნაყოფი განსაკუთრებით სასარგებლოა მარილებით დაავადებული ავადმყოფებისთვის. მის ნაყენს სვამენ სამჯერ დღეში კვების წინ 15 წუთით ადრე. ანწლი დიეტური საშუალებაა კუჭისა და ნაწლავების დაავადების მკურნალობის დროს.

თუ ანწლს რძეში მოხარშავთ, ეს ნაყენი შეუცვლელია თავის ტკივილისა და ხველების დროს. თავის ტკივილისას მის წვენში დასველებული დოლბანდი თავზე 10-15 წუთით უნდა დაიფინოთ.

### fcrbkb

მედიცინაში ასკილის ნაყოფს გამოიყენებენ. ის ვიტამინების მეფეა. შეიცავს კაროტინს, ცხიმებს, ე ვიტამინს, კა ვიტამინს, პე ვიტამინს, ასკორბინის მჟავას, იგივე ცე ვიტამინს.

ასკილის გამოყენება შესაძლებელია აბების, ფხვნილის, ექსტრაქტების, წვენების სახით. მისგან ხდიან ზეთსაც, რომელიც სისხლნაკლებობის დროს შეუცვლელია. ასკილს მედიცინაში აქტიურად იყენებენ საშვილოსნოს სხვადასხვა დაავადებების, თირკმლების, ფილტვების დაავადებების დროს.



## smdtysdbc lbfcf[ kbct,j



თუ არ გაქვთ მაცივარი, რძე, არაჟანი და ნაღები მინის ან მომინანქრებულ ჭურჭელში უნდა შეინახოთ. ჭურჭელი, რომელშიც რძის ნაწარმი გექნებათ, უნდა ჩადგათ მეორე ჭურჭელში, რომელშიც წყალია და სველი ტილო გადააფაროთ. ტილოს ბოლოები კი წყალში უნდა ჩაუშვათ.

თუ ზამთრისთვის კარტოფილი მოიმარაგეთ, ის ხის პატარა ყუთებში უნდა მოათავსოთ. კარტოფილი შეინახეთ მშრალ, გრილ და ნახევრად ბნელ ადგილას. იმისათვის, რომ ღიბრები არ გაიკეთოს, დროდადრო უნდა გადაარჩიოთ.

თუ კატლეტის მომზადება გადაწყვიტეთ და გინდათ რბილი და ფაფუკი გამოგივიდეთ, ფარშს დაუმატეთ ცოტაოდენი წვრილად დაჭრილი ღორის ქონი ან კარაქი. კატლეტი ჰაეროვანი გამოვა მაშინაც, თუ მას ბევრ ცხიმში შეწვავთ.

ბრინჯი უფრო თეთრი იქნება, თუ ხარშვისას ცოტა ლიმონის წვენს ჩაუმატებთ.

ფლავისთვის გარჩეული ბრინჯი მხოლოდ ცხელ წყალში უნდა გარეცხოთ. მოხარშვის შემდეგ ბრინჯი კვლავ ცხელ წყალში გაავლეთ.

თუ გინდათ კვერცხის ცილა ქაფივით გაითქვიფოს, ჩაუმატეთ მასში ცოტაოდენი ლიმონის წვენი ან მისი მჟავა.

მცენარეული ზეთი რომ არ დამჟავდეს, მასში ცოტაოდენი მარილი ჩაყარეთ და ოდნავ თავდახრილი შეინახეთ.

თუ სახლში თევზი შეწვით და მისი სუნია, შეწვის პროცესში ტაფაზე მოათავსეთ რამდენიმე ნაჭერი კარტოფილი.

თუ ხელზე ნივრის ან ხახვის სუნი გაქვთ, გაიწმინდეთ ხელები ცოტაოდენი ყავით და სუნიც უკვალოდ გაქრება.

თუ გსურთ ჭარხალი მალე მოიხარშოს, ერთსაათიანი ხარშვის შემდეგ ამოიღეთ ქვაბიდან და მოათავსეთ ცივი წყლის ქვეშ.

ხარშვისას კარტოფილს წყალი ისე დაასხით, რომ ზედა კარტოფილები წყლით დაფარული არ იყოს.

## ubylfs b.js kfvfpb0



ამერიკელმა მეცნიერებმა ხანგრძლივი კვლევის შემდეგ შეიმუშავეს 10 ძირითადი პუნქტი, რომლის დაცვის შემთხვევაშიც, ქალბატონები 20-30 წლის შემდეგაც ისეთივე მომხიბვლელები იქნებიან, როგორც ახლა.

გთავაზობთ 10 ოქროს წესს, რომელიც ყველა ქალბატონმა უნდა დაიცვას:

1. ეს სიყვარულია — თუ არავინ გიყვართ, თქვენ უკვე დაბერდით! გაიხარეთ ცხოვრებით და არ დაგავიწყდეთ, რომ „უსიყვარულოდ არ არსებობს არც სილამაზე, არც უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ“.

2. ძილი — თუ საკმარისად არ გძინავთ, ჩათვალეთ, რომ მალე დაბერდებით. უძილობა ორგანიზმს სერიოზულ სტრესს აყენებს, ამიტომ სილამაზის შესანარჩუნებლად, ეცადეთ მაქსიმალურად კარგად გამოიძინოთ.

3. კვება — არასოდეს იშიმშილოთ. შიმშილი ორგანიზმისთვის დიდი დარტყმაა. არ გააკეთოთ ეკონომია საკვების ხარისხზე. რაც მთავარია, იკვებეთ თქვენი ასაკის მოთხოვნილებების მიხედვით.

4. ნაწლავების მუშაობა — თუკი თქვენი ნაწლავები აწყობილი საათივით მუშაობენ, მაშინ უბედნიერესი ადამიანი ხართ. თქვენ არასდროს დაბერდებით!

5. ექიმთან ვიზიტები — მართალია არავის უყვარს თეთრხალათიანები, მაგრამ მათთან კონსულტაციის მიზნით სიარული გარდაუვალია. ქალბატონებისთვის ოქროს წესად არის დადგენილი — წელიწადში ორჯერ გინეკოლოგსა და მამოლოგს უნდა ესტუმროთ!

6. ვარჯიში — ფიზიკური დატვირთვა ნებისმიერი ადამიანისთვის აუცილებელია. თუკი ძალიან დაკავებული ხართ და ვერ ვარჯიშობთ, როგორც კი დროს გამონახავთ, მაშინვე გააკეთეთ მსუბუქი მოძრაობები.

7. იარეთ სწორად — თუკი წელში მოხრილი და მხრებჩამოყრილი დადიხართ, თქვენ უკვე ბებერი ხართ! ამიტომ ყოველთვის ეცადეთ მხრებში გაშლილმა იაროთ და თავს ახალგაზრდად იგრძნობთ!

8. ნიკაპი და სახის ოვალი — ნიკაპი ქალბატონების ასაკის ყველაზე რეალური გამყიდველია, ამიტომ ებრძოლეთ ღაბაბს! იმისათვის, რომ ნიკაპიც ისეთივე დაკიდებული არ გახდეს, როგორც მუცელი, საჭიროა ვარჯიშები არა მარტო ნიკაპისთვის, არამედ მთლიანად სახის კუნთებისთვის.

9. მიმიკა — სახის მიმიკა ადამიანისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. კინოს ლეგენდა სოფი ლორენი არასდროს მალავდა, რომ საათობით იჯდა სარკის წინ და თითოეულ მიმიკაზე თავდაუზოგავად მუშაობდა. ნურასოდეს დაიმანჭებით ზომაზე მეტად.

10. დაბოლოს: გიყვარდეთ სიცოცხლე — ნუ იწუწუნებთ ყოველდღიურად და გარშემო არსებული პრობლემების მიუხედავად, საკუთარი თავი დაარწმუნეთ, რომ ცხოვრება მშვენიერია! ასე ნამდვილად არასოდეს დაბერდებით!

**თიკო ნინიაშვილი**

# კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ხილის წვენებისგან მომზადებული გამაგრილებელი სასმელი; 2. ნისლი, ბურუსი; 3. ბედიღბლიანობის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 5. ბალნეოლოგიური კურორტი ვანის რაიონში; 6. ქალაქ ლვოვის ძველი სახელწოდება; 9. მწერების შემსწავლელი მეცნიერი; 10. ვარდების ბაღი; 11. ფრანგი ბარონი, ოლიმპიური თამაშების დამფუძნებელი; 14. აღმოსავლური ხელჩართული ორთაბრძოლების ერთ-ერთი სახეობა; 16. ბოძების მიწაში ჩასარჭობი მექანიკური მოწყობილობა; 18. იტალიის საინფორმაციო სააგენტო.

**თარაზულად:** 1. შტატი აშშ-ში; 4. ფრანგული ვერტმფრენმზიდი სამხედრო გემების სერია; 7. კარის ან ფანჯრის საკიდი; 8. წრის ნაწილი, რომელიც შემოსაზღვრულია რკალითა და ორი რადიუსით; 12. უილიამ შექსპირის ტრაგედია; 13. ტბა აშშ-კანადის საზღვარზე; 15. ფრანგული საიუველირო ფირმა; 17. ნიკო ლომოურის მოთხრობა; 19. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური ეგვიპტეში; 20. ბრიტანული არაყი; 21. ზღვის წვრილი თევზი, ფართო რეწვის ობიექტი.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*



# იაპონიის მიწისძვრას ინდონეზიაში ვულკანის ამოფრქვევა მოჰყვა, ცუნამის ტალღამ ჰავაიმდე მიაღწია

იაპონიაში პარასკევს მომხდარ მძლავრ მიწისძვრას ცუნამი მოჰყვა, რამაც მნიშვნელოვანი ნგრევა და ზარალი გამოიწვია.

უკანასკნელი მონაცემების თანახმად, სანაპიროზე, ქალაქ სენდაის მახლობლად 300-მდე დაღუპულის გვამი იპოვეს.

მიწისძვრის ეპიცენტრი ტოკიოდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 373 კმ-ის მოშორებით მდებარეობდა. მისი კერა 24 კმ-ის სიღრმეზე იმყოფებოდა. მოგვიანებით, პირველ ბიძგს რამდენიმე მძლავრი მომყოლი ბიძგი მოჰყვა.

მთავარი ბიძგის სიძლიერე 8.9 ბალს შეადგენდა. მომყოლი ბიძგები 6.0 ბალს აღემატებოდა, მათგან ყველაზე მძლავრი 7.1 ბალიანი იყო.

მიწისძვრამ ძლიერი ნგრევა გამოიწვია. ცუნამის ტალღებმა სახლები წალეკა, ავტომობილები გზებიდან გადარეცხა, მთელი რაიონები მოიცვა. გარდა ამისა, გავრცელდა ინფორმაცია ფუკუსიმას ატომური ელექტროსადგურის დახურვის შესახებ, რაც რადიაციის გაჟონვის შესაძლებლობასთან იყო დაკავშირებული.

ატომურ ელექტროსადგურში მწყობრიდან გამოვიდა რეაქტორის ენერგომომარაგების სისტემა. სადგურში რეაქტორის გასაცივებელი მოწყობილობების მომარაგების პრობლემა წარმოიქმნა და საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. კომპანია „ტოკიო დენრეკუს“ წარმომადგენლების თქმით, გარემოს რადიოაქტიური დაბინძურება არ მომხდარა.

სპეციალისტებმა მოახერხეს რეაქტორის გაცივების სისტემის ამოქმედება, რამაც შესაძლო ავარიის თავიდან აცილება გახადა შესაძლებელი.

მიაგის პრეფექტურაში მდებარე სხვა ატომურ ელექტროსადგურში ცეცხლი გაუჩნდა ერთ-ერთ ტურბინას. ხანძრის ჩაქრობაში იაპონიის თავდაცვის ძალების სამხედრო მოსამსახურეები ჩაერთვნენ.

წინასწარი მონაცემებით, ინციდენტს რადიოაქტიურობის გაჟონვა არ მოჰყოლია. ინტერნეტში ვრცელდება ცუნამის ამსახველი ვიდეოკადრები.

მიაგის პრეფექტურის პოლიციამ ცუნამის შემდეგ მომხდარი ორი საგანგებო ვითარების შესახებ განაცხადა. სტიქიის შედეგად დაიკარგა სამგზავრო მატარებელი, რომელიც იაპონიის აღმოსავლეთით, სენდაი-ისინომაკის მარშრუტზე მოძრაობდა. მატარებელი სადგურ ნობირუს მახლობლად დაიკარგა.



გარდა ამისა, ჩაიძირა გემი, რომელსაც 100-მდე ადამიანი გადაჰყავდა. ინტერნეტში გამოჩნდა გიგანტური მორევის სურათი, რომელიც ითრევდა ყველაფერს, მათ შორის ხომალდებსაც. ამასთან, დანამდვილებით ცნობილი არ არის, რომ ვიდეოზე სწორედ დაკარგული სამგზავრო გემია აღბეჭდილი.




იმავე მიაგის პრეფექტურაში მთლიანად დაიტბორა სამხედრო საჰაერო ძალების ბაზა მაცუსიმა.

იაპონიის ქალაქ სენდაიში ნავთობქიმიური ქარხნის ტერმინალში მიწისძვრის შემდეგ ძლიერი აფეთქება მოხდა. ეს ინფორმაცია პოლიციამ გაავრცელა.

ეს ქალაქი სტიქიის შედეგად ყველაზე მეტად დაზარალდა. აქ ცუნამიმ მთელი საცხოვრებელი რაიონი წალეკა და საერთაშორისო აეროპორტი დატბორა. აეროპორტის სახურავზე ათასამდე ადამიანი აღმოჩნდა მომწყვდეული.

ტოკიოში 333 მ სიმაღლის სატელევიზიო ანძის შპილი დაემხო. ამჟამად მის ფუნქციებს ახალი ანძა „სქაი თრი“ ასრულებს, რომლის სიმაღლე მშენებლობის დასრულების შემდეგ 600 მ იქნება. ეს ნაგებობა მიწისძვრის შედეგად არ დაზარალებულა.

მიწისძვრის შედეგად დაინგრა ტოკიოს ცენტრში მდებარე კუდან კაიკანის საზოგადოებრივი თავყრილობების დარბაზი, სადაც ნანგრევებში ადამიანები მოყვნენ.

ტიბას პრეფექტურაში ცეცხლი გაუჩნდა მეტალურგიულ კომბინატს. ტოკიოში მიწისძვრის შემდეგ ხანძრის 14 კერა დაფიქსირდა. საერთო ჯამში, მიწისძვრამ იაპონიაში 80-მდე ხანძარი გამოიწვია.

სტიქიამ ქვეყნის აღმოსავლეთით ტრანსპორტის მოძრაობა მთლიანად შეაფერხა. ნარიტას საერთაშორისო აეროპორტში გადაიდო ყველა რეისი. აეროვაგზლის შენობაში 10 ათასამდე მგზავრი რჩება. ლიანდაგებზე დგას 14-მდე ჩქაროსნული მატარებელი „სინკანსენი“.

მიწისძვრის რაიონში შეწყდა მობილური კავშირგაბმულობა.

აღსანიშნავია, რომ იაპონიის მიწისძვრამ ინდონეზიაში ვულკან კარანგეტანგის გააქტიურება გამოიწვია. იაპონიის მიწისძვრიდან რამდენიმე საათის შემდეგ დაიწყო მისი ამოფრქვევა.

ადგილობრივი ხელისუფლების ინფორმაციით, დაიწყო მოსახლეობის ევაკუაცია. ეს ვულკანი კუნძულ სიაუზე, ჩრდილოეთ სულავესის პროვინციაში მდებარეობს.

ვულკანის ამოფრქვევის შედეგად მსხვერპლის და ნგრევის ინფორმაცია არ გავრცელებულა.

ინდონეზიის სანაპიროზე იაპონიის მიწისძვრის შემდეგ ცუნამისათვის მზადება დაიწყეს.

ცუნამის პირველი ნიშნები გამოჩნდა ჰავაის კუნძულების სანაპიროზეც. დაიწყო მოსახლეობის ევაკუაცია.

**გ.თ.**

# ჯულია რობერტსის თაყვანისმცემელმა მისი 82 პორტრეტი ამოისვირინგა



ჰოლივუდის ვარსკვლავის, ჯულია რობერსტის თაყვანისმცემელმა სხეულზე მსახიობის 82 გამოსახულება ამოისვირინგა.

მექსიკის დედაქალაქ მეხიკოში გაზეთების გამყიდველმა მილენკო პარსერიასის ბუკოვიჩმა განაცხადა, რომ ჯულია რობერტსმა მასზე დიდი შტაბეჭდილება ფილმში „ერინ ბროკოვიჩი“ შესრულებული როლით მოახდინა.

მას შემდეგ რობერტსის შემოქმედების 56 წლის თაყვანისმცემელმა ამ ფილმიდან მსახიობის სურათების ამოსვირინგებისათვის ასობით დოლარი დახარჯა.

ბრიტანული გაზეთის „სანის“ მიერ გამოქვეყნებულ ფოტოზე ჩანს, რომ ბუკოვიჩს ტორსი და ხელები მსახიობის პორტრეტებით აქვს დაფარული. ზოგიერთი სვირინგი ფერადია.

ბუკოვიჩის თქმით, იგი სვირინგებით კმაყოფილია და მომავალში მკერდზე, ზურგზე და ხელებზე ჯულია რობერტსის სხვა პორტრეტების ამოსვირინგებას აპირებს, რა თქმა უნდა, ფულის შოვნის შემდეგ.

ჯულია რობერტსმა 2000 წელს ეკრანებზე გამოსული ფილმში „ერინ ბროკოვიჩი“ შესრულებული როლისათვის საუკეთესო მსახიობი ქალის „ოსკარი“ მოიპოვა. ჯულია რობერტსი მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მაღალანაზღაურებად მსახიობად ითვლება. მისი მონაწილეობით გადაღებული ფილმების მოგებამ ორ მილიარდ დოლარს გადააჭარბა.

**გ.თ.**

# საქართველოს მშრომელთა უფლებების დაცვის პარტიის

*განცხადება*

*პარტიის თავმჯდომარე ა.ტყებუჩავა*

# სამგლოვიარო განცხადებები

## ლევან ქუქუნაშვილის ცრემლიანი დაბადების დღე



ლევან, 12 მარტს 31 წლის გახდებოდი. შენი ტრაგიკული გარდაცვალებიდან 40 დღეც არ გასულა.

ძალიან ენატრები საყვარელ დედას, დას, მამასა და ყველა შენს ახლობელ ადამიანს.

*გრიგოლ ქამუშა ის ოჯახი*

ნინელი კუხალაშვილი და რომულ ჯიქია შვილებითა და შვილიშვილებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან ბიცოლისა და ნათლიის

**ნათელა არჩაია-კუხალაშვილის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ზურიკო და ალიკო კუხალაშვილების ოჯახებს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**



# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. გვარის, თემის მეთაური სვანეთში; 2. ფრანგი კარიკატურისტი მხატვარი; 3. უკრაინის პარლამენტი; 5. ბრიტანული ყველი; 6. მიწის ფართობის საზომი ერთეული ძველად საქართველოში; 7. მეფის ხელისუფლების მანიშნებელი საგანი; 11. ზიარებისთვის განკუთვნილი, მაღალხარისხოვანი წითელი ფერის ღვინო; 13. სასიამოვნო სურნელება; 14. თოვლის ფანტელი; 15. ქსოვილების დამზადების ოსტატი; 16. რკალისა და ორი რადიუსით შემოსაზღვრული წრის ნაწილი; 17. ქართული ნაციონალური კერძი; 19. ქიმიური ელემენტი, აირი; 20. ინდოელ ქალთა სამოსი.

**თარაზულად:** 1. ქართული ტელეკომპანია; 4. მწყემსი სამხრეთ ამერიკაში; 8. კვების გარკვეული რეჟიმი; 9. ბენიტო მუსოლინის მეტსახელი; 10. დიპლომატიური კურიერის სპეციალური, დალუქული ჩანთა; 12. ქართული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 14. ზრდილობიანი მიმართვა გათხოვილი ქალისადმი გერმანიაში; 15. ესპანური ცეკვა გიტარისა და კასტანიეტების თანხლებით; 16. ათქვეფილი კვერცხის ცილისგან მომზადებული კულინარიული ნაწარმი; 18. სევანის ტბის ძველი სახელწოდება; 21. მემარცხენე ადამიანი; 22. უკუსვლა, დაქვეითება; 23. იტალიური რესტორანი.

*შეადგინა თ. გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ხევი; 2. „ელესა“; 3. ნაიკი; 5. ალალმე; 6. ფლემინგი; 9. იპოქონდრია; 10. ლაფონტენი; 11. კაკაფონია; 14. სკა; 16. ჰამამი; 18. ზმნა.

**თარაზულად:** 1. ხერესი; 4. ღვარცოფი; 7. პერესი; 8. კობალტი; 12. კობზა; 13. ისრიმი; 15. რონოდა; 17. ოდა; 19. ჟანდარმერია; 20. ვალსი; 21. ლადარი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. კოიოტი; 2. რიოში; 3. სუმო; 5. ჯეჯილი; 6. ეგერი; 7. „გალუაზი“; 11. მესტია; 13. არამისი; 14. ტრეკი; 15. ბედუინი; 16. ონაგატა; 17. ჩაფარი; 19. ალუჩა; 20. ჯუნო.

**თარაზულად:** 1. კარკასი; 4. ბანჯო; 8. მდადი; 9. ჯამე; 10. ორშიმო; 12. სუფრული; 14. ტუტი; 15. ბილინგვა; 16. ომეგა; 18. შხუნა; 21. ფობია; 22. ტერნერი; 23. ჩარდაში.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ლარის მიმართ უცხოური ვალუტის კურსი
2011 წლის 12 მარტი

აშშ დოლარი — 1,713
ევრო —2,3782
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7723
რუსული რუბლი — 0,0605

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, თოვლი, ტემპერატურა დღისით — §-11, ღამით — -1-2
**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — §-11, ღამით — 2-4
**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, თოვლი, ტემპერატურა დღისით — 9-6, ღამით — -13 -1

## ამინდის პროგნოზი 12 მარტისთვის







ქართული ფლორის საოცრება
## „სალხინო"
უებარი წამალია

„სალხინო" ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულისაგან მიღებული წამალია.

პრეპარატ „სალხინოს" ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს. პირის ღრუს სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

„სალხინოს" შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებ-გვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.

**მის.: აღმაშენებლის 146. ტელ.: 14-41-58, 95-90-60.**


## ჯაბა ლიპარტია: „უკრაინასთან შედარებით, საქართველოში ფეხბურთი უფრო ტექნიკურია"



ლუგანსკის „ზარიას" ახალწვეულმა, ჯაბა ლიპარტიამ, რომლის დებიუტი უკრაინის პრემიერლიგაში ლუცკის „ვოლინთან" მოგებულ (4:0) შეხვედრაში შედგა, ინტერვიუ კლუბის გულშემატკივართა ვებ-გვერდს მისცა და მათ, ახალ გუნდში საკუთარი ყოფის გარდა, უკრაინულ ფეხბურთზე საკუთარი შთაბეჭდილებაც გაუზიარა.

***— ახალ ქვეყანაში ადაპტაციის პროცესი როგორ მიდის, ლუგანსკს თუ შეეგუეთ?***


გაგრძელება მე-10 გვერდზე


## ასტროპროგნოზი

ყველამ გაითვალისწინეთ!

### 12 მარტი — არ გადაიღალოთ.

**ვერძი** — ეს დღე მძიმე სამუშაოსთვის არ გამოიყენოთ, გადაღლა არ გარგებთ. **კურო** — თავს კრიტიკულად შეხედეთ, თორემ სხვები გაგაკრიტიკებენ. **ტყუპები** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** — ყურადღების ცენტრში ხართ, თქვენ მიმართ საქებარ სიტყვებს არ იშურებენ. **ლომი** — გელით რომანტიკული თავგადასავალი, ბრწყინვალე ფორმაში ხართ. **ქალწული** — გზიდან ფულს და საჩუქარს მიიღებთ. **სასწორი** — არ დაიგვიანოთ, დროზე მიდით შეხვედრაზე. **ღრიანკალი** — ჰარმონიული დღეა, ყველაფერს მოასწრებთ. **მშვილდოსანი** — არ გაბრაზდეთ, ოპონენტები არ გაახაროთ. **თხის რქა** — თქვენი საქმე წინ მიდის, ბედი გწყალობთ. **მერწყული** — თავი შეიკავეთ მკვეთრი გამოსვლებისაგან, იყავით ზომიერი. **თევზები** — სამყაროს ვერ შეცვლით, ბედს უნდა შეეგუოთ.

### 13 მარტი — მსუბუქი დღეა.

**ვერძი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით სიურპრიზი. **ტყუპები** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** — დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ, თავს ბედნიერად იგრძნობთ. **ლომი** — არჩევანის წინაშე ხართ, კარგად დაფიქრდით. **ქალწული** — რომანტიკული თავგადასავლი გელით. **სასწორი** — ეს დღე მსუბუქად ჩაივლის, მნიშვნელოვანი არაფერი მოხდება. **ღრიანკალი** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მისი მოსმენა მოგიწევთ. **თხის რქა** — თქვენი პარტნიორი სიურპრიზს მოგიწყობთ. **მერწყული** — მშვენიერი დღეა, მოსალოდნელია სასიყვარული შეხვედრა. **თევზები** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!


# 21 მარტიდან

100 წიგნი

„ახალი თაობა" და „საოჯახო ბიბლიოთეკა"

გთავაზობთ

# სუპერპროექტს

## ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო




ტომი 1

## განდი

**გაზეთი და წიგნი ერთად — 8 ლარი**


## ქეით მოსი თამბაქოს თავს ჰიპნოზით ანებებს

ქეით მოსმა გადაწყვიტა თამბაქოს მოწევას თავი დაანებოს. ამაში მას ჰიპნოზოთერაპიის სეანსები დაეხმარება. მოსმა ეს სეანსი, თავის საქმროსთან ერთად, ლონდონის ერთ-ერთ კლინიკაში გაიარა. ამის შემდეგ მან შესძლო თავისი დღიური რაციონის 30-დან 15 სიგარეტამდე დაწევა. ეს მისთვის დიდი მიღწევაა, რადგან, სულ ახლო წარსულში, იგი 100 სიგარეტს ეწეოდა დღეში. მას განზრახული აქვს თამბაქოს საბოლოოდ თავი ჯვრისწერის დღეს დაანებოს.

**ათბ-ნიუსი**



## იუმორი

— ცხოვრება მისთვის, ვინც გრძნობს, ტრაგედიაა, მისთვის, ვინც ფიქრობს — კომედია...

* * *

— ღუმილი თანხმობის ნიშანია ან გონებაჩლუნგობის...

* * *

ერთი ტიპი მეორეს ეუბნება:
— წამო, ქალებში წავიდეთ.
— მარტო რატომ არ მიდიხარ?
— შენ ხომ პროფესიონალი ხარ, მე კი — მოყვარული.
— კარგი, ორ გოგოს ვიცნობ, ახლა იმათთან წავიდეთ.
— ლამაზები არიან?
— ერთი ლამაზია, მეორე — მოყვარულისათვის გამოდგება...

* * *

— თქვენთან ორი შეკითხვა მაქვს, პირველი — რა ღირს და მეორე — ასე ძვირი რატომაა?

* * *

— შერლოკ ჰოლმსს რა ჰქვია?
— შერლოკი.
— ვატსონს?
— დოქტორი...

* * *

— შოუბიზნესის სამყარო ძალიან პატარაა, ადრე თუ გვიან ყველა ერთმანეთს ხვდება, სცენაზე თუ არა, საწოლში მაინც — ბრიჯიტ ბარდო.



## ხოხო ქამუშაძე

12 მარტს ორი წლის გახდა.
დაბადების დღეს ულოცავენ დედა, მამა, მამიდები, ბიძები, ბებიები და ბაბუა ხოხო ქამუშაძე.

ოჯახი